

"კონსერვატორები" და მეწარმეები ჩინოვნიკების წინააღმდეგ

A2



„უსამა ბინ ლადენი ცოცხალი და საღსალამათია"

A5



"ალდაგმა" ქართულ საზოგადოებას თავისი უცხოელი პარტნიორი გააცნო

A6


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 16 ივნისი, 2005 წელი. №134 (994) | ფასი 50 თეთრი


# გადაწყვეტილება, რომელსაც აფხაზები ცივად შეხვდნენ

## თბილისი აფხაზეთზე სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას აღარ ეწინააღმდეგება

*აფხაზეთის გავლით, თბილისსა და მოსკოვს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა ქართულ პოლიტიკურ რეალობაში კვლავ აქტუალურ თემად იქცა. თუმცა, ამჯერად ქვეყნის ხელისუფლებამ მკაცრი პოზიცია შეცვალა და ამ საკითხისადმი გაცილებით ლოიალური გახდა.*
*"საქართველოს წინა ხელისუფლებას განსხვავებული პოზიცია ჰქონდა და რკინიგზის გახსნის წინააღმდეგი იყო, მაგრამ ახალ მთავრობას ამ საკითხის მიმართ დადებითი დამოკიდებულება აქვს," – გააჟღერა ახალი პოზიცია საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა.*

ნინო ბომართელი

საქართველოს, რუსეთის და აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის წარმომადგენლები პირველ ივლისს სოჭი-თბილისის სარკინიგზო ხაზის აღდგენის საკითხს განიხილავენ. შეხვედრა გალის რაიონში, გაერო-ს სპეცწარმომადგენლის ოფისში გაიმართება. გადაწყვეტილება კი მოსკოვში გუშინ გამართულ ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებზე იქნა მიღებული.

შეხვედრაზე, რომელიც სოჭის ფორმატში იმართება, ქართულ მხარეს სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა ხელმძღვანელობს.

დელეგაციაში ასევე შედიან საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ ანთაძე, იუსტიციის მინისტრის მოადგილე ეკატერინე გურეშიძე, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და შპს "საქართველოს რკინიგზის" წარმომადგენლები.

ქართული და აფხაზური მხარეების გარდა, შეხვედრაში მონაწილეობენ საქართველოში გაერო-ს მისიის, გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები.

**"შევთანხმდით, რომ გაიმართება სამი მხარის ექსპერტთა შეხვედრა. ეს ექსპერტები სარკინიგზო ტრანსპორტის სხვადასხვა დარგების სპეციალისტები არიან,"** – განაცხადა მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე სარკინიგზო ტრანსპორტის ფედერალური სააგენტოს ხელმძღვანელმა მიხეილ აკულოვმა და დაამატა, რომ **"სამუშაო შეხვედრაზე მოხდება სოჭი-თბილისის სარკინიგზო ხაზის შესწავლის გრაფიკის შეთანხმება. აქვე განიხილება იმ სპეციალისტების უსაფრთხოების გარანტიებით უზრუნველყოფა, რომლებიც რკინიგზას შეისწავლიან."** გარდა ამისა, აკულოვის განცხადებით, განიხილება რკინიგზის აღდგენითი სამუშაოების დაფინანსების საკითხი.

გაგრძელება A3 გვერდზე

# მეკობრეები

## ქართველმა მომღერლებმა საკუთარი ჰიტების აფხაზური ვერსიები ჩაწერეს



# „თბილისს პრემიერი არ სჭირდება"

## ამბობს დედაქალაქის პრემიერი

მაია ჭალაგანიძე

*ჩვენ, ქალაქის უბრალო მცხოვრებნი, თან ვამაყობთ თბილისის ასაკით და თან ვწუხვართ დედაქალაქის "მწყობრიდან გამოსვლის" გამო. ამ პროცესს ქალაქის მამები ასე ახასიათებენ: გავიდა ექსპლუატაციის ვადები. ცუდი მოსასმენია, მაგრამ ეს ასეა.*
*თემურ ქურხული, ქალაქის მორიგი პრემიერი, ახალი ხელისუფლების სურვილით ახალმა საკრებულომ დაამტკიცა. ისანი-სამგორის გამგებლობიდან პრემიერის მოადგილედ ქურხული სააკაშვილმა ჯერ კიდევ საკრებულოს თავმჯდომარეობისას წამოიყვანა. მალე ის პრემიერის პირველი მოადგილე და შემდეგ პრემიერი ხდება. ქურხულმა გამოიარა სტიქიები, ფასადების ომი, ასფალტის ბუმი და ყველაფრის მიუხედავად, დღეს ამბობს, რომ თბილისს პრემიერი არ სჭირდება.*

გაგრძელება B1 გვერდზე



ყურადღება!

**სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომლითაც უნდა შერჩეულიყო ყოველდღიური გაზეთი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ სატენდერო განცხადებების გამოსაქვეყნებლად, გაიმარჯვა გაზეთმა "24 საათმა".**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის **2005 წლის 11 მაისის N3 ბრძანების** თანახმად, აღნიშნული ცვლილება შევიდა "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების შესახებ" საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2001 წლის 15 ოქტომბრის №1 ბრძანებაში.

შესაბამისი ხელშეკრულებების გასაფორმებლად და სხვა დეტალების დასაზუსტებლად გთხოვთ, დაუკავშირდეთ გაზეთ "24 საათი"-ს რედაქციას:

ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული.

ტელ: 202404; 202424; 200024;
8 99 220 949.

ელ-ფოსტა: tender@24hours.ge

საკონტაქტო პირი - ირაკლი ლეჟავა


იურიდიული ოფისი „გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება. A7


## ამინდი

| | 16/06 | 17 /06 | 18 /06 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 28 | 30 | 32 |
| ტყიბული | 23 | 25 | 27 |
| სოხუმი | 23 | 23 | 28 |
| დმანისი | 23 | 23 | 26 |
| გორი | 23 | 25 | 27 |
| ონი | 20 | 19 | 24 |
| ზუგდიდი | 24 | 27 | 30 |
| ახმეტა | 28 | 30 | 31 |
| გაგრა | 22 | 22 | 25 |
| სამტრედია | 24 | 28 | 31 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8174 |
| ევრო | 2.1920 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2860 |
| რუბლი | 0.0635 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| ამბები | A3 | რევიუ | B3 |
| საზოგადოება | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | ავტომობილი | B6 |
| სამართალი | A7 | ტენდერი | B7 |
| პროექტი | A8 | სხვადასხვა | B8 |


## აფხაზურ ბანკებს რუსეთში საკორესპონდენტო ანგარიშები დაუხურეს

*საქართველოს ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აფხაზური პრესის არაოფიციალური ცნობებით, თვითგამოცხადებული რესპუბლიკის კომერციულ ბანკებს რუსეთის ტერიტორიაზე საკორესპონდენტო ანგარიშები დაუხურეს.*

აღნიშნული საინფორმაციო წყარო ამის მიზეზად აფხაზეთის ეროვნული ბანკის თავმჯდომარის პოსტზე რუსეთის ცენტრალური ბანკისათვის მიუღებელი კანდიდატურის დანიშვნას ასახელებს, თუმცა საქართველოს ეროვნულ ბანკში მიიჩნევენ, რომ, თუ აფხაზურ პრესაში გავრცელებული ცნობა სიმართლეს შეესაბამება, რუსეთის ცენტრალური ბანკის რეაქცია ეროვნული ბანკის პრეზიდენტის რომან გოცირიძის ოფიციალურ პროტესტს მოჰყვა და რუსულმა მხარემ მისი მოთხოვნები გაითვალისწინა.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ თავის რუს კოლეგას სერგეი იგნატიევს რუსეთის ფედერაციის ცალკეული ბანკების აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ საფინანსო სტრუქტურებთან უკანონო თანამშრომლობის აღკვეთის შესახებ ოფიციალური წერილი ჯერ კიდევ მაისში გაუგზავნა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## პრეზიდენტი სეპარატისტულ ანკლავებს აფრთხილებს

*საქართველოს პრეზიდენტი მხარს უჭერს სამშვიდობო პროცესებს, თუმცა, ცხინვალის რეგიონის ფაქტობრივ მმართველებს აფრთხილებს, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე კრიმინალური ანკლავის არსებობას არ დაუშვებს. ასეთი განცხადება მიხეილ სააკაშვილმა გუშინ უშიშროების საბჭოს სხდომაზე გააკეთა, სადაც ცხინვალში გატაცებული ოთხი ქართველის საქმის ირგვლივ მსჯელობდნენ.*

გუშინ ედუარდ კოკოითის ხელისუფლებამ "შთამბეჭდავი ჯილდო" – 50 ათასი რუსული რუბლი დააწესა იმ ადამიანისთვის, რომელიც ცხინვალის რეგიონში გატაცებული ოთხი ქართველის ადგილსამყოფელისა და გამტაცებელთა ვინაობის შესახებ ინფორმაციას მიაწოდებს სამართალდამცველებს. ამასთანავე, კოკოითის ხელისუფლება უარყოფს, რომ გამტაცებლები ქართული მხარის მიერ დასახელებული კრიმინალები არიან.

როგორც ცნობილია, 6 ივნისს ცხინვალიდან გატაცებულ ოთხ ქართველს - სოფელ ქურთას მკვიდრთ ჰამლეტ, მამუკა და გალაკტიონ ხაჭაპურიძეებსა და მათთან ერთად მყოფ, ხაშურის რაიონის სოფელ ბიწნისის მცხოვრებს, მამუკა ლომიძეს ქართველი და ოსი სამართალდამცველების ერთობლივი ჯგუფები ეძებენ. ძირითადად ოსი ეროვნების მილიციელებისა და თითო ქართველი პოლიციელისგან შემდგარი ეს ჯგუფები გუშინწინ სამძებრო ღონისძიებებს სწორედ იმ ტერიტორიაზე ახორციელებდნენ, რომელზე მოთარეშე კრიმინალურ დაჯგუფებასაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ქართველების გატაცებაში ეჭვმიტანილებად აცხადებს. კერძოდ, როგორც ცნობილია, შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ხაჭაპურიძეები და ლომიძე ცხინვალის, ეგრეთ წოდებული "ტექსტილის" დასახლების კრიმინალური დაჯგუფების წევრებმა რუდიკ ბესტაევმა, მეტსახელად, "ლულუმ" და 29 მაისს ქურთისა და თამარაშნის პოლიციის შენობებზე შეიარაღებული თავდასხმის დროს დაღუპული ანატოლი კოჩიევის ვაჟმა, აცამაზ კოჩიევმა გაიტაცეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

## მორიგი გაფრთხილებები სანიტარიული ინსპექციისაგან

*"ერთი თვის განმავლობაში მაცივარში რომ უყრიათ ხორცი და წამლავენ ხალხს, რატომ იმათ არ ეუბნებით არაფერს? 10 წელიწადია, ამ მაღაზიაში ვმუშაობთ და ჩვენი ნამცხვრით ჯერ არავინ მოწამლულა," – ასეთი პასუხი ჰქონდათ გუშინ მარჯანიშვილის ქუჩაზე განლაგებული საკონდიტრო მაღაზიების მეპატრონეებს, როდესაც მათ თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციიდან მეორე და უკანასკნელი გაფრთხილება მიიღეს.*

თამარ დვალი

მარჯანიშვილის ქუჩა საკონდიტრო მაღაზიების სიმრავლით გამოირჩევა. მალფუჭებადი პროდუქტები აქ ყოველ ფეხის ნაბიჯზე იყიდება და თითქმის ყველა მაღაზიაში დარღვეულია სანიტარიული ნორმები.

ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად და ინფექციური დაავადებების თავიდან ასაცილებლად, სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციამ გუშინ რეიდი მოაწყო. ინსპექციის თანამშრომლებმა მაღაზიის მეპატრონეებს მეორე გაფრთხილება მისცეს. სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია მეწარმეებისგან ბევრს არაფერს ითხოვს - მათი მოთხოვნა, ძირითადად, სათანადო ტემპერატურის პირობებში პროდუქტების შენახვას ითვალისწინებს. ღია დახლებზე დაწყობილი კრემიანი ნამცხვრები ზაფხულის პირობებში საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას. არასათანადო ტემპერატურას მტვრიანი გარემოც ემატება. ვინაიდან მაღაზიები ქუჩის პირასაა განლაგებული და მთელი დღის განმავლობაში, ისედაც პატარა ქუჩაზე ტრანსპორტის მოძრაობა არ ჩერდება, მაღაზიებში გამონაბოლქვი და მტვერი ღია დახლზე დაწყობილ ნამცხვრებს ხვდება.

**"მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, რიგ შემთხვევაში მაინც აქვს ადგილი უხარისხო, საკვებად უვარგისი პროდუქციის რეალიზაციას. დღეს ამ მაღაზიის მეპატრონეებს მეორე და ბოლო გაფრთხილება მივეცით. ამ ეტაპზე მათ დაჯარიმებას არ მოვახდენთ. თუკი ანალოგიური ფაქტები მომავალშიც განმეორდება, ჩვენ მკაცრ სანქციებს მივმართავთ. მაგალითად, როგორიცაა ფულადი ჯარიმა და ობიექტების დახურვა. მაღაზიის თითოეული მეპატრონე ცდილობს, სხვისკენ გაიშვიროს ხელი. თითქოს ის ფაქტი, რომ სხვა მასზე მეტად არღვევს ნორმებს, ეს მისთვის რაიმე შეღავათის მომცემი იყოს,"** – აღნიშნა სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციის უფროსის მოადგილემ ლევან ედილაშვილმა.

მართალია, თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია უხარისხო პროდუქციის სავაჭრო ქსელიდან ამოღებას ცდილობს, მაგრამ მათ ამისთვის სათანადო ბერკეტები არ გააჩნიათ. ინსპექციის თანამშრომელს მეწარმის დაჯარიმება მხოლოდ სასამართლოს მეშვეობით შეუძლია. რეორგანიზაციის დროს, სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექციას გარკვეული უფლებებიც ჩამოერთვა. ახალი კანონის მიხედვით, მათ საცხობების და მთელი რიგი სხვა ობიექტების შემოწმება არ შეუძლიათ.

საკონდიტრო მაღაზიის მეპატრონეებმა სავაჭრო ქსელში არ უნდა დაუშვან ისეთი კრემიანი საკონდიტრო ნაწარმის მიღება, რომელსაც არ ექნება თანმხლები დოკუმენტი (ეტიკეტი-დამამზადებელი, დამზადების თარიღის და რეალიზაციის საბოლოო ვადის აღნიშვნა). საკონდიტრო ნაწარმი, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში, უნდა იყიდებოდეს სამაცივრო დანადგარებიდან +2 გრადუსიდან +6 გრადუსამდე ტემპერატურულ პირობებში.

ინფორმაციას დარღვევების ფაქტების შესახებ სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია მოსახლეობისაგან ცხელი ხაზის მეშვეობით ღებულობს, ტელეფონზე 37 78 70.

## წარმატებული პრაქტიკა პარლამენტში

გუშინ, პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ და საქართველოში აშშ-ს ელჩის მოადგილემ პატრიცია მილერმა NDI-ს საპარლამენტო სტაჟირების პროგრამის პირველი წლის კურსდამთავრებულებს სერტიფიკატები გადასცეს. ცერემონიაში მონაწილეობა მიიღო, აგრეთვე, NDI-ს საპარლამენტო პროგრამების დირექტორმა ჯიმი ჰარტმა.

ათი თვის განმავლობაში პრაქტიკანტები აქტიურად მონაწილეობდნენ საპარლამენტო ცხოვრებაში. ისინი ამზადებდნენ ნაშრომებს დეპუტატებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, ეხმარებოდნენ კანონმდებლებს მოქალაქეთა შეკითხვებზე პასუხის გაცემაში.

**"იმ პირობებში, როდესაც დეპუტატებს თანაშემწეები არა ჰყავთ, ეს ჩვენთვის ძალიან სერიოზული დახმარებაა,"** - მადლობას უხდის სტაჟიორებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, რომელიც იქვე იმასაც დასძენს, რომ, თავის მხრივ, პრაქტიკანტებმაც საკანონმდებლო ორგანოში კარგი გამოცდილება მიიღეს. NDI-ს პროგრამის წარმატებაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ კურსდამთავრებულთა უმრავლესობას უკვე აქვს სამსახურის შეთავაზება სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებიდან. სტაჟირების ახალი პროგრამა 2005 წლის სექტემბრიდან დაიწყება და მომავალი წლის ივლისამდე გაგრძელდება. შესარჩევ პროცედურაში მონაწილეობის უფლება ექნებათ მათ, ვისაც აქვს ბაკალავრის დიპლომი ეკონომიკაში, სამართალში, აგრეთვე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში.

*24 საათი*

**შ.პ.ს."აჭარის ენერგოკომპანია" , ფილიალების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, აცხადებს აუდიტორული ფირმების შესარჩევ კონკურსს: კომპანიას ესაჭიროება ფილიალების სალიკვიდაციო ბალანსების შედგენა(კომპილაცია).**

dato.gogichaishvili@aec.ge

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ქვედანაყოფების თანამშრომელთა მხრიდან თქვენი უფლების შელახვის ან კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა შემთხვევაში დაგვიკავშირდით სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე:**

**98-57-81**

**"საერთაშორისო იურიდიული ოფისი გაპი" აფუძნებს ფილიალს ქ. ბათუმში და აცხადებს კონკურსს ფილიალის მენეჯერისა და ადვოკატის თანამდებობებზე.**

**პირობები:**

1. უმაღლესი იურიდიული განათლება;
2. ადვოკატის სერტიფიკატი;
3. ავტობიოგრაფია (CV);
4. ასაკი 27 წლამდე;
5. დახასიათება უმაღლესი სასწავლებლიდან ან ბოლო სამუშაო ადგილიდან;
6. ერთ-ერთი უცხო ენის ცოდნა.

**საბუთების შემოტანის ვადაა 2005 წლის 15 ივნისამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, წერეთლის გამზ.: N77 "საერთაშორისო იურიდიული ოფისი გაპი". ტ. 34 76 58**

# "კონსერვატორები" და მეწარმეები ჩინოვნიკების წინააღმდეგ

თამარ ასათიანი

*"კონსერვატორები" ამჯერად "მეწარმეთა ასოციაციის" ინტერესებს იცავენ და მის წევრებთან ერთად, საქართველოს ხელისუფლებას მეწარმეთა უფლებების შელახვასა და მათ წინააღმდეგ რეკეტში ადანაშაულებენ. გუშინ, პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა კობა დავითაშვილმა, მეწარმეებთან ერთად, პრესკონფერენცია გამართა და ხელისუფლება მცირე მეწარმეთა რეკეტში დაადანაშაულა.*



*კობა დავითაშვილი და მეწარმეები ხელისუფლებას სერიოზულ ბრალდებას უყენებენ.*

პრობლემა, რომელიც "კონსერვატორების" ყურადღების ქვეშ მოექცა, არახალია. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანასა და კოოპერატივ "წიდას" შორის დავა უკვე რამდენიმე წელია, გრძელდება. მეწარმეთა ასოციაცია სწორედ ამ დაპირისპირების შედეგად იშვა და მასში ის ადამიანები გაწევრიანდნენ, რომლებიც "წიდას" ინტერესებს იცავენ.

"მეწარმეთა ასოციაციის" თანათავმჯდომარის ოთარ დოლიძის განცხადებით, ჯერ კიდევ 1989 წლის თებერვალში კოოპერატივ "წიდას" მუდმივ სარგებლობაში გადაეცა რუსთავის მეტალურგიული კომბინატის მიერ გადაყრილი წიდები და მათი გადამუშავება დაევალა. ამ განკარგულებაში საერთოდ არ იყო ნახსენები მეტალურგიული კომბინატი, როგორც მესაკუთრე ან რაიმე უფლებების მქონე სუბიექტი. მისივე თქმით, კომბინატის გენერალური დირექტორი გურამ ქაშაკაშვილი ყველანაირად უშლიდა ხელს საწარმოს საქმიანობას, თუმცა, ამის მიუხედავად, "წიდამ" მაინც საკმაოდ სერიოზულ წარმატებებს მიაღწია და რამდენიმე გამოგონების წყალობით, წიდის პროდუქცია შეუცვლელ კომპონენტად გადააქცია ცემენტისა და შუშის წარმოებაში.

ამჟამად საწარმო გაჩერებულია, ხოლო დავამ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანასა და "წიდას" შორის სასამართლო დარბაზებში გადაინაცვლა. როგორც დოლიძე აცხადებს, სასამართლოებს ერთმანეთის გამომრიცხავი გადაწყვეტილებები გამოჰქონდა. საბოლოოდ კი, უზენაესმა სასამართლომ გადაყრილი წიდები რუსთავის მეტალურგიული კომბინატის საკუთრებად ცნო.

ამავე დროს, მეწარმეები, საწარმო "წიდასთან" დაკავშირებით, ხელისუფლების წარმომადგენელთა ფინანსურ დაინტერესებაზე საუბრობენ, ასახელებენ კონკრეტულ პირებსაც - დავით ბეჟუაშვილსა და კახა ბენდუქიძეს.

**"ათი თვეა, "წიდა" გაჩერებულია. ამ ხნის განმავლობაში საქართველოში მზადდება ფალსიფიცირებული ცემენტი, რაც ახალ მშენებლობებს სერიოზულ საფრთხეს უქმნის,"** - აცხადებენ, თავის მხრივ, "კონსერვატორები".

ისინი შეშფოთებას გამოთქვამენ სახელმწიფოს მხრიდან მცირე საწარმოს შეჩერების გამო და ხელისუფლებას მოუწოდებენ, შეწყვიტოს მცირე მეწარმეთა რეკეტი.

# საკრებულო საკუთარი დადგენილებების შესრულებას ითხოვს

*თბილისის საკრებულო ქალაქის მთავრობას საკრებულოს დადგენილების შეუსრულებლობაში ადანაშაულებს. გასული წლის აგვისტოში საკრებულომ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც, უზედამხედველო ბავშვთა პრობლემებზე მომუშავე ორგანიზაციებიდან ერთი მაკოორდინირებელი უწყება უნდა შერჩეულიყო. "ასეთი ორგანიზაცია კი დღემდე არ შექმნილა," – აცხადებს ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობის" ხელმძღვანელი ნანული ქაჩიბაია.*

ნანა ქადაგიშვილი

უზედამხედველო ბავშვთა პრობლემებზე საქართველოში 43-მდე არასამთავრობო თუ სამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს, აქედან, თბილისში – ათამდე. დედაქალაქის ბიუჯეტი ბოლო წლებში ამ პრობლემის მოსაგვარებლად, საშუალოდ, ნახევარ მილიონ ლარს ხარჯავს. თუმცა, 1990-იან წლებთან შედარებით, უზედამხედველო ბავშვების მდგომარეობა მხოლოდ ოდნავ გაუმჯობესდა. ამის ძირითადი მიზეზი კი ის არის, რომ ეს ორგანიზაციები ქაოტურად, შეუთანხმებლად მოქმედებენ. არ მოწმდება, სად მიდის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები და, რაც ყველაზე მთავარია, არ არსებობს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა. სწორედ ამიტომაც გახდა საჭირო ბავშვთა პრობლემებზე მომუშავე არსებული ორგანიზაციების კოორდინაცია და ერთი ორგანიზატორი უწყების შექმნა.

გასულ წელს, როცა საკრებულომ ეს გადაწყვეტილება მიიღო, ასეთ მაკოორდინირებელ უწყებად ორი სახელმწიფო უწყება სახელდებოდა. ერთი - ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი, რომელიც ქალაქის მთავრობის გადაწყვეტილებით, 1998 წელს დაარსდა და მეორე – ჯანდაცვის საქალაქო სამსახურში მოგვიანებით შემნილი, ბავშვის უფლებათა კონვენციის უზრუნველყოფის სამმართველო. თუმცა, დღეს მაკოორდინირებელ ფუნქციას არც ერთი არ ასრულებს. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრს წლევანდელი ბიუჯეტიდან დაფინანსება შეუწყვიტეს. ჯანდაცვის საქალაქო სამსახურში არსებული სამმართველო ბიუჯეტიდან კი ფინანსდება, მაგრამ როგორც საკრებულოს ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობის" ხელმძღვანელი ნანული ქაჩიბაია აცხადებს, ეს სამმართველო საქალაქო სამსახურის სტრუქტურაა და არა მაკოორდინირებელი უწყება. ამიტომ, ქაჩიბაია ქალაქის მთავრობას საკრებულოს ზემოაღნიშნული დადგენილების შესრულებას სთხოვს. **"საკრებულომ მოიძია ყველა დადგენილება, რომელიც ქალაქის მთავრობას არ შეუსრულებია. ერთ-ერთი მათგანი უზედამხედველო ბავშვთა პრობლემებზე მომუშავე ორგანიზაციების მაკოორდინირებელი უწყების შექმნაც აღმოჩნდა. აღნიშნული დადგენილების მიღებიდან ერთი წელი გავიდა, მთავრობას კი იგი დღემდე არ შეუსრულებია,"** – აპროტესტებს "ნაციონალების" ლიდერი.

ქალაქის დღევანდელი მთავრობა საკრებულოს აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე უარს არ აცხადებს. **"მიუსაფარ ბავშვთა პრობლემებზე ბევრი ცენტრი მუშაობს. მართლაც შეიძლება მათი შეთანხმება და კოორდინირება. ამ საკითხს მთავრობის სხდომაზე ერთ-ორ კვირაში გავიტანთ,"** - ამბობს ქალაქის ვიცე-პრემიერი კახა საყვარელიძე.

მთავრობის გადაწყვეტილებამდე კი, ფრაქცია "ნაციონალების" ლიდერი ობოლ და მიუსაფარ ბავშვთა პრობლემაზე მომუშავე ორგანიზაციებს სამოქმედო გეგმების წარდგენას სთხოვს, რათა მათ შორის კოორდინატორი გამოიკვეთოს. თუმცა, წინასწარ შეიძლება თქმა, რომ ქაჩიბაიას სიმპათია დაფინანსების გარეშე დარჩენილ ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრისკენ იხრება. **"ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრი აქამდეც მაკოორდინირებელ როლს ასრულებდა. ეს დანარჩენმა ბავშვთა ორგანიზაციებმაც აღიარეს. თუმცა, მათ შორის ორგანიზატორი პროგრამების წარმოდგენის შემდეგ შეირჩევა,"** – აცხადებს ქაჩიბაია.

ქაჩიბაიას კახა საყვარელიძეც ეთანხმება. **"სხვა გამორჩეული ცენტრებიც გვაქვს, მაგალითად, გლდანის ბავშვთა რეაბილიტაციის ცენტრი, ჯანდაცვის საქალაქო სამსახურში არსებული ცენტრი, თუმცა შეიძლება, რომ კოორდინატორად ბავშვთა უფლებების ცენტრი შეირჩეს,"** – აცხადებს საყვარელიძე. მთავარი პრობლემა, რაც აღნიშნულ ცენტრს კოორდინატორის როლის შესრულებაში ხელს შეუშლის, უსახსრობაა. იგი ბიუჯეტიდან 16 ათასი ლარის გამოყოფას ითხოვს. საყვარელიძე აცხადებს, რომ ამ პრობლემის გადაჭრა ქალაქის პრემიერის პრეროგატივაა. პრემიერი კი, ჯერჯერობით, ვერაფერს აკონკრეტებს. **"ჯერ საკითხს არ გავცნობივარ. როცა ბავშვთა პრობლემებზე მომუშავე ორგანიზაციების საქმიანობასა და სამოქმედო გეგმას შევისწავლი, მათი დაფინანსების საკითხსაც შემდეგ გადავწყვეტ,"** - აცხადებს ქურხული.

# უმუშევარ ქალოვნებს სამუშაოს ჰპირდებიან

თამარ მაისურაძე

კოსოვო, ტაჯიკეთი, მოზამბიკი, ანგოლა, ჰაიტი, ფილიპინები, მალი, გვატემალა, ტიმორი, კონგოს რესპუბლიკა, უგანდა, ავღანეთი, ხორვატია, ერაყი – ეს იმ ქვეყნების ჩამონათვალია, სადაც, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ადამიანები ჯერ დაითხოვეს სახელმწიფო სამსახურებიდან, ხოლო შემდეგ მათი დასაქმებისთვის შესაბამისი პროექტები შეიმუშავეს და განახორციელეს. ერაყის შემდეგ ამ ჩამონათვალს საქართველოც დაემატება.

პროექტი, რომლის პრეზენტაციაც გუშინ სასტუმრო "თბილისი მარიოტში" შედგა, "ვარდების რევოლუციის" შემდეგ პირველია, რომელიც არათუ სახელმწიფო მოხელეების სამსახურიდან დათხოვნას, არამედ დათხოვნილების დასაქმებას ისახავს მიზნად. ამ შემთხვევაში ძალოვანი სტრუქტურებიდან დათხოვნილ თანამშრომლებს "გაუმართლათ". ოღონდ, ყველას არა. 2003 წლის ნოემბრის მოვლენების შემდეგ სამსახურიდან გაშვებული 22 ათასი ძალოვნიდან პროექტის ფარგლებში მხოლოდ 4 ათასი დასაქმდება. როგორც გაირკვა, დახმარების პროექტზე მუშაობა სახელმწიფო მინისტრის გიორგი ბარამიძის შინაგან საქმეთა მინისტრობის დროს დაიწყო.

**"ძალოვანი სტრუქტურების დათხოვნილ თანამშრომელთა დახმარების პროექტი" შინაარსობრივად მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ მოამზადა. "მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია პროექტის მაკოორდინებელია. ეს არის ორგანიზაცია, რომელსაც ამგვარი პროექტების განხორციელების გამოცდილება აქვს. აქედან გამომდინარე, პროექტი შინაარსობრივად მათ შეიმუშავეს, რომლის განმახორციელებელი სახელმწიფო, კერძოდ კი, ჯანმრთელობის სამინისტრო იქნება,"** – გვითხრა ევროინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ნატო-ში ინტეგრაციისა და კოორდინაციის სამსახურის უფროსმა ელენე ხოშტარიამ.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობასა და გამოცდილებას ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების სიმრავლეც მოწმობს. ამ ორგანიზაციამ მსგავსი პროექტები უკვე 14 ქვეყანაში განახორციელა. საქართველოში დახმარების პროექტს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო განახორციელებს.

**"ბიუჯეტი 4 ათასი გათავისუფლებული ადამიანის დასაქმებისთვის 5 მილიონ დოლარს გამოყოფს. აქედან, 4 მილიონი - უშუალოდ უმუშევრებისთვის სამუშაო ადგილების შექმნას გულისხმობს. ერთი მილიონი ადმინისტრაციული საკითხების მოსაგვარებლად გაიხარჯება. პროექტი აქტიურ ფაზაშია შესული, ფაქტობრივად, მზადაა. უნდა ითქვას, რომ პროექტი განხორციელდება მთელი საქართველოს მასშტაბით. ის ადამიანი, რომელიც ცხოვრობს რეგიონში, დასაქმდება თავის საცხოვრებელ ადგილას, იქაური ბაზრის შესწავლის შედეგად. პირველ ეტაპზე მოხდება აღრიცხვა, რის შემდეგაც, თითოეულ უმუშევარზე კონკრეტული პროექტი განხორციელდება, იმის გათვალისწინებით, თუ რა შესაძლებლობები აქვთ და რა ესაჭიროებათ პროექტის ბენეფიციარებს,"** - გვითხრა ელენე ხოშტარიამ.

პროექტის სამიზნე ჯგუფის შერჩევის, რეგისტრირებისა და ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებლობა შინაგან საქმეთა, თავდაცვისა და იუსტიციის სამინისტროებს დაეკისრება. დახმარება ორწელიწადნახევარში უნდა განხორციელდეს. 22 ათასი ყოფილი ძალოვანიდან 4 ათასი "პრიორიტეტის" შერჩევაც სახელმწიფოს პრეროგატივაა, თუმცა, რა კრიტერიუმით ამოარჩევენ უმუშევრებს უმუშევართა შორის, ჯერ უცნობია.

### მოკლედ

**ბრიუსელში საქართველოსა და ევროკავშირის საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის სხდომა გაიმართა**

ბრიუსელში, ევროპარლამენტში საქართველოსა და ევროკავშირის საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის სხდომა გაიმართა.

საქართველოს საპარლამენტო დელეგაციას ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე ხელმძღვანელობს. ევროპარლამენტის საქართველოსთან თანამშრომლობის ოფიციალურ დელეგაციაში ევროკავშირის სამი ძირითადი სტრუქტურის: ევროკომისიის, ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს ოფიციალური წარმომადგენლები შედიან.

შეხვედრაზე განიხილეს საქართველო-ევროკავშირის სამომავლო პერსპექტივები. ოფიციალურად პირველად დაფიქსირდა, რომ ევროკავშირი მზად არის იფიქროს საქართველოსთან ახალ კონტრაქტუალურ ურთიერთობებზე – საქართველოს სამომავლო კანდიდატობაზე.

ევროკავშირი გააქტიურებს საქართველოსთან თანამშრომლობას ქართულ-რუსული და ქართულ-ამერიკული ურთიერთობების, საზღვრის მონიტორინგის აღდგენისა და კონფლიქტების მოგვარების საქმეში. **მედიანიუსი**

**საქართველოს პრეზიდენტი უკრაინაში გაემგზავრა**

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში გაემგზავრა.

ეს მისი ოფიციალური ვიზიტია და სამ დღეს გაგრძელდება. მიხეილ სააკაშვილი კიევში უკრაინის პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შეხვდება. საუბარი საქართველოსა და უკრაინას შორის თანამშრომლობის საკითხებს შეეხება.

საქართველოს პრეზიდენტი სამშობლოში 17 ივნისს დაბრუნდება. **მედიანიუსი**

### მოკლედ

**თბილისი.** საფრანგეთის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი საქართველოში ფილიპ ლეფორი გუშინ პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარეს კოტე გაბაშვილს შეხვდა.

შეხვედრაზე საქართველოს ქალ ფრენბურთელთა ეროვნული ნაკრების შვედეთში გამგზავრებასთან დაკავშირებულ პრობლემაზე იმსჯელეს.

როგორც ცნობილია, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ბოლო თამაში ქართველებს ამ ქვეყანაში უნდა გაემართათ. თუმცა, მათ საფრანგეთის კონსულმა ვიზების გაცემაზე უარი უთხრა.

შეხვედრა საქართველოს ნაკრებს 14 ივნისს უნდა გაემართა. მატჩის გაცდენის გამო მას ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციისგან საჯარიმო სანქციები ელის. ჯერჯერობით გაურკვეველია, ვინ გადაიხდის 30 000 ევროს, რაც ფრენბურთის ეროვნულ ფედერაციას დაეკისრება.

ფილიპ ლეფორმა საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი უკომენტაროდ დატოვა. გაბაშვილის ინფორმაციით, საფრანგეთის ელჩს ვიზების გაუცემლობაზე თავისი არგუმენტები აქვს. ასევე, ელჩს შეხვედრაზე უთქვამს, რომ სპორტსმენებს საბუთები არ ჰქონდათ წესრიგში.

როგორც გაბაშვილი აცხადებს, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი ცდილობს, მსგავსი პრობლემები მომავალში აღარ შეიქმნას. **მედიანიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ თბილისის მერიამ ქალაქის ცენტრალურ უბანში, ჭავჭავაძის გამზირზე გზის საფარის დაგება დაიწყო, რის გამოც ერთი თვის განმავლობაში გამზირზე საავტომობილო მოძრაობა ცალმხრივი იქნება.

სპეციალურმა მანქანამ მუშაობა მაშინ დაიწყო, როცა გამზირზე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მივიდა.

"წელს საქართველოში გზების მშენებლობა არც ერთი წუთით არ გაგვიჩერებია, მაგრამ ამ კვირიდან ეს სამუშაოები მთელ თბილისში ფართო ფრონტით იშლება. ჩემი დავალებაა, რომ სასწავლო წლის დასაწყისისთვის თბილისში გზებზე ახალი საფარის დაგება უნდა დამთავრდეს ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, ც. დადიანის გამზირებზე, ერთ-ერთი სანაპიროს მთლიან ზოლზე, ქალაქიდან გასასვლელ გზაზე, ვარკეთილის, ვაზისუბნის, გლდანის, სანზონის რაიონების გზებზე. გზების ასეთი მასშტაბური მშენებლობა არათუ საქართველოში, არც ერთ ჩვენს მეზობელ ქვეყანაში არასდროს ყოფილა," - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფარულავა. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# კოდორში მდგომარეობა დაძაბულია

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივით, შეგროვებულია და კოდორის ხეობაში გასაგზავნად გამზადებულია ჰუმანიტარული ტვირთი - პირველადი მოხმარების საქონელი და სხვა სახის ნივთები, რომელთა მიღებაც კოდორის ხეობის მოსახლეობისთვის სასწრაფო და აუცილებელია. თუმცა, კოდორის ხეობის მიმართულებით მთავრობის წარმომადგენელთა გამგზავრება მოცემულ ეტაპზე იმ მიზეზით არ ხორციელდება, რომ კვლავინდებურად მოუგვარებელია ბატალიონ "მონადირის" პრობლემა, რომლის დაშლის შემდეგაც ხეობაში ვითარება საკმაოდ დაიძაბა.

როგორც ცნობილია, ბატალიონ "მონადირის" დაშლის გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მიიღეს. "მონადირეში" დაახლოებით 350-400 ადამიანი იყო გაერთიანებული. უკანასკნელი 12 წელია, აგრესიისგან აფხაზეთის კოდორის ხეობის დაცვას სწორედ "მონადირის" წევრები ახორციელებდნენ.

როგორც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საინფორმაციო პოლიტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი ტაბლიაშვილი აცხადებს, "მონადირის" პრობლემის ოპტიმალურად გადაწყვეტა ავტომატურად მოაგვარებს იმ რიგ პრობლემებს, რომლებიც ხეობის მოსახლეობას აწუხებს.

*24 საათი*

# სატანკო ქარხანა უკვე საქართველოს საკუთრებაა

გუშინ თბილისში საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის 142-ე ჯავშანსატანკო სარემონტო ქარხნის გადაცემის აქტზე ხელმოწერის ცერემონია გაიმართა.

მასში რუსეთიდან ჩამოსული სპეციალური დელეგაცია მონაწილეობდა. ისინი ქარხნის ტერიტორიაზე ქონების აღწერის პროცესს ქართველ ექსპერტებთან ერთად აწარმოებდნენ. ქართულ მხარეს ქარხნის ქონება მთლიანად გადაეცა. გამონაკლისს ოთხი ერთეული ტექნიკა წარმოადგენს, რომელიც ქარხნის საკუთრება არ არის და მას რუსები გაიტანენ.

"რუსეთის მხარემ მოგვაწოდა დოკუმენტაცია, რომ 4 ერთეული ავტოტრანსპორტი, რომელიც ქარხანაში იმყოფება, ქარხნის ქონება არ არის და ქართული მხარე მათ ქვეყნიდან გატანას არ შეეწინააღმდეგება," - განაცხადა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბის ხელმძღვანელმა ლევან ნიკოლეიშვილმა.

ქარხნის თანამშრომლების განცხადებით, ქართულ მხარეს განადგურებული საწარმო რჩება.

თბილისში 1942 წელს აშენებული, სამხრეთ კავკასიაში ერთადერთი ჯავშანსატანკო ქარხნის ქართული მხარისათვის 15 ივნისამდე გადმოცემას 30 მაისს მოსკოვში საქართველოსა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ ხელმოწერილი განცხადების ერთ-ერთი პუნქტი ითვალისწინებს.

*მედიანიუსი*

# სამხედრო მანევრები "ჯავშანი 2005" დაიწყო

დღეიდან ახალციხეში, ორფელოს სამხედრო პოლიგონზე საქართველოს შეიარაღებული ძალების ფართომასშტაბიანი წვრთნები იწყება.

წვრთნების კოდური სახელწოდებაა "ჯავშანი 2005" და მასში შეიარაღებული ძალების კუთვნილი 100 ერთეული ჯავშან-ტექნიკა იქნება ჩართული. სწავლებას უშუალოდ უხელმძღვანელებს შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ლევან ნიკოლეიშვილი, რომელიც ერთ თვის განმავლობაში, წვრთნების დასრულებამდე ორფელოში დარჩება.

სწავლების მონაწილე საბრძოლო ტექნიკა ვაზიანის, ქუთაისისა და გორის სამხედრო ბრიგადებიდან ორფელოში უკვე გადაიტანეს.

"ჯავშანი 2005" ერთი თვის შემდეგ საზეიმოდ დაიხურება. საზეიმო ცერემონიას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი დაესწრებიან.

*ჯი-ეიჩ-ენი*


ფოტო-რეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო მწვანე ტალღა თავისუფალი აზრის რადიო FM 107.4

რადიო-ხიდი თბილისი-ბაქო-ერევანი ყოველ კვირადღეს საღამოს 19 საათზე



პროექტის პრეზენტაცია გადაცემაში „რადიო დილა"


# გადაწყვეტილება, რომელსაც აფხაზები ცივად შეხვდნენ

პირველი გვერდიდან

თავის მხრივ, საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ აღნიშნა, რომ **"ივლისისთვის დაგეგმილი შეხვედრა მოქმედების შემდგომი გეგმის განსაზღვრაში დაგვეხმარება."**

მოსკოვში საკუთარი პოზიცია დააფიქსირა აფხაზურმა მხარემაც: **"დღეს ჩვენ არანაირი დოკუმენტისთვის ხელი არ მოგვიწერია. რუსეთის მხარემ ქართულ-აფხაზურ სამუშაო ჯგუფს შესთავაზა სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის პროექტი, რომელსაც კიდევ განვიხილავთ,"** – განაცხადა აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა ლეონიდ ლაკერბაიამ.

მანვე მიუთითა, რომ აუცილებელია სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა და ამ საკითხებს აფხაზური მხარე ხელისუფლებასა და საზოგადოებასთან წინასწარ განიხილავს.

მოგვიანებით კი, ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებს აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტიც გამოეხმაურა და ერთ-ერთ რუსულ სააგენტოსთან ინტერვიუში ხაზი გაუსვა, რომ სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა ხელსაყრელია როგორც რუსეთისთვის, აფხაზეთისთვის და სომხეთისთვის, ისე საქართველოსთვის, რადგან აღნიშნული ინფრასტრუქტურის განვითარება ამ სახელმწიფოთა ეკონომიკაზე დადებითად იმოქმედებს.

უმოქმედოდ არც თბილისი დარჩენილა და დსთ-ს ქვეყნების რკინიგზების ხელმძღვანელთა შეხვედრაზე რამდენიმე მნიშვნელოვანი კომენტარიც გაკეთდა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლებას დადებითი პოზიცია უკავია აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის მიმართ, **"მაგრამ ეს პროცესი ცალკეულ ორგანიზაციულ პრობლემებს აწყდება და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ეს გალის რაიონში ქართველ დევნილთა უსაფრთხო დაბრუნებას უკავშირდება."**

საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელის დავით ონოფრიშვილის განცხადებით კი, **"ჩვენ მზად ვართ სარეაბილიტაციო სამუშაოების დასაწყებად. ფაქტი ერთია, რომ, ადრე თუ გვიან, რკინიგზა უნდა გაიხსნას და აქედან მოგება, პირველ რიგში, საქართველომ უნდა ნახოს."**

თავის მხრივ, სს "რუსეთის რკინიგზის" ხელმძღვანელმა გენადი ფადეევმა განაცხადა, რომ აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა, სულ ცოტა, 100 მლნ აშშ დოლარი დაჯდება.

**"თუმცა, ეს თანხა კიდევ გაიზრდება, თუ ჩვენ ენგურის ხიდის რეაბილიტაციას გავითვალისწინებთ. ვფიქრობ, ყველა მონაწილე ქვეყანა – რუსეთი, საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ამ პროექტის დაფინანსებაში უნდა ჩაერთონ,"** - დასძინა ფადეევმა.

სომხეთმა საკუთარი მზადყოფნა გუშინვე გამოთქვა. თბილისში მყოფმა სომხეთის სარკინიგზო დეპარტამენტის თავმჯდომარემ არარატ ხრიმიანმა აღნიშნა, რომ თუ შესაბამის პოლიტიკურ გადაწყვეტილებას მიიღებენ, მათი მხარე აფხაზეთის ტერიტორიაზე სარკინიგზო ხაზის აღსადგენად საჭირო თანხის ნაწილს გამოყოფს.

გუშინვე თბილისში შეხვედრა გაიმართა საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილსა და სს "რუსეთის რკინიგზის" პრეზიდენტ გენადი ფადეევს შორის. განხილვის საგანი ისევ და ისევ საქართველოსა და რუსეთს შორის რეგულარული სამგზავრო სარკინიგზო კავშირის აღდგენის შესაძლებლობა იყო.

**"სარკინიგზო კავშირი საქართველოსა და რუსეთს შორის აფხაზეთის მონაკვეთზე პერსპექტიულია მრავალი თვალსაზრისით. მიხეილ სააკაშვილის დადებითმა დამოკიდებულებამ რკინიგზის ამ მონაკვეთის ინფრასტრუქტურის აღდგენისადმი, უკვე გაამართლა მთელი ჩვენი მუშაობა თბილისში. "რუსეთის რკინიგზა" ყველა ღონეს იხმარს რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის სარეაბილიტაციოდ. ჩვენ მზად ვართ, მოსკოვი-თბილისის მარშრუტით საუკეთესო ვაგონები გავუშვათ და თუნდაც ყოველდღიური მიმოსვლა უზრუნველვყოთ,"** – განაცხადა ფადეევმა მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრისას.

მოსკოვში მიმდინარე მოლაპარაკებები სოჭის ფორმატში იმართება. 2003 წლის 7 მარტს სოჭში საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი შეთანხმდნენ სამ საკითხზე - ენგურჰესის რეაბილიტაციაზე, დევნილთა დაბრუნებაზე და აფხაზეთის გავლით რუსეთსა და საქართველოს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენაზე. ამასთან, აღნიშნული შეთანხმების მიხედვით, დევნილთა დაბრუნების პროცესი და რკინიგზის აღდგენითი სამუშაოები პარალელურად უნდა წარმოებდეს.

# პანკისის ხეობა ჩაბნელებულია

## ხადორჰესმა სამი მილიონით იზარალა

ზვიად რუაძე
კახეთიდან

*სტიქიისგან მიყენებულ ზარალს პანკისის ხეობაში მდებარე ხადორჰესის ხელმძღვანელობაც ითვლის. გარდა იმისა, რომ ადიდებულმა მდინარე ალაზანმა ჰესთან დამაკავშირებელი საგზაო მაგისტრალი მთლიანად მოშალა, მოჭარბებულმა ნალექებმა სადგურში ჩამავალი მდინარე მახავალას სათავე ნაგებობა დააზიანა, მთლიანად დაინგრა ორი მინი სადგური, საიდანაც ხადორი და იქ განლაგებული ადმინისტრაციული შენობები ელექტროენერგიით მარაგდებოდა. წინასწარი მონაცემებით, სიჩუანის კორპორაციამ სამი მილიონი დოლარით იზარალა. მუშებს კი, ჰესზე მისასვლელად, ათი კილომეტრის გავლა უწევთ საცალფეხო ბილიკებით.*



ზვიად რუაძის ფოტო

*ხადორჰესის აგრეგატები წყალდიდობამ ქვა-ღორღში ჩაფლა.*

ნალექიანი ამინდების გაგრძელების შემთხვევაში, საფრთხე უკვე მთლიანად პანკისს ემუქრება. მდინარე ალაზანი, რომელმაც ჯებირები გაანგრია, კვლავ იმ უბნებთან ახლოს ჩამოედინება, რომლთა მცხოვრებთაც სახლები ერთხელ უკვე დაეტბორათ. რაიონის ხელმძღვანელობას ნაპირის გასამაგრებელი სამუშაოები დღემდე არ ჩაუტარებია.

აღდგენითი სამუშაოები არ ჩატარებულა ჩინელების მიერ აშენებული ხადორჰესის საგზაო მაგისტრალის აღსადგენადაც. ამით არც რეგიონის ხელმძღვანელობა დაინტერესებულა. ხადორჰესი კვლავ გარესამყაროსაა მოწყვეტილი. ბაწარას ხევმა ჰესთან დამაკავშირებელი ხიდი დაანგრია.

ყველაზე საგანგაშო მდგომარეობა ხადორიდან რამდენიმე მეტრშია, სადაც ალაზანს ორი მდინარე უერთდება. ოთხ ივნისს ხეობაში მოვარდნილმა ღვარცოფმა მდინარე ალაზნის და ქოჩადალას ხევის ადიდება გამოიწვია, რის შემდეგაც ალაზანმა კალაპოტი გაარღვია და ორმეგავატნახევრიანი მიკროჰესი წალეკა. იმ დროს სადგურში სამი მუშა იმყოფებოდა და მათი გადარჩენა ძლივს მოხერხდა. **"მთელი ცხოვრება სატვირთო მანქანებზე მიწევდა მუშაობა და არაერთ წყალდიდობას მოვსწრებივარ, მაგრამ იმით, რაც ვნახე, დღემდე გონზე ვერ მოვსულვარ. მეგონა, წარღვნა იწყებოდა. გონს მაშინ მოვეგე, როცა ადამიანის განწირული ხმა მომესმა. მაშინღა მივხვდი, რომ სადგურში სამი ადამიანი მუშაობდა. ისინი სიკვდილს ძლივს გამოვტაცეთ ხელიდან,"** - იხსენებენ თემურ ნათიძე და თამაზ წიწუაშვილი, რომლებიც ხადორჰესის მშენებლობის დაწყებიდან სატვირთო მანქანის მძღოლები არიან.

ადიდებულმა ალაზანმა დაგლიჯა რამდენიმე მეტრიანი მილებიც, რომლითაც ხადორი მიკროჰესს წყლით ამარაგებდა. მაღალი ძაბვის ხუთი ბოძი კი ქვა-ღორღმა ქვეშ მოიქცია. ზარალი დიდია. **"როგორც თქვენი თვალით ნახეთ, ზარალი მართლაც დიდია. ყველაფერი მწყობრიდანაა გამოსული, რის გამოც ჰესის მუშაობა პარალიზებულია,"** - ამბობს ხადორის ჩინური მხარის წარმომადგენელი მიშა ლიმინი. სტელეფონო კავშირები აქ მას შემდეგ მყარდება, როცა საწვავზე მომუშავე გენერატორები ირთვება. საკვები პროდუქტების მიწოდება რამდენიმე დღის წინ, ვერტმფრენით მოხერხდა. სიტუაციას ამ დროისთვის შსს განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველო აკონტროლებს.

სიჩუანის კორპორაციის ოფიციალური პირები ხადორზე ჩასვლას ამ თვის ბოლოს გეგმავენ. მანამდე კი ხადორზე მყოფი ჩინელები და ქართული მხარის წარმომადგენლები ზარალს ითვლიან. პანკისი კი ჩაბნელებულია.

# პრეზიდენტი სეპარატისტულ ანკლავებს აფრთხილებს

პირველი გვერდიდან

შესაბამისად, გატაცებულთა ძებნაც გუშინწინ მთელი დღის მანძილზე სწორედ „ტექსტილის" დასახლებაში მიმდინარეობდა. ერთდღიანი უშედეგო ძებნა კი საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელმძღვანელობას ქართული მხარის მიერ გატაცებაში ეჭვმიტანილები უდანაშაულოებად გამოეცხადებინა.

**"არანაირი ფაქტი არ ადასტურებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დასახელებული პირების აცამაზ კოჩიევისა და რუდიკ ბესტაევის კავშირს ოთხი ქართველის გაუჩინარების ფაქტთან,"** - აცხადებენ თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში.

გუშინვე, თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელმძღვანელების განცხადებების საპასუხოდ, საქართველოს უშიშროების საბჭოს სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლებას უკვე დადგენილი აქვს, თუ ვინ არიან გამტაცებლები და ისინი აუცილებლად დაისჯებიან. პრეზიდენტი აცხადებს, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, ზაფხულის დადგომასთან ერთად, კრიმინოგენური ვითარება გართულდა, რაც ქვეყნის მშენებლობას ხელს უშლის.

**„ამ კრიმინალებმა რამდენიმე მძიმე დანაშაული უკვე ჩაიდინეს. ეს იყო პოლიციაზე თავდასხმა და ჩვენი მოქალაქეების გატაცება-გაუჩინარება. დოკუმენტურად, დადასტურებულად ვიცით, თუ ვინ ჩაიდინა ეს ყველაფერი. ამ ადამიანებს აუცილებლად ვიპოვით და უსიკვდილოდ ვაგებინებთ პასუხს. საქართველოში, მთლიანად, კრიმინოგენური ფონი მკვეთრად გაუმჯობესდა და ყველა ხედავს, რომ დანაშაულები მცირდება. მყარდება სტაბილურობა და ვერც ერთი სტაბილური, დემოკრატიული სახელმწიფო ვერ მოითმენს თავის ტერიტორიაზე კრიმინალური ანკლავების არსებობას. ამავე დროს საქართველოს მტრებს მეტად სურთ, მოგვიწყონ რაიმე სახის პროვოკაცია. განსაკუთრებით ამ ეტაპზე არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ ამ კონფრონტაციებში ჩვენი ჩათრევა. ყველა მხარეს უნდა ესმოდეს, რომ დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს ჩვენ მიერ წარმოდგენილი სრულყოფილი სამშვიდობო გეგმის განხორციელება. ამ მიზნით, ბათუმში კონფერენცია გაიმართება და კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, რომ დიალოგისთვის მზად ვართ... მაგრამ კრიმინალთა ასეთ თარეშს მე, როგორც საქართველოს პრეზიდენტი, ვერ მოვითმენ. ასე რომ, არჩევანი ახლა ცხინვალის რეგიონის ადგილობრივ ჯგუფებზეა,"** - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

*24 საათი*

# აფხაზურ ბანკებს რუსეთში საკორესპონდენტო ანგარიშები დაუხურეს

პირველი გვერდიდან

**"რუსეთის ზოგიერთი კომერციული ბანკის თანამშრომლობა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების არაკონტროლირებად ტერიტორიაზე მოქმედ საფინანსო დაწესებულებებთან, რომელთაც საქმიანობის შესაბამისი ლიცენზია არ გააჩნიათ, ეწინააღმდეგება დსთ-ს წევრ სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრებზე მიღებულ ოფიციალურ გადაწყვეტილებებს კონფლიქტურ რეგიონებთან ყოველგვარი ურთიერთობის აკრძალვის თაობაზე. ამგვარი თანამშრომლობა, ფაქტობრივად, ნოყიერ ნიადაგს ქმნის უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსებისათვის, რაც, თავის მხრივ, ეწინააღმდეგება იმ ვალდებულებებს, რომელიც რუსეთს, როგორც FATF-ის წევრ ქვეყანას, აქვს აღებული,"** - აღნიშნული იყო რუსეთის ცენტრალური ბანკის თავმჯდომარისა და რუსეთის ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ხელმძღვანელის მისამართით გაგზავნილ წერილში.

რომან გოცირიძემ რუსული კომერციული ბანკების აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედ ფინანსურ სტრუქტურებთან უკანონო თანამშრომლობის აღკვეთის საკითხი 27-28 მაისს სანქტ-პეტერბურგში შუა აზიის, ბალკანეთისა და შავი ზღვის აუზის ქვეყნების ცენტრალური ბანკების მმართველთა კლუბის ყოველწლიურ შეხვედრაზეც დააყენა და რუსეთის ცენტრალური ბანკის თავმჯდომარეს ამ პრობლემის გადასაჭრელად შესაბამისი ზომების მიღებისაკენ მოუწოდა.

საქართველოს ეროვნული ბანკი, რუსეთის ფედერაციის ცალკეული კომერციული ბანკების მიერ აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედ საფინანსო სტრუქტურებთან უკანონო თანამშრომლობის გაგრძელების შემთხვევაში, რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესების მოთხოვნით, უკანონო შემოსავლების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო ორგანიზაციებს - FATF-სა (ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლი სპეციალურ ქმედებათა ჯგუფი) და MONEYVAL-ს (ევროსაბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტთა კომიტეტი) მიმართავს.

*24 საათი*

# მარნეულში მალარიაა

მაია მოსიაშვილი

უკვე სამი დღეა, მარნეულის რაიონის სოფელ ქესალოში საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი მალარიის საწინააღმდეგო აქციას ატარებს. ამ სოფელში მალარიის მასობრივი გავრცელების შესახებ ინფორმაცია დეპარტამენტს რაიონის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა მიაწოდა. როგორც მისი დირექტორი დავით შუბითიძე აცხადებს, ქესალო ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში მალარიის გავრცელების ზონად იყო ცნობილი.

**"დაავადება ნაწილობრივ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიიდან შემოდის, თუმცა ძირითადი მიზეზი არის სოფელში არსებული ჭაობი, სადაც კოღო ანოფელესია გავრცელებული. მიმდინარე წელს მხოლოდ ამ ერთ სოფელში მალარიის 29 დადასტურებული შემთხვევა გვაქვს და უმრავლესობა რეციდივულად შეიძლება ჩაითვალოს. ეს ალბათ იმის გამო, რომ გასულ წლებში არ ხდებოდა ავადმყოფების საფუძვლიანი კვლევა და არ კეთდებოდა საჭირო ანალიზები,"** - აცხადებს შუბითიძემ.

ქესალოს სოფლის ამბულატორიის მთავარი ექიმი მუბარის იუსუბოვი ამბობს, რომ სოფელში გასულ წელს მალარიის 52 შემთხვევა დაფიქსირდა და წელს დაავადებული გაცილებით მეტია. მისი თქმით, იქ მცხოვრებთ სამკურნალოდ მარნეულის ცენტრში წასვლა უჭირთ, რადგან სოფლიდან მარნეულში ავტობუსი არ დადის. მათთვის გაცილებით იოლია რუსთავში მოხვედრა, თუმცა იქაურ საავადმყოფოში მალარიით დაავადებულ ქესალოელებს არ იღებენ. ქესალოს მეორე მცხოვრები ანვარ იუსუბოვი კი აცხადებს, რომ მათი არაერთგზის მიმართვის მიუხედავად, ჭაობის დაშრობაზე არავინ ზრუნავს, ავადმყოფობა კი სწრაფად ვრცელდება. **"ჩემს სამეზობლოში ერთი ოჯახი აღარ დარჩა ციებ-ცხელებიანი ავადმყოფი რომ არ ჰყავდეთ,"** - ამბობს იუსუბოვი.

**"სოფელ ქესალოში მალარიის საწინააღმდეგო ღონისძიებებს ვატარებთ. მივიღეთ თუ არა ინფორმაცია, მაშინვე გადაწყდა მთელი სოფლის გამოკვლევა. ჩვენ ყველა სიცხიანი ავადმყოფი გამოვიკვლიეთ და დღევანდელი მდგომარეობით 17 ავადმყოფს აღენიშნება მალარიისთვის დამახასიათებელი ნიშნები, თუმცა გამოკვლევის საბოლოო პასუხები ჯერ ცნობილი არ არის. საწყისი ინფორმაციით, დაავადება მასობრივი იყო, თუმცა ირკვევა, რომ დაავადება ბევრს უკვე გადატანილი აქვს ან მკურნალობს. დღეს სოფელში არსებული დაჭაობებული ადგილები სპეციალური ხსნარით დამუშავდება, ხოლო მოსახლეობას დაურიგდება სამკურნალო პრეპარატები და პოლივიტამინები. შემდგომში ექიმები მათ კონტროლზე აიყვანენ,"** - განუცხადა "24 საათს" საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ გია ჭირაქაძემ.

# ქართველი მეთევზეების ძველი პრობლემები

ქეთინო ჭაკობია
ფოთიდან

თევზჭერა, წესით, ფოთელისთვის ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობა უნდა იყოს, მაგრამ ეს სფერო იმდენ პრობლემასა და გაუგებრობას უკავშირდება, ალტერნატივის არსებობის შემთხვევაში, ფოთელი კაცი ზღვისკენ საერთოდ არ გაიხედავდა.

ქაფშიის რეწვის კიდევ ერთი სეზონი დამთავრდა. იმედი, რომ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ქართველი მეთევზეებისადმი ლოიალურად განეწყობოდა, არ გამართლდა. შეცვლით არაფერი შეცვლილა, მეტიც, როგორც ადგილზე ამბობენ, საქმე კიდევ უფრო გართულდა.

**"სამინისტროს მეთევზეების სასიკეთოდ არაფერი გაუკეთებია, არც ერთი ჩვენი არგუმენტირებული თხოვნა დადებითად არ გადაწყვეტილა, პირიქით, გაიზარდა სალიცენზიო გადასახადი,"** - ასეთია ფოთელ მეთევზეთა ასოციაციის თავმჯდომარის ოთარ ჯამბურიას შეფასება.

**"ქაფშიის სახით ჩვენ გვაქვს ნედლეული, რომელსაც ქვეყნის ხაზინისთვის სოლიდური მოგების მოტანა შეუძლია. ქალბატონ ლებანიძეს წერილობითაც ვთხოვე, სიტუაციის დარეგულირებისთვის ეზრუნა, მაგრამ - უშედეგოდ. ვერ მოხერხდა ძველი მენტალიტეტის შეცვლა. სამინისტრომ გასაფუჭებელი უკვე გააფუჭა,"** - ასე მსჯელობს თევზის გადამამუშავებელი საამქრო "კაბადოკიას" დირექტორი მურმან ხარაბაძე.

ხელის შემშლელ ძირითად ფაქტორად თურქული სეინერების შემოყვანა სახელდება. კანონდარღვევებზე ხმამაღალი საუბრის შემდეგ მათზე ლიცენზიის გაცემა მართლაც აიკრძალა; სამაგიეროდ, თურქული ხომალდები ჩვენს ტერიტორიულ წყლებში უკვე ქართული დროშით ცურავენ. ლიცენზია ქართულ ფირმაზე გაიცემა, თუმცა, სეინერიც, მთლიანი ეკიპაჟიც თურქულია და აღნიშნულის შესახებ ყველაზე უკეთ სწორედ საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ხელმძღვანელობასა და ლიცენზიის გამცემ სტრუქტურებს მოეხსენებათ.

**"თურქეთის ტერიტორიულ წყლებში უკვე განადგურდა შავი ზღვის შელფი, ანუ ქვედა ფენა, რომლის აღდგენას ასეულობით წლები სჭირდება. ანალოგიური მოხდება ჩვენთან, რადგან თურქული სეინერები ისეთ თევზსაჭერ იარაღებს იყენებენ, რომელიც ანადგურებს, თხრის ფსკერს. ეს ჩემი სუბიექტური აზრია, თუმცა ხაზგასმით შემიძლია ვთქვა, რომ შავი ზღვის გადარჩენის მიზნით, მათთვის თევზჭერის აკრძალვა აუცილებელია,"** - ამბობს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის ფოთის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი თამაზ კვახაძე.

**"წინა წლების ტენდენცია ამჯერადაც გამეორდა. თურქები თევზჭერას ისევ უკანონო ქისა-ბადეებით, ელექტრო-შოკური აპარატებით ახორციელებენ. ქართულმა გემებმა, ფაქტობრივად, ვერ იმუშავეს. იქ, სადაც თურქი თევზმომპოვებელი გაივლის, თევზის მარაგი განადგურებულია,"** - ირწმუნება ოთარ ჯამბურია.

"კაბადოკიას" 50-პროცენტიანი წილის მფლობელები თურქეთის მოქალაქეები არიან. ხარაბაძე ფიქრობს, რომ თურქების მიერ ჩვენს ტერიტორიულ წყლებში თევზის მოპოვება მისი ბიზნესინტერესებისთვის წამგებიანია. **"ქარხნის ასამუშავებლად სოლიდური თანხა დაიხარჯა. საბანკო სესხი მაქვს აღებული. სახელმწიფო სისტემა მყარი ნაბიჯების გადადგმის საშუალებას არ მაძლევს. ბიზნესის განვითარებაზე მხოლოდ პრეზიდენტი აკეთებს განცხადებებს. სხვა სტრუქტურები მეწარმის ხელშეწყობისთვის არ ზრუნავენ. ავიღოთ, თუნდაც, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. საკითხები დილეტანტების დონეზე წყდებოდა. გასულ წელს პროფესიონალთა მოსაზრებების საწინააღმდეგო გადაწყვეტილებები მიიღეს. თევზჭერა აღორძინდება, თუ კიდევ რაიმემ არ გადაგვიღობა გზა,"** - ამბობს ხარაბაძე, - **ქარხანა რომ არ გაჩერებულიყო, იძულებული გავხდი, ჩვენს ფირმასაც შემოეყვანა თურქული სეინერები, თუმცა მხოლოდ ორი გემით შევიზღუდე, რადგან მუშაობის პროცესში მივხვდი, რომ თურქი მეთევზე ჩემი მტერია, იგი ზღვაში თევზის მარაგს ანადგურებს. თუ თევზი არ იქნა, იძულებული ვიქნები, მუშაობა მივატოვო."**

ოფიციალურად, თურქი მეთევზე ქართული დროშით დაცურავს, რაც, რეწვის პროცესის გამარტივებიდან გამომდინარე, მისთვის ხელსაყრელია. გარკვეული საფასურის საზღაურად, სირთულეს არ წარმოადგენს გარიგება ქართულ მხარესთან, რომელიც ფორმალურად მისი დამქირავებელი ხდება. იშვიათი გამონაკლისის გარდა, მხარეებს შორის ურთიერთობა აქ მთავრდება. დაუზუსტებელი ინფორმაციით, სხვა ქვეყნებში დროშის შეცვლა დამატებით პროცედურებსაც უკავშირდება, თურქი თევზმომპოვებლების შეზღუდვის ფაქტს კი ადგილზე ვერავინ ასახელებს.

ის, რომ თურქები აკრძალულ ბადეიარაღებს იყენებენ, რომ მათ მიერ გადაყრილი ქაფშიით ბინძურდება ზღვა, ფიქსირდება ერთი, კვოტით განსაზღვრული რაოდენობა და გაცილებით მეტი თევზი კონტრაბანდული გზით გაედინება ქვეყნის ფარგლებს გარეთ, არავისთვისაა უცხო და პირველად აღმოჩენილი. თუმცა, ჩამოთვლილი ფაქტების ოფიციალურად დაფიქსირების ბერკეტები ადგილზე არ არსებობს. ფოთის შავი ზღვის დაცვის კონვენციული ინსპექცია საჯარიმო თუ სხვა სანქციების დაწესებას ვერ ახერხებს.

**"თევზსაჭერ სეინერებზე არსებული სარეგისტრაციო ჟურნალები ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროინდელია და ზოგი გემთმფლობელი მათ გამოყენებაზე უარს სამართლიანად აცხადებს. მე როგორ უნდა ვარეგულირო კვოტის ათვისება? კანონმდებლობაში არ არსებობს მუხლი, რითიც შესაძლებელი იქნება იგივე ჟურნალში არასწორი ჩანაწერებისა და რეწვის პერიოდში თევზჭერის რაოდენობის არარეგისტრაციისთვის ჯარიმის დაწესება. რადგან მცურავი საშუალება არ გაგვაჩნია, იძულებული ვართ, მესაზღვრეებს, სანაპირო დაცვას ვთხოვოთ და ერთობლივი რეიდები მოვაწყოთ, მაგრამ მას პერიოდული ხასიათი აქვს და წინასწარ რამდენიმე სამსახურთან შეთანხმებული რეიდიც არაეფექტურია,"** - ამბობს ფოთის შავი ზღვის დაცვის კონვენციური ინსპექციის მთავარი სპეციალისტი ვიქტორ გვილავა. მისი განცხადებით, ლიცენზიაში მითითებულია დასაშვები ბადე-იარაღების ზომები, მაგრამ კანონში არსადაა განმარტებული მათი კონკრეტული ზღვარი და აკრძალვის მიზეზი. **"ქართველმა მეთევზეებმა მოგვმართეს საჩივრით, რომ თურქები 1500 მეტრის და მეტი სიგრძის ბადეებს იყენებდნენ. მოვიწვიეთ სპეციალისტები, შემოწმდა თოთხმეტივე თურქული სეინერი, მაგრამ 700 მეტრს არც ერთი ბადე-იარაღის სიგრძე არ გადასცილდა,"** - ირწმუნება გვილავა, რასაც ფოთელი მეთევზეები საკმაოდ კატეგორიული განცხადებით პასუხობენ. **"მე თვითონ ვესწრებოდი თურქულ გემზე ქისა–ბადეების შემოწმების პროცესს, როცა მათმა სიგრძემ 1500 მეტრს გადააჭარბა, ფოთის შავი ზღვის დაცვის კონვენციური ინსპექციის თანამშრომლებმა სეინერი დატოვეს და შემოწმებას ბოლომდე არ დაესწრნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ აქტი უნდა შეედგინათ,"** - ამბობს ფოთელ მეთევზეთა ასოციაციის თავმჯდომარე ოთარ ჯამბურია.

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი: გასულ სეზონზე 14 თურქულ სეინერს კვოტა 15 500 ტონით განესაზღვრა. ფაქტობრივმა შესრულებამ, ხსენებული ინსპექციის მონაცემებით, 11 502 ტონა, ანუ 75 პროცენტი შეადგინა. რეგიონული საბაჟო - "დასავლეთი" კი თურქეთში საექსპორტოდ გატანილ 2 039 ტონა ქაფშიას აფიქსირებს. ადგილზე, "კაბადოკიამ" თურქებისგან 2 000 ტონამდე ქაფშია ჩაიბარა, ანალოგიური ტიპის მეორე საამქროს სეზონზე თითქმის არ უმუშავია. ხომ არ არის, დაახლოებით, 7 000 ტონა საკმაოდ დიდი ცდომილება?! ან სულაც, რამდენად რეალურია ჩვენს ტერიტორიულ წყლებში შემოსვლისას თურქი თევზმომპოვებლების ინტერესი მხოლოდ ათასამდე ტონა ქაფშიის რეწვით იფარგლებოდეს?!

ქვეყნის პრეზიდენტი ბიზნესის ხელშეწყობაზე საუბრობს, ქართველი მეთევზეები კი სახელმწიფოს მხარდაჭერას ვერ გრძნობენ. ეროვნული სიმდიდრით, ადგილობრივზე მეტად, უცხოელი სარგებლობს. არაერთი პრობლემის პარალელურად, ერთ ტონა ქაფშიაზე სალიცენზიო თანხა 7- დან 25 ლარამდე იზრდება. ქართველი მეთევზისთვის იგივე ლიცენზიის აღება ზედმეტი გაუგებრობების თემა და, როგორც ისინი ამბობენ, რამდენიმედღიანი მოცდენისა და გაუთვალისწინებელი ხარჯების მიზეზი ხდება, - ეს იმ საკითხების არასრული ჩამონათვალია, რომელთა დარეგულირებას ქართველი თევზმომპოვებლები წლების მანძილზე ამაოდ ითხოვენ.

**"რეწვის სეზონის ექვსი თვის მანძილზე ხუთი თვე გაჩერებული ვიყავი. სალიცენზიო ფასი 25 ლარი გახდა. ერთი ტონა თევზის მოსაპოვებლად მთლიანი ხარჯი 70 ლარს უტოლდება. თუ მე 70 ლარად ჩავაბარე, მოგება სად ვნახო? შემეძლო, 2 000 ტონა ქაფშია დამეჭირა და მხოლოდ 400 ტონაზე ვიმუშავე. პრეზიდენტი სააკაშვილი ჩვენ გვიჭერს მხარს. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე თამაზ ხიდაშელი, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თევზის მეურნეობის დეპარტამენტი ჩვენს მხარესაა, მაგრამ პარლამენტში მოკალათებული ერთი-ორი კორუმპირებული ჩინოვნიკი ყველა ხერხს მიმართავს, რომ ბარიერი შეგვიქმნას. ადრე, 1998 წლამდე, თურქები ქართველებისგან ყიდულობდნენ თევზს და ამდენი კანონდარღვევაც არ იყო. თვითონ თურქ მეთევზეებს ჩვენი პრობლემები სასაცილოდ არ ჰყოფნით, მათ სახელმწიფოსგან აქვთ ხელშეწყობა. ჩვენთან, ტრანსპორტის სამინისტრომ გემის სადგომის საკითხიც ვერ გადაგვიწყვიტა. გვაცალონ, გვამუშაონ, ხელი არ შეგვიშალონ, მოსპონ ბიუროკრატიზმი. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის ახალ მინისტრზე ჯერ ვერაფერს ვიტყვი. არის დაპირებები და ვნახოთ,"** - ამბობს კოოპერაციული საწარმო "რუდიტკალეს " დირექტორი ნორად მიმინოშვილი.

მეთევზეობის შესახებ ახალი კანონი ქვეყანას არ გააჩნია. მიუხედავად კანონის დაჩქარებული ტემპით მიღებაზე საუბრისა, საკითხი ჯერაც ძველი, ათეული წლების წინანდელი კანონით რეგულირდება. **"ისე დასრულდა სეზონი, ჩვენ არავითარი ინფორმაცია არ მიგვიღია და, საერთოდ, არსებობს თუ არა თევზის მეურნეობის დეპარტამენტი და რას აკეთებს, ჩვენთვის გაუგებარია. ვითხოვდით მეთევზეობის შესახებ კანონის ქვემდებარე აქტების მიღებას, ვითხოვდით, დაგვეხმარებოდა სახელმწიფო დასაქმებაში, თევზის რეალიზაციაში,"** - აცხადებს ოთარ ჯამბურია.

გიორგი პაპუაშვილის საკითხისადმი მიდგომა ჩვენთვის უცნობია, თუმცა, თუ სახელმწიფოებრივ ინტერესებს ეროვნულ ჭრილში განვიხილავთ, მომავალ სეზონზე მეთევზეებს პრობლემები უნდა შეუმცირდეთ.

და ბოლოს: ივნისიდან რეწვის საზაფხულო სეზონი დაიწყო. მართალია, მეთევზეთა ინტერესი, ზამთრის სეზონთან შედარებით, ნაკლებია, მაგრამ მსურველებს ლიცენზიები ჯერაც არ აუღიათ. დაუზუსტებელ ინფორმაციას ფოთელ მეთევზეთა ასოციაციის თავმჯდომარეც ეთანხმება და აცხადებს, რომ მიუხედავად განაცხადების წარდგენისა და ბათუმის კვლევითი ინსტიტუტის მიერ კვოტის განსაზღვრისა, სალიცენზიო საბჭოს სხდომა არ ჩატარებულა.


Deloitte.

# დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

## სს "ბაზისბანკი"-ს აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს:

ჩვენ ჩავატარეთ "ბაზისბანკი"-ს ("ბანკი") თანდართული ბალანსის აუდიტი 2004 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მოგებისა და ზარალის, ფულადი სახსრების მოძრაობისა და აქციონერთა კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების აუდიტი, იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღისთვის. წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ბანკის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოვალეობაა, ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს. აუდიტი ითვალისწინებს მტკიცებულებების შემოწმებას ტესტირების საფუძველზე ფინანსური ანგარიშგების თანხებისა და ახსნა-განმარტებების დადასტურების მიზნით. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის შეფასებას, აგრეთვე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას მთლიანად. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის შესადგენად.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებები ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2004 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

21 აპრილი, 2005

Deloitte & Touche

### სს ბაზისბანკი
მოგება-ზარალის ანგარიში 2004 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მდგომარეობით
(ათას ლარებში)

| | შენიშვნა | 2004 | 2003 |
|---|---|---|---|
| პროცენტული შემოსავლები | 4,22 | 2,291 | 1,894 |
| პროცენტული ხარჯები | 4,22 | (668) | (396) |
| წმინდა პროცენტული შემოსავალი სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის აღდგენამდე/(ფორმირებამდე) | | 1,623 | 1,498 |
| სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის აღდგენა/(ფორმირება) | 5 | (402) | (362) |
| წმინდა პროცენტული შემოსავალი | | 1,221 | 1,136 |
| წმინდა (ზარალი)/მოგება უცხოური ვალუტის ოპერაციებიდან | 6 | 177 | 131 |
| შემოსავლები მომსახურებიდან და მიღებული საკომისიოები | 7 | 729 | 569 |
| მომსახურების ხარჯები და გადახდილი საკომისიოები | 7 | (320) | (207) |
| წმინდა მოგება საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების ოპერაციებიდან | | 535 | 576 |
| სხვა შემოსავლები | 8 | 93 | 91 |
| წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი | | 1,214 | 1,160 |
| საოპერაციო შემოსავლები | | 2,435 | 2,296 |
| საოპერაციო ხარჯები | 9 | (1,294) | (609) |
| მოგება სხვა ოპერაციების შესაძლო დანაკარგების რეზერვის (ფორმირებამდე)/აღდგენამდე, მოგების გადასახადის გადახდამდე | | 1,141 | 1,687 |
| სხვა ოპერაციების შესაძლო დანაკარგების რეზერვის (ფორმირება)/აღდგენა | 5 | (1) | (40) |
| მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე | | 1,140 | 1,647 |
| მოგების გადასახადი | 10 | (184) | (190) |
| წმინდა მოგება | | 956 | 1,457 |

**გამგეობის სახელით**

ზურაბ ციხისთავი
გენერალური დირექტორი

მურმან ამბროლაძე
დირექტორი

### სს ბაზისბანკი
ბალანსი 2004 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ლარებში)

| | შენი-შვნა | 2004 | 2003 |
|---|---|---|---|
| **აქტივები:** | | | |
| ნაღდი ფული და ფულადი სახსრები საქართველოს ეროვნულ ბანკში | 11 | 7,109 | 3,641 |
| სესხები და ავანსები გაცემული ბანკებზე, სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის გამოკლებით | 12 | 5,651 | 5,255 |
| სესხები და ავანსები გაცემული კლიენტებზე, სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის გამოკლებით | 13 | 14,743 | 7,983 |
| გასაყიდად განკუთვნილი ფასიანი ქაღალდები | 14 | 240 | 2,189 |
| ინვესტიციები | 14 | 60 | 60 |
| ძირითადი საშუალებები დაგროვილი ცვეთის გამოკლებით | 15 | 1,635 | 1,189 |
| არამატერიალური აქტივები დაგროვილი ცვეთის გამოკლებით | 16 | 135 | 72 |
| სხვა აქტივები, შესაძლო დანაკარგების რეზერვის გამოკლებით | 10 | - | 13 |
| სხვა აქტივები, შესაძლო დანაკარგების რეზერვის გამოკლებით | 17 | 256 | 295 |
| სულ აქტივები | | 29,829 | 20,697 |
| **ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი:** | | | |
| ვალდებულებები: | | | |
| ბანკებიდან მიღებული დეპოზიტები | | 7 | - |
| კლიენტთა ანგარიშები | 18 | 20,142 | 11,651 |
| საგადასახადო ვალდებულებები | 10 | 27 | 15 |
| სხვა ვალდებულებები | 19 | 166 | 100 |
| სულ ვალდებულებები | | 20,342 | 11,766 |
| საკუთარი კაპიტალი: | | | |
| სანესდებო კაპიტალი | 20 | 5,025 | 5,025 |
| გაუნაწილებელი მოგება | | 4,462 | 3,906 |
| სულ საკუთარი კაპიტალი | | 9,487 | 8,931 |
| სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი | | 29,829 | 20,697 |
| პირობითი ფინანსური ვალდებულებები | | 5,421 | 2,979 |

**გამგეობის სახელით**

ზურაბ ციხისთავი
გენერალური დირექტორი

მურმან ამბროლაძე
დირექტორი

# ბრიუსელის სამიტი: კრიზისიდან გამოსავალი თუ ახალი საფრთხე?

თიკო მაჭარაშვილი

ბრიუსელის სამიტის წინ, რომელიც 16-17 ივნისს გაიმართება, ევროპული გაერთიანების მმართველები ცდილობენ არ გაამძაფრონ ევროკავშირის კრიზისი, გამოწვეული საფრანგეთსა და ნიდერლანდებში ევროპის კონსტიტუციის ჩავარდნით. ამ სამიტზე ევროპის ლიდერებს მოუწევთ არანაკლებ მწვავე პრობლემის მოგვარებაც - ისინი 2007-2013 წლების ევროკავშირის ბიუჯეტზე უნდა შეთანხმდნენ.

ევროპული გაერთიანების მომავალი დაკავშირებულია სამეულის - ტონი ბლერის, ჟაკ შირაკისა და გერჰარდ შრიოდერის ურთიერთშეთანხმებაზე.

სამშაბათს, პარიზში პრეზიდენტ შირაკთან შეხვედრისას, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ბრიუსელში დააყენებს საერთო სამეურნეო პოლიტიკის ხელახალი შესწავლის საკითხს. ეს იდეა უკვე კატეგორიულად არის უარყოფილი საფრანგეთის მიერ, რომელსაც ასევე მხარს უჭერს გერმანია. საერთო სამეურნეო პოლიტიკის ეს პროექტი, რომლის თანახმადაც საფრანგეთმა 2013 წლამდე უნდა მიიღოს დახმარება, ერთსულოვნად იყო დამტკიცებული 2002 წლის ოქტომბერში.



*ტონი ბლერმა და ჟაკ შირაკმა მაინც ვერ მიაღწიეს შეთანხმებას ბიუჯეტის საკითხზე - ყველაფერს ხვალინდელი სამიტი გადაწყვეტს.*

თავის მხრივ, გერმანიის კანცლერი და პრეზიდენტი შირაკი იმედოვნებენ, რომ ბრიუსელში მიღებული იქნება გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც გადაიხედება დიდი ბრიტანეთის წლიური შემოსავალი 2007-2013 ევროპული გაერთიანების ბიუჯეტიდან. ეს პოზიცია მიუღებელია ოფიციალური ლონდონისთვის, რომელიც თვლის, რომ ეს 2007-2013 წლებში ქვეყნისთვის 25-დან 30 მილიადრ ევრომდე დანაკარგს გამოიწვევს.

ბრიუსელის სამიტზე კომპრომისის მიღწევას საფრთხეს უქმნის ასევე იტალია, რომელიც ვეტოს უფლებას გამოიყენებს, რადგან 8 მილიადრი ევროს დაკარგვის საშიშროება ექმნება, რომელსაც იღებდა მეზოჯიორნოსთვის (სამხრეთ იტალია) დახმარების სახით.

ევროკავშირის საბჭოს მოქმედი თავმჯდომარე ჟან-კლოდ იუნკერი "თითქმის დარწმუნებულია", რომ ხუთშაბათს ბრიუსელის სამიტზე ევროპული გაერთიანების 2007-2013 წლების ბიუჯეტის საკითხზე შეთანხმება ვერ მიიღწევა. "**თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ამ სამიტზე ვერ გავიტანთ ფინანსური პერსპექტივების პროექტს**, - აღნიშნა ჟან-კლოდ იუნკერმა, - **თუკი ამჯერად მიღწეული იქნება შეთანხმება 2007-2013 წლებში დანახარჯის ზოგადად განსაზღვრაზე, ეს უკვე დიდ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს".**

ტონი ბლერმა სამშაბათს ლუქსემბურგის პრემიერ-მინისტრთან, ჟან-კლოდ იუნკერთან შეხვედრისას განაცხადა, რომ მიუღებლად მიაჩნია მისი პოზიცია, 4,6 მილიარდ ევრომდე შეამციროს 2007 წელს დიდი ბრიტანეთის წლიური შემოსავალი ევროკავშირის ბიუჯეტიდან.

ბრიუსელის სამიტზე წარდგენილ ბიუჯეტში, ევროპულ გაერთიანებაში შემსვლელი კანდიდატებიდან, გათვალისწინებული იქნებიან მხოლოდ რუმინეთი და ბულგარეთი, რადგან მათ ინტეგრირებას ევროკავშირში ხელი მოეწერა 2005 წლის აპრილის ბოლოს. ეს ორი ქვეყანა გაერთიანებაში 2007 წელს იქნება მიღებული.

# დონალდ რამსფელდი გუანტანამოს ციხეს იცავს

*კუნძულ კუბაზე განლაგებული ამერიკული სამხედრო ბაზა გუანტანამო, ანტიტერორისტული კამპანიის დაწყებისთანავე, გაივსო ტერორიზმში ეჭვმიტანილი პატიმრებით. 2002 წლიდან დღემდე გუნტანამო ყველაზე დიდ ტერორისტთა საპყრობილედ გადაიქცა. მიუხედავად ბოლო დროს გავრცელებული ხმებისა, რომ გუანტანამოში პატიმრებს არაადამიანურად ეპყრობიან, პენტაგონის შეფის თქმით, აშშ-ს გუანტანამოს მსგავსი საპყრობილის ალტერნატივა არ აქვს.*



აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა განაცხადა, რომ კუბაზე, გუანტანამოს საპყრობილე კვლავაც რჩება "ტერორიზმთან ომის" ერთ-ერთ მთავარ ნაწილად, მიუხედავად იმისა, რომ პატიმრების მიმართ მოპყრობის თაობაზე სხვადასხვა მოსაზრებები გაისმა. რამსფელდმა დაიცვა გუანტანამოს ციხე და იქ პატიმრების მიმართ მოპყრობა. ამის მთავარი მიზეზი კი ის არის, რომ აშშ-ს ტერიტორიაზე არ არსებობს გუნტანამოს სამხედრო ბაზაზე განთავსებული საპყრობილის ალტერნატივა. **"მე არ ვიცი სხვა ადგილი, სადაც მსგავსი პირობები და შესაბამისი ინფრასტრუქტურაა ასეთი რაოდენობის ხალხის შესანახად",** - განაცხადა სამშაბათს ბიბისი-სთან ინტერვიუში დონალდ რამსფელდმა.

პენტაგონის ხელმძღვანელის თქმით, ომების ისტორიაში არც ერთი საპატიმრო არ ყოფილა ასე გამჭვირვალე და არ მიუპყრია ასეთი ყურადღება, როგორც გუანტანამოს. რამსფელდი ამბობს, რომ ამერიკელ გადამხდელებს საპატიმრო ბანაკის მშენებლობა ასი მლნ დოლარი დაუჯდათ. ხოლო მისი შენახვა ყოველწლიურად 90-95 მლნ დოლარი ჯდება. აშშ-ს თავდაცვის მინისტრს არც ის დაუმალავს, რომ პატიმრების რელიგიური გრძნობების გათვალისწინებით, აშშ მეტს ხარჯავს პატიმრების საკვებზე, ვიდრე საკუთარი ჯარისკაცების გამოკვებაზე.

რამსფელდი შეუერთდა აშშ-ის ადმინისტრაციის ზოგიერთ წევრს, რომლებიც კრიტიკას წინ აღუდგნენ მას მერე, რაც პრეზიდენტ ბუშის რესპუბლიკური პარტიის მნიშვნელოვანი ფიგურები შეუერთდნენ მოწოდებას, დაიხუროს ეს საპატიმრო. ორი დღის წინ ვიცე-პრეზიდენტმა ჩეინიმაც დაადასტურა, რომ ამ ციხის დახურვა არ იგეგმება.

დღეისთვის, გუანტანამოს ბაზაზე დაახლოებით 520 პატიმარი იმყოფება. ტერორიზმში ეჭვმიტანილები თითქმის 40 ქვეყნის მოქალაქეები არიან. ბანაკი პატიმრებისთვის 2002 წლის იანვარში გაიხსნა.

*24 საათი*

# ესპანეთში ტერორიზმში ეჭვმიტანილები დააკავეს

ესპანეთის პოლიციამ ტერორიზმში ეჭვმიტანილი თექვსმეტი მუსლიმი დააპატიმრა. ესპანეთის შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით, თერთმეტი მათგანი ექსტრემისტული დაჯგუფების "ანსარ ალ-ისლამის" ლიდერ აბუ მუსაბ აზ-ზარქავისთან კავშირშია ეჭვმიტანილი. დანარჩენი ხუთი კი გარეულია 2004 წლის 11 მარტს მადრიდის რკინიგზის სადგურებში მატარებლების აფეთქებაში. შეგახსნებთ მაშინ 191 ადამიანი დაიღუპა.

**"უმეტესობამ ისლამისთვის წამებულად გახდომის სურვილი გამოთქვა. ისინი მზად არიან, ნებისმიერ მომენტში, როცა ამას მათი უფროსები მოინდომებენ, თვითმკვლელ-ტერორისტებად გადაიქცნენ. ყველაფერი ეს კი იმის დასტურია, რაოდენ საშიშნი არიან ისინი",** - ნათქვამია სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ეს ადამიანები ესპანეთის სხვადასხვა ქალაქში, კერძოდ, კი მადრიდში, ვალენსიაში, კატალონიის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ რეგიონში, ანდალუზიაში, ლევანტეში, ცეუტაში, ასევე ჩრდილოეთ მაროკოს სანაპიროზე მდებარე ესპანეთის ტერიტორიაზე დააკავეს.

ბიბისი-ის ცნობით, მას შემდეგ, რაც მადრიდში აფეთქებებმა ხელისუფლების შეცვლა და ერაყიდან ესპანეთის ჯარების გაყვანა გამოიწვია, ქვეყნის პოლიცია დიდი გულმოდგინებით იკვლევს ნებისმიერ საქმეს, რომელიც, ასე თუ ისე, დაკავშირებულია ტერორისტების აქტიურობასთან.

*24 საათი*

# „უსამა ბინ ლადენი ცოცხალი და საღსალამათია"



*ნომერ პირველი ტერორისტი კვლავაც მოუხელთებელია.*

ნინო ტიკარაძე

პაკისტანის კერძო ტელევიზიის Geo-ს ეთერში თალიბების ერთ-ერთმა სამხედრო მეთაურმა მოლა აკტარ უსმანიმ განაცხადა, რომ უსამა ბინ ლადენი და თალიბების ყოფილი ლიდერი მოლა ომარი ცოცხლები არიან და თავს მშვენივრად გრძნობენ: **"მოლა ომარი კვლავაც ჩვენი მეთაურია. მასთან კავშირს არ ვწყვეტთ. ჭორები იმის შესახებ, რომ თითქოს ის ავადაა, ჩვენმა მტრებმა გაავრცელეს".**

უსმანიმ, რომელიც თალიბანის მოძრაობის ხელმძღვანელთა საბჭოს წევრია, არაფერი თქვა იმის შესახებ, იღებს თუ არა ომარი მონაწილეობას საბჭოს შეხვედრებში.

**"თავს შევიკავებ იმის თქმისგან, ვხვდებით თუ არა ერთმანეთს. მხოლოდ ერთს გეტყვით - მისგან მითითებებს კვლავაც ვიღებ",** - ამბობს უსმანი.

რაც შეეხება "ალ კაიდას" ლიდერს, უსამა ბინ ლადენს, უსმანის განცხადებით, ისიც ცოცხალი და უვნებელია: **"ის თავს მშვენივრად გრძნობს. მის ადგილსამყოფელს კი ნამდვილად არ გაგიმხელთ".**

სამწუხაროდ, თითქმის შეუძლებელია მოლა უსმანის მიერ ბინ ლადენზე მოწოდებული ინფორმაციის სისწორის გადამოწმება, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ წარსულში თალიბებისა და ალ-კაიდას ლიდერის კავშირებს, უსმანის მონათხრობი შეიძლება საკმაოდ ახლოს იყოს სიმართლესთან.

სააგენტო ბიბისი-ის ინფორმაციით, მოლა უსმანი თალიბთა ერთ-ერთი მეთაური იყო მათი რეჟიმის დაცემამდე, ანუ 2001 წლამდე. ეს ადამიანი დღესაც თალიბთა თავდასხმების ორგანიზატორად ითვლება.

მოლა უსმანის კომენტარამდე ერთი დღით ადრე, პაკისტანის პრეზიდენტმა ფერვეზ მუშარაფმა ავსტრალიაში ყოფნისას მათ მიერ "ალ კაიდას" დაპატიმრებული წევრებისგან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, განაცხადა, რომ უსამა ბინ ლადენი ცოცხალია.

**"თალიბები მთელ ავღანეთში არიან მიმოფანტულები. შესაძლოა, ზოგიერთ პროვინციაში ბევრნი იყვნენ, ზოგან კი ცოტა, მაგრამ, ფაქტია, რომ მათ (თალიბების) მიმართ მხარდაჭერა სულ უფრო იზრდება"**, - განაცხადა მოლა უსმანიმ ინტერვიუში.

მოგეხსენებათ, 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების შემდეგ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უსამა ბინ ლადენსა და მოლა ომარის დაჭერისთვის ფულადი ჯილდოები დააწესა – შესაბამისად, ოცდახუთი და ათი მილიონი ევრო. თუმცა, ამან პრობლემა მაინც ვერ მოაგვარა.

უსამა ბინ ლადენის ადგილსამყოფელთან დაკავშირებით უამრავი მოსაზრება არსებობს. ერთ-ერთი ვერსიით, ალ-კაიდას ლიდერი ავღანეთის მოსაზღვარე პაკისტანის უკონტროლო რეგიონს აფარებს თავს.

საოცარია, როგორ მოახერხა პაკისტანურმა Geo TV-იმ თალიბების ერთ-ერთ მეთაურთან ინტერვიუს ჩაწერა იმ პირობებში, როცა თალიბებზე ძებნა აქვთ გამოცხადებული როგორც პაკისტანელებს, ასევე ამერიკულ სპეცსამსახურებს.

უკანასკნელ თვეებში ავღანეთში თავდასხმები გახშირდა, რაც, როგორც ამბობენ, იმის დასტურია, რომ თალიბები და ალ-კაიდას ბოევიკები ახალ ძალებს იკრებენ. ეს კი ამერიკელებისა და ავღანეთის ახალი ხელისუფლებისთვის კარგის მაუწყებელი ნამდვილად არ უნდა იყოს.


## AIG EUROPE LICENSED TO OPERATE A GENERAL INSURANCE COMPANY IN GEORGIA

NEW YORK, June 8, 2005 - American International Group, Inc. (AIG) today announced that its wholly owned subsidiary, AIG Europe, S.A., has received approval from the Insurance State Supervision Service of Georgia for the establishment of a branch in Tbilisi, Georgia. AIG Europe, S.A. (AIG Europe) is headquartered in Paris, France.

"The AIG Companies are well established in Central & Eastern Europe and the Commonwealth of Independent States (CIS). We view the long term growth potential of the general insurance market in the Caucasus region as promising," said Bengt Westergren, President of AIG's general insurance operations in Central Europe & CIS, and Vice-Chairman of the Board of Directors of AIG Europe, S.A. "Given Georgia's links with both the European Union and the United States, we are delighted to lend our expertise in providing quality general insurance products and services to businesses and individuals in Georgia."

Nikoloz Kitiashvili has been appointed Manager of the branch in Georgia. Previously, Mr. Kitiashvili was the representative of Marsh Caspian Services in Georgia. The AIG Europe - Georgia branch is located at Meidan Palace, 7 Bambis Rigi Street, Tbilisi, Georgia.

AIG Europe offers a comprehensive range of general insurance products and is licensed in Georgia for the following classes of insurance: Personal Accident and Sickness, Land Transport, Aviation, Cargo, Carriers Liability, Property, Financial Products, Motor TPL, Professional Indemnity, General Liability, and Compulsory Fire Insurance.

The AIG Companies general insurance operations in the Central Europe and CIS region include operations in Azerbaijan, Bulgaria, Czech Republic, Finland, Hungary, Kazakhstan, Poland, Romania, Russia, Slovakia, Ukraine, and Uzbekistan.

# # #

American International Group, Inc. (AIG) is the world's leading international insurance and financial services organization, with operations in more than 130 countries and jurisdictions. AIG member companies serve commercial, institutional and individual customers through the most extensive worldwide property-casualty and life insurance networks of any insurer. In the United States, AIG companies are the largest underwriters of commercial and industrial insurance and AIG American General is a top-ranked life insurer. AIG's global businesses also include retirement services, financial services and asset management. AIG's financial services businesses include aircraft leasing, financial products, trading and market making. AIG's growing global consumer finance business is led in the United States by American General Finance. AIG also has one of the largest U.S. retirement services businesses through AIG SunAmerica and AIG VALIC, and is a leader in asset management for the individual and institutional markets, with specialized investment management capabilities in equities, fixed income, alternative investments and real estate. AIG's common stock is listed in the U.S. on the New York Stock Exchange and ArcaEx, as well as the stock exchanges in London, Paris, Switzerland and Tokyo.

## AIG ევროპა ლიცენზირებულია საქართველოში არა-სიცოცხლის დაზღვევის განსახორციელებლად

ნიუ-იორკი, 2005 წლის 8 ივნისი - ამერიკის საერთაშორისო ჯგუფმა (AIG) განაცხადა, რომ მისმა შვილობილმა კომპანიამ - AIG ევროპა S.A. - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისაგან მიიღო საქართველოში ფილიალის სახით მუშაობის უფლება. AIG ევროპის სათაო ოფისი განთავსებულია პარიზში (საფრანგეთი).

"AIG-ს შვილობილი კომპანიები წარმატებით საქმიანობენ ცენტრალურ, აღმოსავლეთ ევროპასა და დსთ-ს ქვეყნებში. ჩვენ პერსპექტიულად განვიხილავთ კავკასიის რეგიონში არა-სიცოცხლის დაზღვევის ბაზრის გრძელვადიანი ზრდის პოტენციალს", განაცხადა AIG-ს ცენტრალური ევროპისა და დსთ-ს რეგიონის არა-სიცოცხლის დაზღვევის პრეზიდენტმა და AIG ევროპა S.A.-ს დირექტორთა საბჭოს თავჯდომარის მოადგილემ, ბენგტ ვესტერგრენმა. "ევროკავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან საქართველოს ურთიერთობის გათვალისწინებით, ჩვენ სიამოვნებით შევთავაზებთ ამ ქვეყნის ბიზნესის წარმომადგენლებსა და ფიზიკურ პირებს არა-სიცოცხლის დაზღვევის პროდუქციას, რომელიც დამყარებულია სადაზღვევო მომსახურებაში ჩვენს გამოცდილებასა და ხარისხზე".

საქართველოს ფილიალის მენეჯერად დაინიშნა ნიკოლოზ ქიტიაშვილი. მანამდე ბ-ნი ქიტიაშვილი მუშაობდა "მარშ კასპიან სერვის"-ის საქართველოს წარმომადგენლად. AIG ევროპას ფილიალი საქართველოში მდებარეობს ბიზნეს ცენტრ "მეიდან პალასში", მისამართზე - საქართველო, თბილისი, 0105, ბამბის რიგი N7.

AIG ევროპა გთავაზობთ არა-სიცოცხლის დაზღვევის სრულ სპექტრს და ლიცენზირებულია დაზღვევის შემდეგ სახეობებში: უბედური შემთხვევები და ავადმყოფობა, სახმელეთო ტრანსპორტი, ავიაცია, ტვირთები, გადამზიდველის პასუხისმგებლობა, ქონება, ფინანსური რისკები, ავტომოტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობა, პროფესიული პახუსისმგებლობა, საერთო-სამოქალაქო პასუხისმგებლობა და სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევა.

AIG-ს შვილობილი კომპანიების არა-სიცოცხლის სადაზღვევო საქმიანობა ცენტრალურ ევროპასა და დსთ-ს რეგიონში მოიცავს: აზერბაიჯანს, ბულგარეთს, პოლონეთს, რუმინეთს, რუსეთს, სლოვაკეთს, უზბეკეთს, უკრაინას, უნგრეთს, ფინეთს, ყაზახეთს და ჩეხეთს.

# # #

ამერიკის საერთაშორისო ჯგუფი (AIG) წარმოადგენს საერთაშორისო დაზღვევის და ფინანსური მომსახურების წამყვან ორგანიზაციას მსოფლიოში, რომელიც საქმიანობს 130-ზე მეტ ქვეყანაში. AIG-ს წევრი კომპანიები ემსახურებიან კომერციულ, საინსტიტუციო და ინდივიდუალურ კლიენტებს ქონების/პასუხისმგებლობისა და სიცოცხლის დაზღვევის სფეროში მსოფლიოში ყველაზე ფართო ქსელით. ამერიკის შეერთებულ შტატებში AIG-ს წევრი კომპანიები წარმოადგენენ კომერციული და ინდუსტრიული დაზღვევის უდიდეს ანდერაიტერებს, ხოლო AIG American General - ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე სიცოცხლის მზღვეველს. AIG-ს გლობალური საქმიანობა ასევე მოიცავს საპენსიო მომსახურებას, ფინანსურ მომსახურებას და აქტივების მართვას. AIG-ს ფინანსური მომსახურება მოიცავს საჰაერო ტრანსპორტის ლიზინგს, ფინანსურ პროდუქტებს, ვაჭრობისა და სამომხმარებლო ბაზრის შექმნას. AIG-ს მზარდ გლობალურ სამომხმარებლო ფინანსურ საქმიანობას ამერიკის შეერთებულ შტატებში უძღვება American General Finance. AIG აგრეთვე ახორციელებს ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ საპენსიო მომსახურებას აშშ-ში AIG SunAmerica და AIG VALIC-ის მეშვეობით და აქციების, ფიქსირებული შემოსავლების, ალტერნატიული ინვესტიციებისა და უძრავი ქონების მართვის გამოცდილებითა და პოტენციალით ლიდერია ინდივიდუალური და საინსტიტუციო ბაზრების აქტივების მართვაში. AIG-ს აქციების კოტირება ხდება აშშ-ში ნიუ-იორკის საფონდო ბირჟასა და ArcaEx-ზე, ასევე ლონდონის, პარიზის, შვეიცარიისა და ტოკიოს საფონდო ბირჟებზე.

# საქართველო აზერბაიჯანიდან გაზის შემოტანას ვერ ახერხებს

ქართულ მხარეს აზერბაიჯანული გაზის შესყიდვა სურს, მაგრამ მისი მიღება არ შეუძლია.

აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის პრეზიდენტის ნათიკ ალიევის ინფორმაციით, საქართველოს აზერბაიჯანისაგან წელიწადში 3 მილიარდი კუბური მეტრი გაზის შესყიდვის სურვილი აქვს. კერძოდ, 2005 წლის მანძილზე 200 მილიონი კუბური მეტრი აზერბაიჯანული გაზის მიღება სურს, 2006 წელს კი - 700 მილიონი კუბური მეტრის. თუმცა, ნათიკ ალიევი იმასაც ამბობს, რომ მართალია, 200 მილიონი კ/მეტრი გაზი უმნიშვნელო რაოდენობაა, მაგრამ საქართველოში მისი ექსპორტი, სათანადო ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო, ვერ ხერხდება.

ალიევი ურჩევს ქართულ მხარეს, აზერბაიჯანიდან საქართველოსკენ მომავალი ძველი გაზსადენი გაარემონტოს და სასურველი გაზი სწორედ ამ მილსადენით მიიღოს.

რაც შეეხება 3 მილიარდი კ/მეტრი გაზის შესყიდვას, ნათიკ ალიევის თქმით, ეს საკითხი განიხილება, მაგრამ მისი რეალიზაცია შესაძლებელი გახდება "შაჰ-დენიზის" საბადოს გადამუშავების მეორე სტადიაზე.

**"შაჰ-დენიზის" გადამუშავების პირველი სტადიის გათვალისწინებული გაზის მარაგი უკვე განაწილებულია და ქართულ მხარეს მხოლოდ 500 მილიონი კ/მეტრი გაზის შესყიდვა შეუძლია,"** - აცხადებს ნათიკ ალიევი.

მისივე თქმით, საქართველოში ამჟამად არსებული პუნქტი 500 მილიონ კ/მეტრზე მეტ აზერბაიჯანულ გაზს მაინც ვერ მიიღებს, რადგან სწორედ ამ რაოდენობაზეა გათვლილი.

"უფრო დიდი მარაგის მისაღებად საჭირო იქნება პუნქტის 60 კილომეტრზე გადატანა, ეს კი დამატებითი გაზსადენის მშენებლობას ნიშნავს, რასაც 60 მილიონი დოლარი დასჭირდება. ჯერჯერობით გაურკვეველია, ამ თანხას ვინ გადაიხდის," - აცხადებს აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის პრეზიდენტი.

*მედია-ნიუსი*

# დსთ-ს რკინიგზების ხელმძღვანელები თბილისში

*გუშინ თბილისში, სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" დსთ-ს წევრი ქვეყნების რკინიგზების ხელმძღვანელთა საბჭოს რიგით 41-ე სხდომა გაიმართა. შეხვედრაზე პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული რკინიგზების შეთანხმებულ და სინქრონულ მუშაობაზე იმსჯელეს. სხდომის მიღმა საქართველოს და რუსეთის მხარეებს აფხაზეთის რკინიგზაზეც მოუხდათ კომენტარების გაკეთება. თუმცა, თავად სხდომაზე ეს საკითხი არ განუხილავთ.*

თამარ ივანიძე

შეხვედრა რუსეთის რკინიგზის ხელმძღვანელმა გენადი ფადეევმა გახსნა. სხდომის მონაწილეებს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა სიტყვით მიმართა. მანვე წაიკითხა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მისასალმებელი წერილი სხდომის მონაწილეებისადმი.

დსთ-ს ქვეყნების სარკინიგზო ტრანსპორტის საბჭოს სხდომები ყოველწლიურად სხვადასხვა ქვეყანაში იმართება და ის ამ ქვეყნების რკინიგზების მუშაობის შედეგებსა და აქტუალურ პრობლემებს განიხილავს. აღნიშნული სხდომა რიგით 41-ა. მას, დსთ-ს ქვეყნების გარდა, ლატვიის, ლიტვიის, ესტონეთის, თურქეთის რკინიგზის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ნოღაიდელის განცხადებით, აღნიშნული საბჭოს ეფექტური მუშაობის შედეგია, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული სარკინიგზო ხაზების ერთობლიობა არ დაირღვა, რაც დამოკიდებელი სახელმწიფოების რკინიგზებს ურთიერთთანამშრომლობის საშუალებას აძლევს.

**"შეხვედრის თბილისში ჩატარება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია "საქართველოს რკინიგზაში" მიმდინარე რეფორმირების პროცესის ფონზე. რკინიგზის ახალი ხელმძღვანელობის ეფექტური მუშაობის შედეგად, მიმდინარე წლის ბოლომდე საქართველოს რკინიგზა 16 მლნ ტონა ტვირთს გადაზიდავს, მაშინ, როცა 1992-1995 წლებში რკინიგზის მიერ ერთი წლის განმავლობაში გადაზიდული ტვირთების მოცულობა 1-5 მლნ ტონამდე მერყეობდა,"** - განაცხადა ნოღაიდელმა.

სხდომის მონაწილეებმა ბოლო ერთი წლის განმავლობაში რკინიგზების მუშაობის საკითხები და ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს. თბილისში მიმდინარე, დსთ-ს ქვეყნების სარკინიგზო ტრანსპორტის საბჭოს სხდომაზე ფოთი-კავკაზის სარკინიგზო საბორნე გადასასვლელის საკითხიც განიხილეს.

ეს საბორნე გადასასვლელი წელს ამოქმედდა, თუმცა ამჟამად შეფერხებით მუშაობს. **"ჩვენ მოვილაპარაკეთ დსთ-სა და ბალტიისპირეთის ქვეყნების სარკინიგზო ადმინისტრაციების ხელმძღვანელებთან, რომ სხდომაზე მიღებული იქნება ყველა ის გადაწყვეტილება, რომელიც ყველა იმ მიზეზს მოხსნის, რაც ხელს უშლის ფოთი-კავკაზის სარკინიგზე-საბორნე გადასასვლელის ნორმალურ, ორგანიზებულ მუშაობას,"** - განაცხადა რუსეთის რკინიგზის ხელმძღვანელმა გენადი ფადეევმა.

# მთავრობა - ისევ ფორსმაჟორში

## "ათასწლეულის განვითარების პროგრამა - საქართველოს" კომიტეტისთვის მთავრობა სარეზერვო ფონდიდან 290 ათას ლარს გამოყოფს

თამარ ივანიძე

მთავრობის უკვე თითქმის ყოველი სხდომა საქართველოში წყალდიდობაზე და ქვეყანაში არსებულ ფორსმაჟორულ სიტუაციაზე მსჯელობით იწყება. ამ მხრივ, გამონაკლისი არც გუშინდელი სხდომა ყოფილა.

**"რაც შეიძლება სწრაფად უნდა აღდგეს კომუნიკაციები, ხიდები, საავტომობილო გზები, იმისათვის, რომ სოფლებთან, დაბებთან და ქალაქებთან დამაკავშირებელი გზები არსებობდეს,"** - განაცხადა მთავრობის დღევანდელ სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა სტიქიით დაზარალებულ ზონებთან დაკავშირებით.

მისი თქმით, მთავრობა აპირებს, უპირველეს ყოვლისა, უსახლკაროდ დარჩენილებს დაეხმაროს.

**"ქვემო ქართლში იყო სეტყვა, რომელმაც სასოფლო-სამეურნეო ნარგავებს საკმაოდ სერიოზული ზიანი მიაყენა. მე ვთხოვე მიხეილ სვიმონიშვილს, რეგიონში დღეს ჩავიდეს, შესაბამისად, მთავრობის სხდომიდან გავათავისუფლე, რომ ადგილზე გაეცნოს ვითარებას და მოგვახსენოს, რა ხდება ქვემო ქართლში, განსაკუთრებით, დმანისის და ბოლნისის რაიონებში,"** - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

თუმცა, გუშინდელ სხდომაზე წყალდიდობა, ცხადია, ერთადერთი განსახილველი საკითხი არ ყოფილა. მაგალითად, გუშინ გადაწყდა, რომ ამერიკული დახმარების მიღებამდე "ათასწლეულის განვითარების პროგრამა - საქართველოს" კომიტეტისთვის მთავრობა სარეზერვო ფონდიდან 290 ათასი ლარს გამოყოფს.

როგორც ფინანსთა მინისტრმა ვალერი ჩეჩელაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, კომიტეტი თანხებს "აშშ-ს ათასწლეულის განვითარების პროგრამიდან" დაფინანსების მიღებამდე საჭიროებს.

ჩეჩელაშვილის ინფორმაციით, ამერიკულ მხარესთან საქართველოსთვის დაახლოებით 200 მლნ აშშ დოლარის გამოყოფის ხელშეკრულება აგვისტოში გაფორმდება, ხოლო სექტემბერში მისი რატიფიცირება მოხდება.

ფინანსთა მინისტრის განმარტებით, "ათასწლეულის განვითარების პროგრამა - საქართველოს" კომიტეტის წევრები მოლაპარაკებებისთვის აშშ-ში მიმდინარე კვირის ბოლოს გაემგზავრებიან, სადაც დონორებთან საქართველოს მთავრობის მიერ არჩეულ პრიორიტეტებს შეათანხმებენ.

მთავრობამ ამერიკული გრანტის ასათვისებლად ოთხი ძირითადი პრიორიტეტი გამოყო – საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაცია, რომლისთვისაც დაახლოებით 50-70 მლნ დოლარი დაიხარჯება, ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი (დაიხარჯება 40 მლნ დოლარი, ამდენივე დაიხარჯება სოფლის მეურნეობის და ტურიზმის განვითარების პროექტისათვის, ხოლო დარჩენილი თანხა სამხრეთ საქართველოში წალკა-ახალქალაქის ავტომაგისტრალის მშენებლობას მოხმარდება.

"აშშ-ს ათასწლეულის განვითარების პროგრამამ" მსოფლიოს განვითარებადი ქვეყნების დასახმარებლად 1 მლრდ აშშ დოლარი გამოყო. დახმარების მიმღები ქვეყნები აშშ-ს მთავრობამ მათ მიერ წარდგენილი პროექტების საფუძველზე შეარჩია.

# "ალდაგმა" ქართულ საზოგადოებას თავისი უცხოელი პარტნიორი გააცნო

დიანა ჩაჩუა

*მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი, შვეიცარული გადამზღვევი კომპანიის SWISS Re-ს მმართველი საბჭოს წევრები თბილისში ვიზიტით იმყოფებიან. SWISS Re-მ და მისმა ექსკლუზიურმა პარტნიორმა საქართველოში, სადაზღვევო კომპანია "ალდაგმა" გუშინ სასტუმრო "თბილისი მერიოტში" ერთობლივი პრეზენტაცია გამართეს.*



უდო მარტინსონი



ეკა იაშვილი

ნებისმიერი სადაზღვევო კომპანიის კლიენტს ბუნებრივად უჩნდება სურვილი, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიიღოს ამ კომპანიაზე, მისი რისკების დამზღვევ კომპანიაზე და მის საიმედოობაზე. სწორედ სადაზღვევო კომპანია "ალდაგის" არსებული და პოტენციური კლიენტებისთვის გუშინ, "ალდაგმა" და მისმა უცხოელმა გადამზღვევმა პარტნიორმა SWISS Re-მ ერთობლივი პრეზენტაცია გამართეს. შეხვედრაზე გადამზღვევი კომპანიის საქმიანობას და მის ფინანსურ მდგომარეობას გაესვა ხაზი.

**"ჩვენი ვიზიტის მთავარი მიზანი "ალდაგის" კლიენტებთან შეხვედრაა, რათა ვაჩვენოთ, რომ მის უკან სერიოზული გადამზღვევი კომპანია დგას. საქართველოში მოთხოვნა დაზღვევაზე სამომავლოდ სულ უფრო გაიზრდება, ასე რომ, გადაზღვევის მხრიდან მდგომარეობის გამაგრება აუცილებელია,"** - განაცხადა SWISS Re-ს მმართველი საბჭოს წევრმა უდო მარტინსონმა.

ქართული სადაზღვევო კომპანია "ალდაგის" გენერალური დირექტორი ეკა იაშვილი ჟურნალისტებთა საუბარში ხაზს უსვამს SWISS Re-ს მზარდ ინტერესს კავკასიის რეგიონის მიმართ.

**"ჩვენს კომპანიას და SWISS Re-ს 12 წლის თანამშრომლობა გვაკავშირებს. სულ უფრო იზრდება მათი ინტერესი კავკასიის მიმართ. ეს წარმატებაა და სასიკეთოა, არა მარტო "ალდაგისთვის", არამედ მთლიანად სადაზღვევო ბაზრისთვის,"** - აღნიშნა ეკა იაშვილმა.

SWISS RE-ს მოღვაწეობა ქართულ სადაზღვევო სისტემაში მით უმეტეს აღსანიშნავია, თუ გავითვალისწინებთ, რომ შვეიცარიულ გადამზღვევ კომპანიას მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტები აქვს გადაზღვეული და საქმიანობის საუკუნოვანი გამოცდილება გააჩნია. საინტერესოა, რომ Swiss RE-ს მიერ მხოლოდ გასულ წელს აკრეფილი პრემია 30 მილიარდამდე შვეიცარიულ ფრანკს აღწევს, ანაზღაურებული ზარალები კი 13 მილიარდ 853 მილიონ შვეიცარიულ ფრანკს შეადგენს. სხვადასხვა წამყვანი სარეიტინგო კომპანიები Swiss RE-ს უმაღლეს შეფასებას აძლევენ.

სსიფ — GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND — GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით ახალგორის რაიონის სოფელ ლარგვისის წყალსადენის მშენებლობის სამუშაოები.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება

სოფელ ლარგვისის თემის განვითარების კომიტეტთან, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, თემის განვითარების კომიტეტი იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ახალგორის რაიონი,
სოფელ ლარგვისის, თემის საკრებულოს შენობა
საკონტაქტო პირი მურაზ შერმადინი, თემის განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე

2005 წლის 20 ივნისიდან 10-დან 17 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 2300.00 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ახალგორის რაიონი
სოფელ ლარგვისის, თემის საკრებულოს შენობა
საკონტაქტო პირი მურაზ შერმადინი, თემის განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე

2005 წლის 20 ივნისამდე 12 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **12:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი**
**ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო**
**ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79**
**ფაქსი: (995 32) 23 01 03**

სსიფ — GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND — GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ცაგერის რაიონის სოფ. ნაკურალეშის თემის ცენტრის შენობის რემონტი.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება

**სოფელ ნაკურალეშის სათემო კავშირთან "ნაკურალეში"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **სათემო კავშირი "ნაკურალეში"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ცაგერის რაიონი,**
**სოფელი ნაკურალეში, საკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი რამაზ ყურაშვილი, სათემო კავშირი "ნაკურალეში"-ს თავმჯდომარე**

2005 წლის **20 ივნისიდან** 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი)** ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **1 800** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ცაგერის რაიონი**
**სოფელი ნაკურალეში, საკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი რამაზ ყურაშვილი, სათემო კავშირი "ნაკურალეში"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 20 ივლისი 15 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **15:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი**
**ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო**
**ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79**
**ფაქსი: (995 32) 23 01 03**

სსიფ — GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND — GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით კასპის რაიონის სოფელ ზემო ხანდაკის წყალსადენის სისტემის რეაბილიტაციის პროექტი.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება სათემო კავშირ "ხანდაკთან", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი "ხანდაკი" იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, კასპის რაიონი,**
**სოფელი ზემო ხანდაკი, ხანდაკის გამგეობის შენობა.**
**საკონტაქტო პირი დავით გოგიაშვილი სათემო კავშირი "ხანდაკის" თავჯდომარე.**

2005 წლის 20 ივნისიდან 21 ივლისამდე 10-დან 17 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 2700 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, კასპის რაიონი**
**სოფელი ზემო ხანდაკის, ხანდაკის გამგეობის შენობა.**
**საკონტაქტო პირი დავით გოგიაშვილი. სათემო კავშირი "ხანდაკის" თავჯდომარე**

2005 წლის 21ივლისის 12 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **12:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი**
**ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო**
**ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79**
**ფაქსი: (995 32) 23 01 03**

სსიფ — GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND — GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით კასპის რაიონის სოფელ წინარეხის წყალსადენის სისტემის რეაბილიტაციის პროექტი.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება სათემო კავშირ "წინარეხთან", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი "წინარეხი" იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, კასპის რაიონი,**
**სოფელი წინარეხი, წინარეხის გამგეობის შენობა.**
**საკონტაქტო პირი ზაქარია ბერბიჭაშვილი სათემო კავშირი "წინარეხის" თავჯდომარე.**

2005 წლის 20ივნისიდან 21 ივლისამდე 10-დან 17 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 1800 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, კასპის რაიონი**
**სოფელი წინარეხი, წინარეხის გამგეობის შენობა.**
**საკონტაქტო პირი ზაქარია ბერბიჭაშვილი. სათემო კავშირი "წინარეხის" თავჯდომარე**

2005 წლის 21 ივლისის 14 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **14:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი**
**ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო**
**ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79**
**ფაქსი: (995 32) 23 01 03**

## მოკლედ

### რუსთავის მეტალურგიულზე კონკურენცია იზრდება

რუსთავის მეტალურგიული კომბინატით დაინტერესებულ ხუთ კომპანიას შორის საინვესტიციო პაკეტების გახსნის შემდეგ ეკონომიკის სამინისტროში ორი პრიორიტეტული წინადადება გამოიკვეთა. რუსთავის მერის, მერაბ ტყეშელაშვილის განცხადებით, ამ დროისთვის უპირატესობა დუბაი-ინდოელების გაერთიანებას - "მეტალურგ-ინვესტორს" და ჰონკონგში რეგისტრირებულ "აზიის გლობალური შესაძლებლობების ცენტრს" ენიჭება. ისინი მზად არიან, საწყის ეტაპზე 20-30 მილიონი დოლარი გადაიხადონ, შემდეგ კი, ინვესტიციის სახით, კომბინატში 100 ათასი მილიონი დოლარი ჩადონ. შეგახსენებთ, რომ მეტალურგიულ კომბინატში უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ხუთი სხვადასხვა ინვესტორი იყო შემოსული. რუსთავის ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, რომ მათ შორის ყველამ აქ გატარებული დრო საკუთარი ინტერესებისთვის გამოიყენა და ქარხანაც და ქალაქიც მნიშვნელოვნად აზარალა. **24 საათი**

### ეროვნულ ბანკში კადრებს კონკურსის წესით შეარჩევენ

საქართველოს ეროვნულის ბანკის მიერ მაკროეკონომიკურ გამოკვლევათა და მონეტარული პოლიტიკის სამმართველოს მკვლევარ-ეკონომისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო-საატესტაციო კომისიაში 65 განაცხადი შევიდა. საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის დავით ამაღლობელის განცხადებით, აღნიშნული საკადრო პოლიტიკა მომავალშიც გაგრძელდება და თითოეულ ვაკანსიაზე კანდიდატების შერჩევა საჯარო კონკურსის საფუძველზე მოხდება. „ეროვნულ ბანკში მუშაობა პრესტიჟული უნდა იყოს და იგი პროფესიონალიზმით გამორჩეული კადრებით დაკომპლექტდება," – აღნიშნა დავით ამაღლობელმა. **24 საათი**

# „თავისუფლების ინსტიტუტი" ფინანსური პოლიციის საქმიანობას აკრიტიკებს

ხათუნა ჯანგირაშვილი

*"თავისუფლების ინსტიტუტი" ფინანსური პოლიციის იმ თანამშრომლების თანამდებობიდან გათავისუფლებას ითხოვს, რომლებიც დაკავების ოქმების გაყალბებაში არიან ეჭვმიტანილები.*

**"მათი ნამოქმედარი სისხლის სამართლებრივი დანაშაულია. ამიტომ ისინი არა მხოლოდ უნდა გათავისუფლდნენ სამსახურიდან, არამედ მათზე სისხლის სამართლებრივი დევნაც უნდა განხორციელდეს",** - აცხადებს "თავისუფლების ინსტიტუტის" წევრი თეა თუთბერიძე.

საქმე ეხება რამდენიმე დღის წინ გორის ფინანსური პოლიციის მიერ კონტრაბანდის ბრალდებით დაკავებულ რვა ადამიანს, რომლებიც უკანონო პატიმრობიდან მხოლოდ მას შემდეგ გათავისუფლდნენ, რაც საქმეში "თავისუფლების ინსტიტუტი" ჩაერთო და გორის ფინანსური პოლიციის გამომძიებლების მიერ დაშვებული უხეში დარღვევები აღმოაჩინა.

გორის ფინანსურმა პოლიციამ გიორგი დიასამიძე, ვეფხია კაპანაძე, მალხაზ შუბითიძე, გოჩა მულაძე, პაატა მულაძე, გია წიგნაძე, გიორგი ივანიშვილი და ბოჭორიშვილი კონტრაბანდული სპირტიანი სასმელების გადაზიდვისა და უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ბრალდებით 3 ივნისს, დილის 7 საათზე დააკავა. საქმე ისაა, რომ, როგორც აღმოჩნდა, სამართალდამცავებმა დაკავების რეალური დრო არ დააფიქსირეს და ოქმები გააყალბეს. მათ ბრალდება კანონით დადგენილ 48-საათიან ვადაში ვერ ჩამოაყალიბეს და გაყალბებულ ოქმში, დაკავების ნამდვილი დროის ნაცვლად, საღამოს 8 საათი მიუთითეს.



*"თავისუფლების ინსტიტუტი" ფინანსური პოლიციის იმ თანამშრომლების თანამდებობიდან გათავისუფლებას ითხოვს, რომლებიც დაკავების ოქმების გაყალბებაში არიან ეჭვმიტანილები.*

ადგილობრივი მედიასაშუალებებით მთელი დღის განმავლობაში ვრცელდებოდა ინფორმაცია კონტრაბანდისტთა ჯგუფის დაკავების შესახებ, რასაც თან ერთვოდა ფინანსური პოლიციის წარმომადგენელთა კომენტარები და თვით დაკავების ოპერაციის კადრები, რომლებიც ნათლად ადასტურებდა, რომ დაკავება ბევრად ადრე განხორციელდა, ვიდრე ეს დაკავებულთა ეჭვმიტანილად ცნობის ოქმებშია დაფიქსირებული.

**"სამართალდამცველები ხშირად არღვევენ დაკავების 48-საათიან ვადას, რადგან ბრალდების წაყენებას ვერ ახერხებენ, რის გამოც ოქმების გაყალბება დამკვიდრებულ პრაქტიკად იქცა, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ქმედებაა. კანონით, თუ დაკავებულის საქმე 48-საათიან ვადაში სასამართლოს არ გადაეცა, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. ოქმების გაყალბება სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ქმედებაა და ამისთვის პასუხისგებაში უნდა მიეცნენ გამომძიებელიც და ის პროკურორიც, რომლებმაც ოქმები გააყალბეს",** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას თეა თუთბერიძემ.

მისივე თქმით, ფინანსური პოლიციის შიდა ქართლის რეგიონის გამომძიებლები და გენერალური პროკურატურის წარმომადგენლები ირწმუნებოდნენ, რომ ამ პირების დაკავება დილის საათებში არ მომხდარა და ისინი თავად მივიდნენ განყოფილებაში, რაც, თუთბერიძის მტკიცებით, სრული აბსურდია.

**"ნებაყოფლობით განყოფილებაში ხელბორკილდადებული არავინ მივიდოდა. გარდა ამისა, მედიით გავრცელებული ვიდეომასალაც მოწმობს იმას, რომ დაკავებულები ხელბორკილდადებულები შეიყვანეს განყოფილებაში, რასაც სამართალდამცავები თავადაც ვერ უარყოფენ,"** – აცხადებს თუთბერიძე. მისივე თქმით, გორის ფინანსური პოლიციის ზედამხედველ პროკურორს რომან მხეიძეს მისთვის განუცხადებია, რომ არაფერი იცოდა ამ დარღვევების შესახებ.

**"ჩემი იქ ყოფნისას ერთ-ერთ დაკავებულს - კაპანაძეს - გაყალბებულ ოქმში მითითებული წინასწარი დაკავების 48-საათიანი ვადაც კი ამოეწურა. მე სასწრაფოდ დავუკავშირდი გენერალური პროკურორის მოადგილეს ნონა წოწორიას, გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის უფროსს მალხაზ ღულუნიშვილს და ფინანსური პოლიციის მიერ დაშვებული უკანონობის შესახებ დეტალური ინფორმაცია მივაწოდე. მე ავუხსენი მათ, რომ ფინანსური პოლიციის ზედამხედველი პროკურორი რომან მხეიძე ხელს აფარებდა დამნაშავე ქვეშევრდომებს",** - განგვიცხადა თეა თუთბერიძემ.

ერთი სიტყვით, კონტრაბანდული სპირტის შემოტანის ბრალდებით დაკავებული 8 ეჭვმიტანილი, რომლებსაც ფინანსურ პოლიციაში ოქმები გაუყალბეს, მხოლოდ ხმაურის ატეხვის შემდეგ გაათავისუფლეს უკანონო პატიმრობიდან. ჩვენი ინფორმაციით, ეს გადაწყვეტილება რეგიონული ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა მხოლოდ მას შემდეგ მიიღეს, რაც მათ ზემდგომებიდან სატელეფონო მითითება მიიღეს - ეგ ხალხი სასწრაფოდ გაყარეთ მაქედანო.

**"ფინანსური პოლიციის საქმიანობაში დარღვევები საკმაოდ ხშირი შემთხვევაა. ამ სტრუქტურაში ან არაკვალიფიციური თანამშრომლები ჰყავთ, ან მათი მხრიდან ჩადენილ ყველა უკანონობას შეგნებული სარჩული აქვს. ფინანსური პოლიციის გამომძიებლებს კანონის შესახებ საერთოდ წარმოდგენა რომ არ აქვთ, ამაზე ის უამრავი ფაქტიც მეტყველებს, როცა 4-5 კოლოფი კონტრაბანდული სიგარეტისთვის, რომლის საერთო ღირებულებაც შესაძლოა 900 ლარამდე შეაფასონ, ეჭვმიტანილების მიმართ სისხლის სამართლის საქმეებს აღძრავენ. არადა, კანონში გარკვევით წერია, რომ კონტრაბანდულ ტვირთთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმე შესაძლოა აღიძრას მაშინ, როცა მისი ღირებულება 3 ათას ლარს გადააჭარბებს",** - აცხადებს თუთბერიძე.

# შოთა კოპაძის გათავისუფლების საკითხი დღის წესრიგში არ დგას

*პენიტენციარული სისტემის პრობლემებთან დაკავშირებით ომბუდსმენის აპარატის მიერ დაწყებულ აჟიოტაჟს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ეკა ტყეშელაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე, დროებით მაინც, წერტილი დაუსვა. მინისტრის მოადგილის განცხადებით, ამჟამად სამინისტროში არ განიხილება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის შოთა კოპაძის გადაყენების საკითხი.*

**"პრობლემები, რომელიც პენიტენციარულ სისტემაშია, არ უნდა იყოს ერთ პერსონასთან გაიგივებული. შოთა კოპაძის გათავისუფლება ძნელი არ არის, თუმცა ეს ცვლილება დატოვებს ყველა იმ პრობლემას, რაც დღეს პენიტენციარულ სისტემაში არსებობს. იუსტიციის სამინისტროს უყურადღებოდ არ დაუტოვებია სახალხო დამცველის აპარატში გაკეთებული განცხადება სასჯელაღსრულების სისტემის ხელმძღვანელობის გათავისუფლების მოთხოვნის თაობაზე, თუმცა მყისიერ გადაწყვეტილებას ამ საკითხზე ვერ მიიღებდა",** - განაცხადა ტყეშელაშვილმა.

სასჯელაღსრულების სისტემაში მდგომარეობის გამოსასწორებლად მინისტრის მოადგილემ შედარებით გლობალური პრობლემები



*იუსტიციის მინისტრის მოადგილის განცხადებით, ამჟამად სამინისტროში არ განიხილება შოთა კოპაძის გადაყენების საკითხი.*

დაასახელა და აღნიშნა, პენიტენციარულ სისტემაში აუცილებელია როგორც ხელფასებისა და დაფინანსების გაზრდა, ასევე - ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

**"დღემდე უმძიმეს მდგომარეობაშია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თხუთმეტივე დაწესებულება, განსაკუთრებით თბილისის N1 საპყრობილე, რომელიც პატიმრებით გადატვირთულია. იქ ამჟამად 3590 ადამიანია მოთავსებული, რაც დასაშვებ ზღვარზე 1500-ით მეტია",** - აღნიშნა მინისტრის მოადგილემ.

ასევე მწვავედ დგას პატიმრების კვების პრობლემაც. ერთ პატიმარზე დღეში კვებისთვის 76, მედიკამენტისთვის კი 3,4 თეთრი იხარჯება. ტყეშელაშვილის თქმით, ასეთი მწირი დაფინანსების გამო არ იზღუდება პატიმრებისთვის გადაცემული ამანათების რაოდენობა. სამაგიეროდ, ვერ ხერხდება ამანათით შეგზავნილი ნივთების გაკონტროლება და ამ გზით ციხეში ხშირად ნარკოტიკებიც ხვდება. მინისტრის მოადგილის თქმით, მისახედია სისტემაში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების საკითხიც. მინიმალური ხელფასი აქ 115, მაქსიმალური კი 450 ლარია.

ტყეშელაშვილის განმარტებით, დამაიმედებელია ის, რომ წელს აგვისტოში ქუთაისისა და რუსთავის მიმდებარე ტერიტორიაზე საპყრობილეების მშენებლობა დასრულდება. ქუთაისის საპყრობილე 1500, ხოლო რუსთავის 864 პატიმარზეა გათვლილი.

**"ქუთაისის ციხის მშენებლობისათვის საჭირო 10 მლნ ლარი მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტიდან არის გამოყოფილი. რაც შეეხება რუსთავის N6 საპყრობილეს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მისი შენობის რეკონსტრუქციაში ევროკავშირი 1 200 ათასიანი პროექტით ეხმარება",** - აღნიშნა მინისტრის მოადგილემ და დასძინა, რომ ახალ საპყრობილეებში მართვის ახალი მოდელი დამკვიდრდება, შესაბამის მომზადებას გაივლიან ის თანამშრომლები, რომლებიც ამ საპყრობილეში დაიწყებენ მუშაობას. მათი შერჩევა კონკურსის საფუძველზე მოხდება.

გადაწყვეტილია, ასევე, საპყრობილის აშენება თბილისში, ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე, რის შემდეგაც თბილისის N1 საპყრობილე გაუქმდება.

**"ამჟამად მიმდინარეობს ფინანსური გაანგარიშებები და იმ ადგილის ძიება, სადაც საპყრობილე აშენდება. შესაძლოა, გამოინახოს შენობაც, რომლის რეკონსტრუქციაც მოხდება",** - აღნიშნა მინისტრის მოადგილემ.

საბოლოოდ ტყეშელაშვილმა განაცხადა, რომ ცვლილებების განსახორციელებლად იუსტიციის სამინისტრო საკითხისადმი კომპლექსურ მიდგომას აპირებს. სამინისტროსთან და გენერალურ ინსპექციასთან ერთად ამ მიმართულებით საგამოძიებო დეპარტამენტიც აქტიურდება. იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა მუშაობა 2005 წლის 1 ივნისიდან დაიწყო. მისი მთავარი ფუნქციაა პენიტენციარულ სისტემაში მომხდარი სისხლის სამართლის დანაშაულების გამოძიება.

*24 საათი*

## მოკლედ

### საქართველო-თურქეთის საზღვარზე დიდი რაოდენობით ნარკოტიკი შემოჰქონდათ

გუშინ საქართველო-თურქეთის საზღვარზე, რეგიონული სამმართველო "აჭარის" სასაზღვრო სამიგრაციო კონტროლის განყოფილება "სარფში" მესაზღვრეებმა შს სამინისტროს სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტსა და საგამოძიებო-ოპერატიულ განყოფილებასთან ერთად ჩატარებული ღონისძიების შედეგად, საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს. მათ თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოში 700 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება "ჰეროინი" და 1000 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება "ოპიუმი" შემოჰქონდათ.

აღნიშნული პირები შემდგომი რეაგირებისთვის აჭარის შინაგან საქმეთა სამმართველოს საგამოძიებო დეპარტამენტს გადაეცა.

*მედიანიუსი*

### კავშირგაბმულობის ახალ ომბუდსმენს კონკურსის წესით შეარჩევენ

საქართველოს სახალხო დამცველის ოფისმა საქართველოს კავშირგაბმულობის მარეგულირებელი კომისიის მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის თანამდებობაზე კონკურსი გამოაცხადა. აქამდე ეს თანამდებობა არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის" თავმჯდომარეს ლია მუხაშავრიას ეკავა, მისი კონტრაქტის ამოწურვის გამო, კავშირგაბმულობის ახალი ომბუდსმენი უნდა შეირჩეს.

სახალხო დამცველის აპარატის ცნობით, კავშირგაბმულობის ომბუდსმენის შესარჩევ კონკურსს სახალხო დამცველის ოფისში საზოგადოებრივი დამცველისა და მისი თანაშემწის შესარჩევი სპეციალური საკონკურსო კომისია ჩაატარებს.

აღნიშნული კომისია 28 მაისს შეიქმნა სახალხო დამცველის აპარატთან და მასში შედიან სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები, პარლამენტისა და თბილისის საკრებულოს წევრები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, ჟურნალისტები და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

კონკურსში მონაწილეებს მოეთხოვებათ უმაღლესი იურიდიული განათლება და საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება.

*პრაიმ-ნიუსი*

### ყაჩაღებმა ხელფასებისა და პენსიებისთვის განკუთვნილი თანხა გაიტაცეს

მესტიის რაიონის სოფელ ჩხუმარის ჩასახვევსა და სოფელ ბეჩოს შორის ყაჩაღობა მოხდა. ხუთი ნიღბიანი შეიარაღებული პირი ბეჩოს გამგებელ ისლამ ვეზდენსა და მასთან მყოფ მოლარეს თავს დაესხა. მათ ავტომანქანით ბეჩოში სახელფასო და საპენსიო თანხა, დაახლოებით 20 000 ლარი მიჰქონდათ.

აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. ეჭვმიტანილთა ვინაობა უცნობია. მესტიის რაიონის გამგებლის ნინო ჯაფარიძის განცხადებით, თანხა სოფლის გამგებელს დაცვის გარეშე არ უნდა გადაეტანა. თანხის დაცვის გარეშე გაცემის უფლება არც ბანკს ჰქონდა. თანაც, თანხის მიღების შემდეგ გამგებელსა და მოლარეს ჯერ მაღაზიებში გაუვლიათ და ბეჩოსკენ მიმავალ გზას შემდეგ დადგომიან.

როგორც ნინო ჯაფარიძე ვარაუდობს, ეს ყაჩაღობა მათ მიერ არის შეკვეთილი, ვისაც სვანეთის განვითარება ხელს არ აძლევს.

*მედიანიუსი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ქარელის რაიონის სოფელ ბრეთთან დააკავეს უნომრო მოტოციკლეტი "იჟ", რომლითაც სოფელ დირბში მცხოვრებ, 27 წლის ემზარ გულიაშვილს 4 800 ლარის ღირებულების 2 850 კოლოფი უაქციზო სიგარეტი გადაჰქონდა. დაკავებული ტვირთიანად ფინანსურ პოლიციას გადაეცა.

ზესტაფონის რაიონი სოფელ არგვეთაში კი დააკავეს მიკროავტობუსი, რომლის მძღოლს, ზესტაფონში მცხოვრებ, 47 წლის გია სეფისკვერაძეს გადაჰქონდა 490 კოლოფი უაქციზო სიგარეტი და 500 ლარის ღირებულების სურსათი. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე, რეგიონული სამმართველო "ლაგოდეხის" "ცოდნის" სასაზღვრო სექტორზე მესაზღვრეებმა ლაგოდეხის რაიონის სოფელ კალინოვკაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქე დააკავეს. იგი პირადობის დამადასტურებელი საბუთის გარეშე ცდილობდა საქართველოდან აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადასვლას. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოკვლევა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს აბაშის რაიონის სოფელ ეწერში მცხოვრები, ნასამართლევი, 56 წლის ავთანდილ კუპრეიშვილი, რომელმაც მადონა ჩხეტიას ხელიდან გასტაცა საფულე 30 ლარით და მაჯის საათი. საქმეს იძიებს ქუთაისის შს მე-5 განყოფილება. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს ქობულეთის რაიონის სოფელ ზედა სამებაში მცხოვრები, 23 წლის აკაკი კახიძე, რომელმაც ურთიერთშელაპარაკებისას, დანით მუცელში დაჭრა თანასოფლელი, 20 წლის გიორგი ართმელიძე, რომელიც მოთავსებულია საავადმყოფოში. საქმეს იძიებს ქობულეთის შს განყოფილება. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ მყოფი, მრავალჯერ ნასამართლევი, 38 წლის ნამიკ ნოვრუზოვი, რომლისგანაც ამოიღეს ხელყუმბარა "ფ-1" დეტონატორით. საქმეს იძიებს მარნეულის შს განყოფილება. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის მე-4 სამმართველოს მე-3 განყოფილებაში შესული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დააკავეს თბილისში მცხოვრები 44 წლის გია ხუროშვილი, რომელმაც, შს სამინისტროს ინფორმაციით, დანაშაულებრივ ჯგუფში მყიდველის სახით ჩანერგილ მ. ლ-ს 200 ლარად მიჰყიდა 0.00763 გრამი ბუპრენორფინის შემცველი სუბოტექსის აბი, ხოლო მისი ავტომანქანიდან ამოიღეს 0.01536 გრამი ბუპრენორფინის შემცველი სუბოტექსის აბი. აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შს სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ერთობლივად დააკავეს სენაკში მცხოვრები, 30 წლის რამაზ თამადაძე, რომლისგანაც ამოიღეს 0.12 გრამი ჰეროინი. საქმეს იძიებს სენაკის შს განყოფილება. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამძებრო სამმართველოს, გურიის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს და ხაშურის შს განყოფილების თანამშრომლებმა ერთობლივად გატარებული კომპლექსური ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად ხაშურში დააკავეს თბილისში დაკავებული შეიარაღებული დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრი, სამტრედიაში მცხოვრები, მრავალჯერ ნასამართლევი, 30 წლის დავით ორმოცაძე, ხოლო ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესაში დააკავეს იმავე სოფელში მცხოვრებნი, ნასამართლევები, 31 წლის მამუკა ჟორდანია და 35 წლის კონსტანტინე წილოსანი, რომლისგანაც ამოიღეს 0.017 გრამი ჰეროინი. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის საუბნო ინსპექტორებთან ერთობლივად დააკავეს ხობის რაიონის სოფელ ხიბულაში მცხოვრები, 46 წლის ჯუმბერ მისაბიშვილი, რომელმაც იმავე რაიონის სოფელ საჯიკაოში მცხოვრები, 23 წლის ნინო თუთბერიძეს ხელჩანთიდან 90 ლარი გასტაცა. საქმეს იძიებს დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველო. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დააკავეს 29 წლის პაატა ლაკლაკიშვილი, რომელმაც გაქურდა თბილისში მდებარე ქარხანა "მიონის" ტერიტორიაზე არსებული შპს "ფერი". ამის შესახებ დაზარალებულს პოლიციაში არ განუცხადებია. საქმეს იძიებს შს მე-2 განყოფილება. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს ორჯერ ნასამართლევი, 38 წლის ავთანდილ ქავზინიძე, რომელმაც რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე გელა ჩადუნაშვილს ავტომანქანიდან მოპარა 400 ლარის ღირებულების გაზეთები. საქმეს იძიებს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველო. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის შს მთავარი სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს 19 წლის ანდრეი ამადანოვი, რომლისგანაც ამოიღეს გადაჭრილი სანადირო თოფი. საქმეს იძიებს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველო. **მედიანიუსი**


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი ....................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი ....................

საკონტაქტო ტელეფონი ....................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისის მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (ვაჟდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "სადგურის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის ... გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი.

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0111 თბილისი, წერეთლის გამზ.77 იურიდიული ოფისი "გაპი".

**1**

**იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"**

**ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.**

**2**

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში. (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება.) უფასო შეკითხვის ქვითრები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, გაზეთის A7 გვერდზე ხოლო ამომწურავ პასუხს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, ავსებს უფასო შეკითხვის ქვითრის ქვემოთ გამოქვეყნებულ ანკეტას. ამავდროულად, სასურველია მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

**3**

**კუპონები განთავსებული არიან ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:**

1. მეტროს სადგური „ახმეტელის თეატრი" (ვლდანი);
2. მეტროს სადგური „მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური „თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური „წერეთელი";
5. მეტროს სადგური „სამგორი II";
6. მეტროს სადგური „ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური „გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური „დელისი");
8. მეტროს სადგური „ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური „დიდუბე";
10. ვაჟაფშაველას 45 "სოფლშენის" I სართული.
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი „გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77 იურიდიული ოფისი "გაპი".

# უფასო იურიდიული კონსულტაცია

## "24 საათის" მკითხველისთვის

**ელენე კოპაძე**

2004 წლის აქციონერთა საერთო კრებაზე არჩეულ იქნა აუდიტორი. წლიური ანგარიშის განხილვისას წარმოდგენილი იქნა აუდიტორული დასკვნა სხვა აუდიტის მიერ. მიუხედავად აღნიშნულისა, 51% აქციონერთა მიერ დამტკიცებულ იქნა წლიური ანგარიში. გთხოვთ, გაგვიმარტოთ არსებული ქმედების კანონიერება (ვის ეკისრება პასუხისმგებლობა) და ბათილია თუ არა კრების გადაწყვეტილება?

ქალბატონო ელენე,

"მეწარმეთა შესახებ" კანონის 58-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის და მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად:

მუხლი 58. რევიზია

58.1. მორიგი საერთო კრება ყოველწლიურად სამეთვალყურეო საბჭოს წინადადებით ირჩევს აუდიტორს, რომელიც საზოგადოებისაგან, მისი დირექტორებისაგან და მათი აქციონერებისაგან სამართლებრივად და ეკონომიკურად დამოუკიდებელი უნდა იყოს.

**მუხლი 19. სხვა წესები: სანოტარო ფორმა, საქმიანი წერილის ბლანკის მონაცემები. ექსპერტების დანიშვნა**

19.3 ამ კანონში აღნიშნულ "დამოუკიდებელ ექსპერტად" მიიჩნევა სააუდიტო საზოგადოების პირი ან აუდიტორი, რომელსაც ასხელმწიფოსაგან აქვს უფლებამოსილება, შეამოწმოს საწარმოთა საბუღალტრო საქმე და აეგარიშიანობა ზოგადათ და საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების თანახმად. ამასთან, ეს პირი ან საზოგადოება ეკონომიკურად და პიროვნულად დამოუკიდებელი უნდა იყოს შესამოწმებელი საწარმოსაგან ან მის თანამდებობის პირთაგან. თუ მხარეები ვერ შეთანხმდნენ დანიშნონ ასეთი პირი ან საზოგადოება, მაშინ ერთ-ერთი მხარის განცხადების საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს საწარმოს ადგილსამყოფლის ან შემოწმების ადგილის მიხედვით არსებული სასამართლო.

**მუხლი 15. ხანდაზმულობა. გასაჩივრების ვადები**

15.2 დაუშვებელია პარტნიორთა კრების, საერთო კრების, აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრება კრების ოქმის შედგენიდან ორი თვის გასვლის შემდეგ.

აუდიტორული საქმიანობის შესახებ" კანონის მე-4 და მე-5 მუხლების თანახმად:

მუხლი 4. აუდიტორი არის ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ გაცემული აუდიტორის საკვალიფიკაციო სერტიფიკატი. იგი აუდიტორულ საქმიანობას ეწევა ინდივიდუალურად - ლიცენზიის საფუძველზე და/ან აუდიტური ფირმის მეშვეობით.

მუხლი 5. აუდიტური ფირმა არის საწარმო, რომელსაც აქვს საქართველოს ტერიტორიაზე აუდიტორული საქმიანობის ლიცენზია და რომლის ერთადერთი საწესდებო მიზანია აუდიტორული საქმიანობა.

აუდიტური ფირმას და მის ფილიალს აუდიტორული საქმიანობის უფლება ეძლევა მხოლოდ მაშინ, თუ მათში სულ ცოტა ერთი აუდიტორი მაინც მუშაობს.

ამრიგად, თუ საერთო კრებამ აირჩია რომელიმე აუდიტორული ფირმა, მაშინ შეიძლება, რომ თუ რამდენიმე აუდიტორი მუშაობს ამ ფირმაში, რომელიმე მათგანს დაეკისროს კონკრეტულ საწარმოში რევიზიის ჩატარება.

**დავით ხარაიშვილი**

1. ფასიან დღის ავტოსადგომზე აქვს თუ არა უფლება ავღანეთის ომში მონაწილეს გააჩეროს მანქანა უფასოდ, როცა მოესურვება და რამდენსაც მოესურვება?

2. კერძო ტაქსები, რომლებიც კატეგორიულად არ იხდიან სადგომის საფასურს, დღესდღეობით არის თუ არა რაიმე მექანიზმი მათი სადგომიდან გამოყვანისა და ვის უნდა მივმართოთ ამისათვის? ნუთუ ლიცენზია აძლევს მათ ამის უფლებას?

3. ტაქსები, რომლებიც მთელი დღე დგანან ფასიან ავტოსადგომზე, დღესდღეობით რამდენია მათზე მინიმალური გადასახადი?

4.. რა კატეგორიის მძღოლები თავისუფლდებიან ავტოსადგომის გადასახადისაგან?

ბატონო დავით,

"ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" კანონის მე-14 მუხლი ეხება რა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების მონაწილეთა (თქვენს შემთხვევაში ავღანეთის ომის მონაწილეებს) სოციალური დაცვის ღონისძიებებს, არ აწესებს რაიმე შეღავათს აღნიშნული პირებისათვის. მითითებული სადგომი ეკუთვნის რა კერძო ფირმას, აღნიშნული საკითხი უნდა გაირკვეს ამ ფირმის ხელმძღვანელობასთან.

**აკაკი ქიმერიძე**

ვარ ჩემი მშობლების უმცროსი ვაჟი. დედ-მამიშვილები ცოცხლები არა მყავს. როდესაც დედაჩემი გარდაიცვალა, მე თბილისში ვცხოვრობდი. მემკვიდრეობის მიღებაზე საკითხი არ დაგვიყენებია. ამჟამად ვარ პენსიონერი და მინდა დავბრუნდე სოფელში. შემიძლია თუ არა მოვითხოვო სამემკვიდრეო წილი მამისეულ სახლში. ამჟამად იქ ცხოვრობს ჩემი რძალი თავის ქალიშვილთან ერთად.

ბატონო აკაკი,

1964 წლის სამოქალაქო კოდექსის 544-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, მე-2 ნაწილის და 556-ე მუხლის 1-ლი, მე2 და მე-3 ნაწილების, 569-ე მუხლის თანახმად:

**მუხლი 544. კანონისმიერი მემკვიდრეები**

კანონისმიერი მემკვიდრეობის დროს თანასწორი წილის უფლებით მემკვიდრეებად ითვლებიან:

პირველ რიგში - გარდაცვლილის შვილები (მათ შორის შვილობილები), მეუღლე და მშობლები (მშვილებლები). პირველი რიგის მემკვიდრეა აგრეთვე გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა.

სამკვიდროს დამტოვებლის შვილიშვილები და შვილიშვილისშვილები ითვლებიან კანონისმიერ მემკვიდრეებად, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის მათი მშობელი, რომელიც სამკვიდროს დამტოვებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო, ისინი თანასწორად იღებენ იმ წილს, რომელიც კანონისმიერი მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობელს ერგებოდა.

**მუხლი 556. სამკვიდროს მიღება**

იმისათვის, რომ სამკვიდრო მემკვიდრისა გახდეს მან უნდა მიიღოს იგი. არ შეიძლება სამკვიდროს მიღება რაიმე პირობების წამოყენებით.

სამკვიდრო მიღებულად ითვლება, თუ მემკვიდრე ფაქტიურად შეუდგება სამკვიდრო ქონების ფლობას ან მართვას, აგრეთვე, როდესაც იგი შეიტანს სანოტარო მოქმედებათა შემსრულებელ ორგანოში სამკვიდროს გახსნის ადგილას განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ.

ამ მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნული მოქმედებები შესრულებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან.

**მუხლი 569. მემკვიდრეობა საკოლმეურნეო კომლში**

საკოლმეურნეო (ან ერთპიროვნული) კომლის ერთ-ერთი წევრის გარდაცვალების შემთხვევაში კომლის ქონებაში სამკვიდრო არ იხსნება.

თუ კომლის წევრის გარდაცვალების შემდეგ კომლში სხვა წევრები არ დარჩენილა, კომლის ქონების მიმართ მოქმედებს ამ კარის წესები.

კომლის წევრის გარდაცვალების შემდეგ მისი პირადი ქონება გადადის მემკვიდრეებზე საერთო საფუძვლით.

ამრიგად, თუ თქვენ არ აკმაყოფილებთ მითითებული მუხლის მოთხოვნებს, თქვენ აღარ გექნებათ რაიმე უფლება მშობლების სამკვიდრო ქონებაზე. სამკვიდრო ქონების მისაღებად დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მისი მიღება შეიძლება მხოლოდ სამკვიდროს მიმღები პირების თანხმობით.

საქართველოს 1996 წლის 22 მარტის პარლამენტის დადგენილების "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" კანონის ამოქმედების თაობაზე მე-2 ნაწილის თანახმად:

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. (ამოღებულია)

*საქართველოს 1997 წლის 15 მაისის კანონი 719 - პარლამენტის უწყებანი, 1997წ., 23-24, გვ. 16*

2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48, 1992 წლის 6 თებრვლის №128, 10 მარტის №290, 1992 წლის 22 სექტემბრის №949, 1993 წლის 16 იანვრის №39, 1993 წლის 24 თებევლის №148, 1993 წლის 28 ივნისის №503, 1994 წლის 29 ნოემბრის №815, 1995 წლის 10 მარტის №129 დადგენილებების, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 30 დეკემბრის №249 განკარგულების, 1995 წლის 22 თებერვლის №45 ბრძანებულების, საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 11 თებერვლის №166 ბრძანებულების მოთხოვნების შესაბამისად საქართველოს მოქალაქეთა კომლებისათვის, ოჯახებისათვის გაცემული მიწის ნაკვეთები, აგრეთვე 1992 წლამდე მათ კანონიერ სარგებლობაში არსებული საბაღე, საბოსტნე, სააგარაკო, სამოსახლო, საკრმიდამო ნაკვეთები ცხადდება მათ კერძო საკუთრებად და მათ მიმართ შესაბამისად გამოიყენება კანონი "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ".

**ნონა რაზმაძე**

ჩემს მამიდას აქვს რაიონში საკუთარი სახლი, რომელიც არ არის პრივატიზირებული. ანდერძით დამიმტკიცა მე. თვითონ არის მარტოხელა, ღებულობდა წითელი ჯვრიდან დახმარებას. ამჟამად არ ღებულობს. მამიდას გარდაცვალების შემდეგ გადმოვა თუ არა ბინა ჩემს მფლობელობაში.

**ჟენია რაზმაძე**

ვარ მარტოხელა მოხუცი პენსიონერი. მაქვს საკუთარი სახლი რაიონში არაპრივატიზირებული. 1993 წელს გავუფორმე ანდერძით ჩემს ძმისშვილს. მაინტერესებს, ხომ არ უნდა დაიწეროს ახალი ანდერძი და უნდა გავაკეთო თუ არა პრივატიზაცია? გთხოვთ, ამიხსნათ, რაიმე პრობლემები ხომ არ შეექმნება ჩემს ძმისშვილს?

ქალბატონო ნონა და ქალბატონო ჟენია,

1964 წლის სამოქალაქო კოდექსის 103-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად:

მუხლი 103. მოქალაქეთა პირადი საკუთრების უფლების ობიექტები

ყოველ მოქალაქეს შეუძლია პირად საკუთრებად ჰქონდეს შრომითი შემოსავალი და დანაზოგი, საცხოვრებელი სახლი (ან მისი ნაწილი) და დამხმარე საოჯახო მეურნეობა, საოჯახო მეურნეობის, პირადი მოხმარებისა და კეთილმოწყობის საგნები.

93-ე მუხლის მიხედვით, სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა ძირითადი საბინაო ფონდი ქალაქად და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში. ახალი სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლის თანახმად, რომელიც ამოქმედდა 1997 წლის 25 ნოემბრიდან:

**მუხლი 1513. საკუთრება საკარმიდამო მიწის ნაკვეთებზე**

ფიზიკურ პირთა კანონიერ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომლებზედაც ინდივიდუალური სახლებია განლაგებული, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებიდან ითვლება ამ პირთა საკუთრებად და მათზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით უძრავი ნივთებისათვის გათვალისწინებული წესები.

ამრიგად, ადრე მოქმედი კანონმდებლობა უშვებდა საკუთრების უფლებას მხოლოდ სახლებზე, მაგრამ მიწის ნაკვეთი, რომელზეც ეს სახლი იდგა რჩებოდა სახელმწიფო საკუთრებაში, მხოლოდ 1997 წლის სამოქალაქო კოდექსით ჩაითვალა ეს მიწები სახლის მესაკუთრეთა საკუთრებად. ამდენად, შედგა რა ანდერძი 1993 წელს, სამკვიდრო ქონებაში არ შევიდოდა მიწის ნაკვეთი, რომელზეც სახლი გახლავთ განლაგებული, ამდენად საჭიროა ახალი ანდერძის შედგენა.

**ნუგზარ წიკლაური**

ვარ ბავშვობიდან ინვალიდი (ყრუ-მუნჯი). მამაჩემმა, ისიდორე წიკლაურმა ბრძოლით განვლო გზა პრაღამდე, შემდეგ ომში მიღებული ჭრილობისაგან გარდაიცვალა. როგორც მარჩენალდაკარგულმა ვითხოვე მამის პენსიაზე გადასვლა. თხოვნა დამიკმაყოფილეს, მაგრამ პენსია კვლავაც 28 ლარი დამიტოვეს. მეკუთვნის თუ არა მამისეული პენსია და რამდენი ლარი? (მამაჩემი რიგითი ჯარისკაცი იყო).

ბატონო ნუგზარ,

"ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" კანონის მე-16 მუხლის თანახმად:

მუხლი 16. მეორე მსოფლიო ომის ინვალიდების და მონაწილეების, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების დროს დაღუპულთა /გარდაცვლილთა/, მათ შორის ომისშემდგომ პერიოდში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა,ვეტერანების და მათთან გათანაბრებული პირების ოჯახის წევრთა/შემგომში დაღუპულთა,გარდაცვლილთა/ სოციალური დაცვა

ამ კანონით დადგენილი სოციალური დაცვის ღონისძიებები ვრცელდება დაღუპული /გარდაცვლილი/ ვეტერანების ოჯახის შემდეგ წევრებზე:

ა) შრომიუუნარო მშობლებზე მიუხედავად მათი ასაკისა;

ბ) მეუღლეზე, რომელიც მეორედ არ დაქორწინებულა;

გ) არასრულწლოვან /18 წლის ასაკამდე/ შვილებზე და ოჯახის სხვა შრომიუუნარო წევრებზე, რომლებიც იმყოფებოდნენ დაღუპული /გარდაცვლილი/ პირის კმაყოფაზე და საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იღებდნენ მარჩენალის პენსიას.

დაღუპულთა /გარდაცვლილთა/ ოჯახის წევრებს სოციალური დაცვის მიზნით უწესდებათ შემდეგი უფლებები და შეღავათები:

1) პენსიის მიღების უფლება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ხოლო 2005 წლის ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული პენსია კი შეადგენს 28 ლარს.

**ცისანა მგალობლიშვილი**

გთხოვთ, განმიმარტოთ: ჩემი საცხოვრებელი ბინის კორპუსის მიმდებარე ეზოში მქონდა "გალიის" ტიპის ავტოფარეხი, რომელიც 1991 წლიდან ბეტონის კედლებით არის დაფარული და ითვლება როგორც კაპიტალური. კორპუსის მაცხოვრებლების საერთო კრებით დასტურდება, რომ გარაჟი 1991 წლიდან კაპიტალურია და აღნიშნული ფართი მეკუთვნის, კრების ნოტარიულად დამოწმებული ოქმი, მეზობლების ხელმოწერებით, პირად განცხადებასთან ერთად გამგეობამ არ მიიღო იმ საბამით, რომ თითქოსდა გარაჟების დაკანონება შეჩერებულია. პასუხი მიმაჩნია უკანონოდ, ვის მივმართო? როგორ ვიმოქმედო?

**ქალბატონო ცისანა,**

სამოქალაქო კოდექსის 208-ე მუხლის თანახმად:

**მუხლი 208. ცნება**

1. მრავალბინიან სახლებში არსებობს საკუთრების უფლება ბინაზე (ბინის საკუთრება) და შენობის იმ ნაწილზე, რომელიც არ გამოიყენება ბინად (არასაცხოვრებელი ფართის საკუთრება).

2. ბინის საკუთრება და არასაცხოვრებელი ფართის საკუთრება მიიჩნევა ინდივიდუალურ საკუთრებად.

3. მიწის ნაკვეთი, შენობის ნაწილი და ის ნაგებობა-დანადგარები, რომლებიც არ წარმოადგენს ინდივიდუალურ საკუთრებას, ბინის მესაკუთრეთა საერთო საკუთრებაა. საერთო საკუთრებაში წილთა რაოდენობა განისაზღვრება ბინების რაოდენობის შესაბამისად.

4. ინდივიდუალური საკუთრება შეიძლება არსებობდეს მხოლოდ იზოლირებულ ბინებზე ან შენობის სხვა იზოლირებულ ნაწილზე. მანქანის დასაყენებელი ადგილები ითვლება იზოლირებულად, თუკი მათი საზღვრები გამოკვეთილია ხანგრძლივი დროის მანძილზე გამოყენების შედეგად.

რაც შეეხება გამგეობას, თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ განცხადებით და მოითხოვოთ ინფორმაცია, თუ რომელი ადმინისტრციულ-სამართლებრივი აქტით არის შეჩერებული გარაჟების დაკანონება. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსიდან გამომდინარე გამგეობა ვალდებულია, გაგცეთ პასუხი.


თებერვლიდან "24 საათი" ინგლისურად.
English newspaper 24 Hours, coming out from February
გამოწერით.
on subscription basis
e-mail: public@24hours.ge
Tel: 20 24 24 Fax:20 24 25




რუსეთში ქრთამის მიცემის სახელმძღვანელო



B3

მთავარი იყო რომანტიკა




B4

"პორშე" სამოდელო გამას აფართოებს



B6

# "თბილისს პრემიერი არ სჭირდება"

## ამბობს დედაქალაქის პრემიერი

A პირველი გვერდიდან

- ერთი რამ ჭირს ჩვენს ქალაქს: ყველაფერს თავისი საექსპლუატაციო ვადა აქვს, ადამიანსაც კი. 1990 წლიდან არც ერთი შენობის, გზის თუ განათების საექსპლუატაციო ხარჯები არ ყოფილა გათვალისწინებული. არ კეთდებოდა სახურავები, გზები, ლიფტები. ომი იყო, არეულობა და ამისთვის არავის ეცალა.

არ გამაგრებულა არც ერთი შენობა, არც ერთი ფუნდამენტი არ დაცლილა წყლისგან. ადრე ამას აკეთებდა ალმასკომი, რომელსაც უზარმაზარ თანხებს აძლევდნენ. ამ ისტორიით დავინტერესდი და გავიგე, რომ არც ერთი წელი არ მთავრდებოდა მოგების გარეშე, სად წაღლოთ ფული, არ იცოდნენ. 90-იანი წლების შემდეგ ქალაქიც და ქვეყანაც ბიუჯეტის გარეშე დარჩა, სტრუქტურები დაიშალა, განკერძოვდა, შპს-ებად გავიდა. სახელმწიფომ თავისი ვალდებულებები მოსახლეობას კარგად არ განუმარტა. ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ლოკალურად თუ კეთდებოდა რამე, სხვა თანხები ამისთვის არ გაღებულა და ქალაქმა სახე დაკარგა.

2002 და 2003 წელს ვერაფერი შევცვალეთ. ცვლილებები რეალურად შარშან დაიწყო, როდესაც მერიის სტრუქტურა და შემადგენლობა შეიცვალა.

**- ძველი ხელისუფლებიდან ცოტა კადრი დარჩა თანამდებობაზე. თქვენ როგორ მოახერხეთ ეს?**

- როდესაც საკრებულოს თავმჯდომარეობის დროს მიხეილ სააკაშვილმა გამგებლობიდან წამომიყვანა, მაშინ გადაწყდა, ვისთან ვიყავი. ჩემი წამოსვლით მაშინდელი კანცელარია გავანაწყენე.

**- ზემოთ დაგიბარეს?**

- არა. ასეთ ინტრიგებში არც ადრე ვერეოდი და არც ახლა ვერევი.

**- რადგანაც ინტრიგები ახსენეთ - საუბრობენ თქვენსა და ქალაქის მერს შორის დაპირისპირებაზე...**

- არა, არა...

**- კანონით პრემიერსა და მერს შორის ფუნქციები გამიჯნულია. სად იკვეთება ამ ორი თანამდებობის ინტერესი ისე, რომ დაპირისპირებას იწვევს?**

- ჩემი აზრით, პრემიერის ინსტიტუტი არ უნდა არსებობდეს. უნდა იყოს ვიცემერის პოსტი. ქალაქში ერთი ვერტიკალური სტრუქტურა უნდა იყოს. მოდელი, რაც ქვეყანაშია - პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრისა, ქალაქში არ მუშაობს. მერი მთავრობის თავმჯდომარეც უნდა იყოს და ვიცემერები უნდა ჰყავდეს. დღეს მერი ქალაქში უმაღლესი თანამდებობის პირია და თავისი ფუნქციები აქვს - სტრატეგიულ და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებს, განსაზღვრავს საკადრო პოლიტიკას. აღმასრულებელი ხელისუფლება კი - პრემიერი - ხარჯავს ბიუჯეტს, პასუხისმგებელია ოპერატიულ მართვაზე. უკვე სტიქიასთან ვასოცირდები, მაგრამ... ეს არის ჩემი ფუნქცია. მოკლედ, ჩვენ ჩვენს საქმეს ვაკეთებთ და თუ რაიმეში განსხვავებული აზრი გვაქვს, ეს დაპირისპირებას არ ნიშნავს.

**- ცხადია, სამუშაო კამათები არ იგულისხმება. ყოფილა შემთხვევები, როდესაც პრეზიდენტი ისე მოდის ქალაქის ღონისძიებებზე, რომ მერმა ამის შესახებ არაფერი იცის და პრეზიდენტს მხოლოდ თქვენ ხვდებით...**

- ასეთ შემთხვევას ვერ ვიხსენებ. ზოგჯერ, ზურა ხვდება პრეზიდენტს, ზოგჯერ - მე... ამას მნიშვნელობა არ აქვს. დღეს ჭავჭავაძის ქუჩაზე მე ვიყავი, რადგან ზურა არ არის...

**- თქვენზე იმასაც ამბობენ, რომ "ნაცმოძრაობის" გავლენიანი პირები ჭიაბერაშვილის წინააღმდეგ ბერკეტად გიყენებენ...**




პოლიტიკური ფიგურა არ ვარ, არც მაქვს ამის სურვილი. არც ვიცი პოლიტიკა. ჩემი პოლიტიკა სამეურნეო საქმეა. "სპოუკსმენი" ვერასდროს ვერ ვიქნები, საჯარო გამოსვლებსა და დისკუსიებს ვერ შევუდგები. მოდით რა, საქმე მაკეთებინეთ.

დილიდან რომ ნახოთ, რა საქმეებით ვარ დაკავებული, შეიძლება, ძალიან ბევრ ადამიანს გაუქრეს ამ სისტემაში მუშაობის სურვილი.

მე ვარ პროფესიონალი და ჩემი მოტყუება ისე იოლი არ არის, რომ ეს სამსახურის უფროსმა შეძლოს და ფინანსურ ოპერაციაში ჩამითრიოს. ჩემს წილ პასუხისმგებლობას ყოველთვის ავიღებ, მაგრამ ყველა თავის კომპეტენციით აგებს პასუხს.

- რა გიპასუხოთ ამ კითხვებზე? ჩემი გამოყენება არც ისე იოლია და დამიჯერეთ, ეს ვიღაცის დარიგებული სტანდარტული პასუხი არ არის. ძალიან ბევრი საქმე მაქვს საკეთებელი. პოლიტიკური ფიგურა არ ვარ, არც მაქვს ამის სურვილი. არც ვიცი პოლიტიკა. გულწრფელად გეუბნებით, ჩემი პოლიტიკა მართლა სამეურნეო საქმეა. "სპოუკსმენი" ვერასდროს ვიქნები, საჯარო გამოსვლებსა და დისკუსიებს ვერ შევუდგები. მოდით რა, საქმე მაკეთებინეთ.

**- ვის მიმართავთ?**

- ყველას, აბსოლუტურად ყველას. ამ საქმეში საკმაო გამოცდილება მაქვს. თუ გინდათ, რომ ქალაქი გავალამაზო, ასფალტი დავაგო... მოკლედ, რაც მევალება, ის საქმე გამაკეთებინეთ, ინტრიგები იქით დარჩეს...

**- როგორ გგონიათ, რას მოასწავებს, როცა თანამდებობის პირზე ასეთი ხმები დადის?**

- ინტრიგებზე მეკითხებით? ვერ გეტყვით, არ ვიცი. როდესაც ამ თემაზე თუნდაც ახლობლები მელაპარაკებიან, ვცდილობ, საუბარი არ გავაგრძელო. ინტრიგებს და ამგვარ თამაშებს თუ აჰყევი, იქიდან ველარ გამოხვალ. მართალია, ანგელოზი არ ვარ და ფრთები არ ამომდის, მაგრამ თუ ადამიანი ცუდს მიკეთებს, იგივე საქციელით ვერ ვუპასუხებ, რადგან მაშინ ჩვენ შორის არანაირი განსხვავება არ იქნება. ნამდვილად არ ვარ იმ ასაკში, რომ სკამს ჩავებღაუჭო. ერთადერთი, რაც მამოძრავებს, ის არის, რომ ქალაქისთვის საქმის კეთების რეალური შანსი მომეცა... ადამიანი, რომელიც პრემიერის თანამდებობაზე იმუშავებს, წმინდად სამეურნეო მუშაკი უნდა იყოს და ქალაქის სამეურნეო საქმიანობას უნდა განაგებდეს. თუ ეს ვინმეს პოლიტიკის საგანი ჰგონია, ძალიან ცდება.

**- ეს თანამდებობა კორუფციის ძალიან მაღალი რისკის ზონაა, რით იცავთ თავს?**

- მე ვარ პროფესიონალი და ჩემი მოტყუება ისე იოლი არ არის, რომ ეს საქალაქო სამსახურის უფროსმა შეძლოს და ფინანსურ ოპერაციაში ჩამითრიოს. ჩემს წილ პასუხისმგებლობას ყოველთვის ავიღებ, მაგრამ ყველა თავის კომპეტენციით აგებს პასუხს.

**- რუსთაველის გამზირის გადაკეტვას მინდა შევეხო. ხომ არ აჯობებდა ჯერ შეგვემცირებინა სამარშრუტო ტაქსების რაოდენობა, გაგვეკეთებინა რუსთაველის მიმდებარე ქუჩები, მათ შორის - სანაპიროც, გაგვემაგრებინა სახლები და მერე გადაგვეკეტა ქუჩა. ეს ხომ პრემიერის საქმეა? ასეთ შემთხვევაში, არა მგონია, ქალაქში ვინმე ეკოლოგიურად სუფთა ქუჩის არსებობის წინააღმდეგი იყოს...**

- ასე თუ მივუდგებით, უარი უნდა ვთქვათ ამ პროექტზე... მოწესრიგება, ყველაზე მეტად თაბუკაშვილის ქუჩას სჭირდება. ეს კი გარკვეულ დროსთან და თანხებთან არის დაკავშირებული.

**- დროებით ვთქვათ უარი, რა მოხდება?**

- ადამიანების გარკვეულ კატეგორიას და საკმაოდ დიდ ნაწილს ეს პროექტი მოსწონს. დღეს ჩვენს ქალაქში არც იმდენი სანახაობაა და არც იმდენი ადგილი, სადაც ადამიანები მასობრივად გამოვლენ.

**- სკვერებში და პარკებში ამის საშუალება არის...**

- მოდით, ვნახოთ, რა გამოვა. ეს მცდელობა იყო.

**- არის ეს ექსპერიმენტი, რომელმაც შეიძლება გაამართლოს და შეიძლება - არა?**

- ვფიქრობ, რომ გაამართლებს. კიევში გაამართლა.

**- კიევის ძველ, დაზიანებულ, ექსპლუატაციაგასულ ნაწილში?**

- იმ პრობლემების მოგვარებას, რაზეც ჩვენი მოსახლეობა საუბრობს და, ხშირად სამართლიანადაც, საკმაოდ დიდი დრო სჭირდება. რა თქმა უნდა, ამ გადაკეტვას უარყოფითი მხარეც აქვს, მაგრამ უფრო მეტია დადებითი ემოცია. ბევრი კმაყოფილი ადამიანი ვნახე.

**- ისტორიული სამართლიანობის აღდგენის მცდელობა გაქვთ მდინარე მტკვრის კალაპოტში, სადაც ქარვასლებისა და ხიდების აღდგენა იგეგმება. ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში, შესუსტდება თუ არა სანაპიროს ინფრასტრუქტურა, რომელიც ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი მთავარი სამოძრაო არტერიაა?**

- ეს საკითხი საკმაოდ დიდი ხანი მუშავდებოდა - ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც პრეზიდენტი საკრებულოს თავმჯდომარე იყო. მისი ყოფილი კაბინეტის კედელზე ჯერ კიდევ კიდია ეს პროექტი, რომელიც მაღალ დონეზე და გემოვნებით არის შესრულებული. პრეზიდენტმა გადაწყვეტილება სულ ორი კვირის წინ მიიღო, პროექტის წარდგენა კი მე დამევალა. პრეზიდენტთან შეხვედრაზე ბატონ ზურაბთან ერთად ვიყავი. მას რესპუბლიკის მოედნის რეკონსტრუქციის წარდგენა დაევალა, მე - მეტეხის ხიდის პრეზენტაცია. ასე რომ, საქმის კურსში იყო პრეზიდენტი, მერი და ცხადია, არქიტექტურის სამსახური. საცობები და შეფერხებები რომ არ შეიქმნას, ეს პროექტში გათვალისწინებულია. რიყე დიდ ტერიტორიაზეა, გარდა ამისა, ქარვასლები მტკვრის კალაპოტში შენდება და ამისთვის არც ერთი შენობა არ დაინგრევა. ავლაბრის ხიდი და ეს ორი ქარვასლა რიყის ტერიტორიის განვითარებასაც გულისხმობს და მარჯვენა სანაპიროს განვითარებასაც.

არსებული სოციალური პრობლემებიდან გამომდინარე, ნებისმიერ კომერციულ პროექტს რაიმე სოციალური ეფექტიც უნდა ახლდეს. ინვესტორები ძველ თბილისში სახლებს იმიტომ არ ყიდულობენ, რომ კომერციულ მოგებას ვერ ნახავენ, რადგან არქიტექტურის სამსახური 2-3 სართულზე მეტს არააშენებინებს და ბიზნესგეგმა მინუსებში წავა.

ასეთი ბიზნესმენებისთვის ქალაქი ქარვასლების მშენებლობაზე კონკურსს აცხადებს. ფართებს აღვადგენთ და ამაში მუნიციპალიტეტიც იღებს მონაწილეობას, რადგან მიწები ქალაქის არის. რაც მთავარია, ძველი თბილისის რეაბილიტაცია საპრეზიდენტო პროგრამაა. ვინც კომერციულ ფართს ააშენებს, საკონკურსო პირობებში ჩავდებთ პუნქტს იმის შესახებ, რომ ავარიულ ბინებს, რომელიც ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, ძველ თბილისში მდებარეობს, საკუთრებაში შეიძენენ, მოსახლეობას გაიყვანენ. შეძენილი ფართი კი მიმდებარე ინფრასტრუქტურის განვითარების წინაპირობას ქმნის. დღეს ეს მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ხდება, მოგვიანებით დავუშვებთ, რომ ეს მოხდეს ჩუღურეთის რაიონში, ფიროსმანის ქუჩაზე. როდესაც ავარიულ ფონდზე ვსაუბრობთ, მოსახლეობას უნდა ვაჩვენოთ, რომ მთავრობა მხოლოდ ფულიან ხალხზე და მათ გამდიდრებაზე კი არ ფიქრობს, არამედ იმ ადამიანების პირობების გაუმჯობესებაზეც, რომლებიც შიშით ცხოვრობენ ავარიულ სახლებში.

თუ ამ პროექტის ისტორიულ დატვირთვაზე ვისაუბრებთ, ის განუზომელია. ამ ქარვასლებში ისტორიული გარიგებები იდებოდა და თუ თბილისს დავიბრუნებთ, ეს საკამათოც არ უნდა იყოს.

**- ქალაქის საზღვრები დადგინდა?**

- ზუსტად არა. სწორედ ამაზე მიდის სერიოზული კამათი. მაგალითს გეტყვით - ამერიკის საელჩო, რომელიც დიღომში შენდება, არ ვიცით, თბილისია თუ მცხეთა.

**- რას უპირებთ უკანონო მშენებლობებს?**

- სამწუხაროდ, ძალიან ბევრი შეჩერებული მშენებლობაა. არქმშენინსპექცია დღეს ვერ ფუნქციონირებს, ის ეკონომიკის სამინისტროში შედის. ჩვენ კი მის გადმოცემას ვითხოვთ. მთავრობა ამ საკითხს მალე გადაწყვეტს. ეს სამსახური ნებართვით მიმდინარე მშენებლობების პროცესის მონიტორინგს განახორციელებს.

უკვე აშენებულზე კი, რა გითხრათ - შეიძლება დავაჯარიმოთ, ან მუნიციპალიტეტმა ფართი წამოიღოს, ან სხვა რამ დავაკისროთ. მშენებელი ვარ და დამანგრევლად არ გამოვდგები.

**- თქვენი ბიზნესი გქონდათ, სახელმწიფო სტრუქტურაში რატომ მოხვედით?**

- ბიზნესში სხვა ხედვა და მიდგომაა. დღეს სახელმწიფო სამსახურში მუშაობა ეს არის დიდი... არ ვიცი, როგორ გითხრათ... ერთ დღეს, დილიდან რომ ნახოთ, რა საქმეებით ვარ დაკავებული, შეიძლება, ძალიან ბევრ ადამიანს გაუქრეს ამ სისტემაში მუშაობის სურვილი.

**- და მაინც მუშაობთ...**

- და კვლავაც ვიმუშავებ. იმის ხშირად გამეორება, რომ მინდა ლამაზი ქალაქი მქონდეს, მხოლოდ ლირიკაა, მაგრამ თუ სახელმწიფო სამსახურში ეს გრძნობა არ გაქვს, ცუდი სახელმწიფო მოხელე ხარ. ამას წინათ, მერიის შენობა გავანათე და სამსახურიდან რომ გამოვედი, ამაღლებული განცდა დამეუფლა. მერე გავიარე პირველ სკოლასთან, ისიც განათებულია, იქვეა შადრევანი... უზომოდ დიდი ბედნიერებაა, შენს გაკეთებულს რომ ხედავ.

ბუშის ვიზიტამდე ორი თვის განმავლობაში მე და პრეზიდენტი ფეხით დავდიოდით მთელ თბილისში...

**- რას ათვალიერებდით?**

- ყველაფერს.

**- ქუჩების რეაბილიტაცია რა პოლიტიკით მიმდინარეობს?**

- ამ საქმეზე წელს 90 მილიონის დახარჯვაა გამიზნული და იგულისხმება სანიაღვრე სისტემების მოწესრიგება. წყალი და კანალიზაცია ცალკე თემაა. პოლიტიკა კი ასეთია - ყველა დიდი, ცენტრალური ქუჩა კეთდება: ჯავახეთის ქუჩა ვარკეთილში, შანდორ პეტეფის ქუჩა ვაზისუბანში, პატარიძის ქუჩა შეშელიძის და მისი შემაერთებელი ქუჩა; მარჯვენა სანაპირო, დასავლეთიდან თბილისში შემოსასვლელი გზა, გასასვლელი კახეთის და რუსთავის მიმართულებით, რუსთაველი, მელიქიშვილი-ჭავჭავაძე, კოსტავა, გმირთა მოედანი, ანაგის, კანდელაკის ქუჩები, ვაჟა ფშაველას გამზირი და ა.შ.

**- საბურთალოს ქუჩაც თქვით, რა...**

- საბურთალოს და გამსახურდიას ქუჩების პროექტი ცალკე კეთდება, რადგან ეს არის ყველაზე მეტად დაზიანებული უბანი მთელ თბილისში, რადგან აქ გადის ცენტრალური მაგისტრალების ძირითადი ნაწილი. ჟინვალიდან შემოსული წყალსადენი აქ გადის. წელს საბურთალოს ქუჩის კომუნიკაციებს იპოდრომამდე მოვაწესრიგებთ, მომავალ წელს - გაგარინის მოედნიდან 26 მაისის მოედნამდე...

**- და აპირებთ, რომ ეს ყველაფერი ბოლომდე ამ თანამდებობაზე ყოფნის ჟამს მიიყვანოთ?**

- თუ თანამდებობაზე დამტოვეს, რატომაც არა.

**- მერის არჩევითობაზე რა აზრის ბრძანდებით?**

- ეს თემა ჩემი კომპეტენცია არ არის.

**- იქამდე, ვიდრე საარჩევნო უბნებს კომუნიკაციების მოწესრიგება არ დასჭირდება?**

- კი, ბატონო.



# აფიშა

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
ჟან-ჟაკ ბრიკერი, მორის ლესაგი
"ინსტიქტი"
რეჟისორი: ოთარ ეგაძე
დას: 20:00 სთ.

## კინოთეატრები

**კინოს სახლი**
"ლუდვიგი"
(II ნაწილი)
რეჟისორი: ლუკინო ვისკონტი
ფასი: 2ლარი
დას: 18:00 სთ.

**რუსთაველი**
"მადაგასკარი"
(ანიმაციური ფილმი ქართულ ენაზე)
დას: 12:30; 13:30; 15:15; 17:00 სთ.

"მისტერ და მისის სმიტები"
დას: 19:00; 21:30 სთ.

**ამირანი**
"მისტერ და მისის სმიტები"
დას: 20:00; 22:15 სთ.

"მადაგასკარი"
(ანიმაციური ფილმი ქართულ ენაზე)
დას: 12:00; 14:00; 16:00; 18:00 სთ.

**ახმეტელი**
"მისტერ და მისის სმიტები"
დას: 14:30 სთ.

"ცოდვების ქალაქი"
დას: 17:00 სთ.

"მადაგასკარი"
(ანიმაციური ფილმი ქართულ ენაზე)
დას: 19:00 სთ.

## გამოფენები

**გოეთეს ინსტიტუტი**
გერმანელი ფოტოჟურნალისტის თომას გრაბკას ფოტონამუშევრების
გამოფენა "ხედვის შეცვლა" (Blickwechsel)

**ბაიას გალერეა**
ვალიდა ქუთათელაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**უნივერსი**
თვითნასწავლ მხატვარ ქალთა მხატვრული ნამუშევრების
გამოფენა "ცისარტყელა"

**ჰობი**
"თავისუფალი თემა"
კონკურსში გამარჯვებულ ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა

**ქარვასლა**
გამოფენა "სპეციალურად მარტივი/ალტერნატიული პროდუქციის კულტურის
წარმოქმნა"
(ახალი გერმანული დიზაინის თვალსაჩინო მაგალითი; 122 ექსპონატი; აქცენტი გაკეთებულია ავეჯზე, განათებასა და საცხოვრებელ ობიექტებზე)

**TMS**
სახვითი ხელოვნების ნიმუშთა გამოფენა

**შარდენი**
გოგა კუპრაძის ნამუშევართა მემორიალური გამოფენა

**ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი**
დმანისის არქეოლოგიური აღმოჩენების განახლებული ექსპოზიცია

"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

**თბილისის მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალ "საჩუქრის" პროგრამა**
**16 ივნისი**

**სამეფო უბნის თეატრი**
კიევ-პეჩოროს ლავრის სასულიერო გუნდი
დას: 20:00 სთ.

**კინომსახიობთა თეატრი**
"ზაფხულის ღამის სიზმარი"
(თურქეთი)

**"გლობუსი"**
"მოდი ვნახოთ ვენახი"
დას: 20:00 სთ.

# მეკობრეები

## ქართველმა მომღერლებმა საკუთარი ჰიტების აფხაზური ვერსიები ჩაწერეს

ია ვეკუა

გინახავთ აჩიკო გულედანის აკომპანემენტის თანხლებით მომღერალი ლელა წურწუმია? ეს არ არის არაჯანსაღ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის წარმოსახვის ბეჭდური აღწერა - ეს სცენა აფხაზეთში მცხოვრებთათვის დადგეს. პროექტი პირობითი სახელწოდებით "აფხაზური" თითქმის დასრულებულია, სიმღერები ჩაწერილია, ხოლო ვიდეომასალა მხოლოდ სამონტაჟო მაკრატლის მოლოდინშია. ქართველმა მომღერლებმა კიდევ ერთხელ შეგვახსენეს, რომ დევიზი - "გვახსოვდეს აფხაზეთი" მხოლოდ დასაზეპირებელი სიტყვები არ არის და საკუთარი სიმღერები საქართველოს ამ კუთხეში ჩარჩენილებს მათთვის უფრო გასაგებ ენაზე უმღერეს.

**თვითმხილველთა მონაყოლიდან**: დაახლოებთ ერთი წლის წინ სოხუმის ცენტრში თეთრმა ავტომანქანამ გაიარა. შიგ რამდენიმე ახალგაზრდა იჯდა (იქნებ ომსაც მოესწრნენ), გარეთ კი ქართული სიტყვები ისმოდა, დაახლოებით ასეთი - "ზოგიც ასე უბერავს..." მანქანამ მოედანი დიდი სიჩქარით გადაჭრა, რადგან დახლქვეშ ნაყიდი ქართული ჩანაწერის მოსმენას არავინ აპატიებდა. იმავე საღამოს, ერთ-ერთის დაბადების დღეზე, ბიჭები გოგოებს "ჩვენებური სიმღერის" დაბალ ჰანგებზე ეცეკვებოდნენ, დაბალზე, რადგან არც ამის მოსმენას აპატიებდათ ვინმე.

ხანდახან თბილისში სოხუმელები ჩამოდიან. იქაურ ცხოვრებაზე საუბრისას, თურმე გულდაწყვეტით ახსენებენ, რომ ამ წლების განმავლობაში ქალაქში კონცერტი არ გამართულა, არც ადგილობრივი ესტრადა აქვთ და, შესაბამისად, არც ვარსკვლავები ჰყავთ. უსმენენ რუსულ "ფაბრიკას", "ფაბრიკა 2-ს", "ფაბრიკა 3-ს" და "ფაბრიკა 4-ს". მხოლოდ ყველაზე გამბედავების ყურს სმენია უცნობისა და "ნიკოლშოუს" სახელები.

შარშან, ზაფხულში, სოხუმელმა სტუმრებმა ტელევიზიით ზემოხსენებული მომღერლების კლიპები ნახეს, მოისმინეს და მოეწონათ. მათი რეაქცია ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ინსტიტუტის თანამშრომლებმა რომ ნახეს, "ჩვენებური სიმღერისა" და "შებერილის" აფხაზური ვერსიების ჩაწერის იდეა გაუჩნდათ. იდეა თავად მომღერლებმაც მოიწონეს, აიტაცეს და განახორციელეს. ვინაიდან ქართულ-აფხაზური ურთიერთობები ჯერ ნელთბილ მდგომარეობაშიც არ არის, აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩანაწერები ე.წ. "პირატული" წესით გავრცელდა და მალე ჰიტადაც იქცა.



თბილისური პოპ-მუსიკა აფხაზეთისთვის

"აფხაზური პროექტი" წელს შედარებით წარმომადგენლობითია და ორის ნაცვლად შვიდი ქართული სიმღერის აფხაზურ ვერსიებს აერთიანებს. უცნობსა და "ნიკოლშოუს" "მწვანე ოთახი", გიგა მიქაბერიძე, "პაპარაცი" და ლელა წურწუმია შეუერთდნენ. შერჩევის პროცესი მარტივი იყო - პროექტისთვის სხვადასხვა მიმდინარეობის საუკეთესო შემსრულებლების ჰიტები იყო საჭირო.

სიმღერები მეტ-ნაკლებად თემატურადაც შეარჩიეს. მაგალითად, გიგა მიქაბერიძე მღერის "ეს ზღვა რომ შავია", უცნობი - "ვაგონი მიქრის" (ეს, ალბათ, თბილისი-სოხუმის წარმოსახვითი მატარებელია). ძველი ჰიტი გაიხსენა "მწვანე ოთახმაც" და "მისები", სავარაუდოდ, ისევე ძნელად გასაგები აფხაზურით იმღერა, როგორც ქართული ვერსიაა. არაკონცეპტუალური, მაგრამ მჟღერი სახელწოდების მქონე "პაპარაციმ" აფხაზეთის მზეს, მთვარეს, ცისარტყელასა და ვარსკვლავებს უმღერა, რაც, თუ ჯგუფის წევრების ასაკს გავითვალისწინებთ, არასდროს უნახავთ.

პროექტის ავტორები არიან "პირველი არხი", რადიო "უცნობი" და სტუდია "ქართული ჩანაწერები", ხოლო სიმღერების ტექსტები აფხაზურად ზემოთ ნახსენები ინსტიტუტის თანამშრომლებმა ლეიკო ავიძბამ და ესმა კვეკვესკირიამ თარგმნეს. მათი თქმით, ჩაწერა ყველა მომღერალს გაუჭირდა, რადგან აფხაზურში, თურმე, 64 ბგერაა, რომელთა უმეტესობის გამოთქმა საკმაოდ რთულია. ამის გამო ზოგი სიმღერა 5-6 საათის განმავლობაში იწერებოდა.

ამჟამად შვიდსიმღერიანი ალბომი მზადაა, თუმცა, აუდიოჩანაწერს ვიდეოვერსიაც ექნება დართული. "პირველმა არხმა" უცნობის აგარაკზე კლიპის სახის პატარა ფილმი გადაიღო, რომელშიც სიმღერების საკონცერტო ვერსიებიც შევა. ფილმში ნაჩვენებია ჩაწერის პროცესიც (სწორედ აქ უკეთებს აკომპანემენტს აჩიკო გულედანი ლელა წურწუმიას).

ჩანაწერი აფხაზეთში, სავარაუდოდ, კვლავ მუსიკალური მეკობრეების მეშვეობით ჩავა - ან გიგა მიქაბერიძის შავი ზღვით ან უცნობის მატარებლით ("პაპარაცის" ვარსკვლავები, ამ შემთხვევაში, უძლურია). კონცერტის ვიდეომასალა "პირველი არხის" ეთერით დატრიალდება, რაც, შესაძლოა, აფხაზეთის მოსახლეობამ შემთხვევით მაინც ნახოს. გარდა ამისა, ჩანაწერების მოსმენა რადიო "უცნობის" მსმენელსაც შეეძლება.

# ნაბიჯ-ნაბიჯ საზღვრებს გარეთ

## ქართული მუსიკის პერსპექტივები საერთაშორისო სცენაზე

ვერა ნეფარიძე

*აქვთ თუ არა ქართველ შემსრულებლებს შანსი მოღვაწეობის უცხოეთში გასაფართოებლად? - ეს შეკითხვა დროდადრო აქტუალური ხდება ხოლმე ჩვენს მუსიკალურ წრეებში. პასუხი სხვადასხვაგვარია: მათ შორის სკეპტიკურიც. არადა, მთლად ასეც არ უნდა იყოს საქმე. უბრალოდ, იმისთვის, რომ ჩვენმა შემსრულებლებმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვონ, ჯერ საქართველოში უნდა იყვნენ, სულ ცოტა, პოპულარულები მაინც. მაგრამ მხოლოდ ეს არ არის საკმარისი, რადგან მოსწონდე 5 ათას კაცს სამშობლოში, არ ნიშნავს, რომ მოეწონები ამდენივეს საზღვარგარეთ.*

ჩვენთან ხშირად საერთაშორისო აღიარებაც სხვადასხვანაირად ესმით: ზოგიერთს ის აკმაყოფილებს, თუ ამა თუ იმ ქვეყანაში ქართული სათვისტომოს ორგანიზებულ კონცერტებზე გამოვა და სამშობლოში დაბრუნებულს უკვირს, რატომ გამორჩათ ასეთი მნიშვნელოვანი მიღწევა მის თანამემამულეებს. ცხადია, ასეთი გასვლები შორს დგას პროფესიული წარმატებებისგან. თუ თბილისში "გიტყდება" რესტორნის მომღერლის სტატუსი და ამას შეურაცხყოფად მიიჩნევ, რა შეღავათია, თუ აქაურ თვალს მოფარებული, მწვანე ქაღალდის დანახვისას მღერი "შაბაშებს". სად იმღერო და როდის, ასე იოლად მოსაგვარებელი საკითხი არ არის; ამაზეა აგებული მთელი მუსიკალური ინდუსტრია; ამისთვის არსებობენ მენეჯერები; ამისთვის ფორმდება ათასობით კონტრაქტი ხმის ჩამწერ სტუდიებსა და მუსიკოსებს შორის. მთელი ეს ურთიერთობა აყვანილია რაღაც ხარისხში და ყველაფერ ამას შეგვიძლია მუსიკის პროფესიონალური მართვაც ვუწოდოთ. საქმიანობის ეს სფერო საქართველოში პრიმიტიულ საფეხურზე დგას. პრობლემების მთელი ჯაჭვია, რის გამოც მუსიკალური ინდუსტრია ჩვენთან ვერ ვითარდება, მაგრამ ეს პრობლემები რომ მოგვარებადია და მიზნის მიღწევაც შეიძლება, ამაში მაშინ დავრწმუნდებით, როდესაც პირველ წარმატებულ პრეცედენტს დავინახავთ.



"იანგ ჯორჯიან ლოლიტაზ"

კიდევ ერთი ახალი ქართული დამოუკიდებელი ხმის ჩამწერი სტუდიის - "სტეპ რექორდსის" ძირითადი მიზანი ქართველი არტისტების უცხოეთში პროფესიულ კონტაქტებზე გაყვანაა. პროფესიულ კონტაქტებში იგულისხმება: საკონცერტო მოღვაწეობა - გასტროლები, თანამშრომლობა მსგავს უცხოურ ხმის ჩამწერ სტუდიებთან, ფესტივალებთან. ბუნებრივად იბადება შეკითხვა: რა დაინტერესება შეიძლება ჰქონდეთ უცხოელ პარტნიორებს ამ შემთხვევაში, რაზეც ყველაზე მარტივი პასუხია: კარგი მუსიკა. აი, თუ რა არის კარგი მუსიკა, ანუ, ჯგუფებისა თუ ცალკეული შემსრულებლების შერჩევის კრიტერიუმს "სტეპ რექორსის" მესვეურები ამგვარად აყალიბებენ: "ეს არის მათივე პროდუქტი, მუსიკალური, საშემსრულებლო დონე; და, რაც მთავარია, ჩვენ უნდა მოგვწონდეს ეს მუსიკა. უნდა გვჯეროდეს, რომ ეს პროდუქტი კონკურენტუნარიანი იქნება უცხოეთში", - მეუბნება კომპანიის გენერალური დირექტორი ვახო ბაბუნაშვილი.

ამჟამად "სტეპ რექორდსი" მუშაობს: "იანგ ჯორჯიან ლოლიტაზთან", "სოფთ ეჯექტთან", "მწვანე ოთახთან", "პაპარაცისთან"; "დიდი სურვილი გვაქვს, ვითანამშრომლოთ "დეციშთან", "გრინ მამასთან", ხალხური საკრავების ანსამბლთან "ხორუმი", - ამბობს ვახო ბაბუნაშვილი და კომპანიის მიმდინარე პროექტებსაც გვაცნობს. სხვათა შორის, "ევროვიზიის პროექტი", რის ირგვლივაც ცოტა ხნის წინათ საზოგადოებაც ალაპარაკდა, "სტეპ რექორდსის" საქმიანობის ერთ-ერთი მცირე ნაწილია. მსმენელი მალე მიიღებს ახალგაზრდა, ენერგიული ჯგუფის "იანგ ჯორჯიან ლოლიტაზის" (ჯგუფს ცოტა ხნით "ლემონ ჯუსი" ერქვა) რიგით მეორე, ცოცხალი რადიოგამოსვლის ჩანაწერს; დისკის პრეზენტაცია ჯგუფის საკონცერტო გამოსვლასთან ერთად იგეგმება. ამ ჯგუფთან დაკავშირებით მთავრდება მუშაობა კლიპზე, რომელსაც რეჟისორი გიორგი ლიფონავა (გაიხსენეთ კლიპი ბაკურ ბურდულის სიმღერაზე "ფეთქავს") იღებს. "მათი იმედი საერთაშორისო სცენაზე გასვლის თვალსაზრისით ყველაზე მეტად მაქვს. ნიჭიერი ხალხია, რომელთაც ძალიან უყვართ მუსიკა", - ასე ახასიათებს მენეჯერი მუსიკოსებს. აქვე მახსენდება რამდენიმე დღის წინათ სამხრეთ კავკასიის მუსიკალური კონფერენციის დასასრულს "ნოა ნოაში" გამართულ კონცერტზე "იანგ ჯორჯიან ლოლიტაზის" საკონცერტო გამოსვლა, რომელიც, ცხადია, არ გამორჩენიათ კონფერენციის სტუმრებს; განსაკუთრებით კი ჯგუფით ინგლისელები დაინტერესდნენ.

ამას გარდა, "სტეპ რექორდსი" მუშაობს ვაშინგტონში, კენედის ცენტრში მიმდინარე მუსიკალური ფესტივალის ორგანიზატორებთან; მოლაპარაკების წარმატებით დასრულების შედეგად, შემოდგომაზე ხმის ჩამწერ კომპანიასთან მომუშავე ჯგუფები ფესტივალზე გაემგზავრებიან. "გვინდა ჩვენმა კომპანიამ განახორციელოს უცხოეთში ქართველი არტისტების წარმატებული მოღვაწეობის პირველი პრეცედენტი", - ვახო ბაბუნაშვილი საკუთარი სურვილების განხორციელებაში დარწმუნებულიცაა. ამ მიზნის მიღწევაში "სტეპ რექორდსს" სპონსორები ეხმარებიან; რაც მთავარია, ის ხალხი, ვინც დამოუკიდებელი ხმის ჩამწერი კომპანიის საქმიანობაში ფულს აბანდებს, დარწმუნებულია, რომ მომგებიან და პერსპექტიულ საქმეს აკეთებს. იმედია, ამაშიც მალე დავრწმუნდებით.

# აზრები, რომლებიც დიაგონალზე დადიან

სოფო კილასონია

მხატვარი, რომელმაც საკუთარი ნამუშევრები ორი დღის წინ გალერეა "კოპალაში" გამოფინა პარალელურად ხატმწერიცაა. სიმართლე უნდა ვთქვა, თავად რომ არ ეთქვა, ვერც კი ვიფიქრებდი. მისი ნამუშევრები რაიმე კანონებსა და ჩარჩოებს არ ცნობენ, შესაძლოა, პრეტენზია იმაზე მეტი ჰქონდეთ, ვიდრე ერთი რაიმე კონკრეტულის გამოხატვა და გამოსახვაა. **იანა ნერსესოვა** სულაც არ არის წინააღმდეგი, მისი ნახატები ისე აღვიქვათ, როგორც შევძლებთ და გვესიამოვნება. "იმისთვის, რომ ერთნაირად გაიგონ და დაინახონ, საჭიროა ორი ზუსტად ერთნაირი ადამიანი, ასეთები კი არ არსებობენ" - ვკითხულობთ საგამოფენო ბუკლეტში.

"მე ნამუშევრებს არ ვყოფ სერიებად, არ მაქვს სათაურები. ვთვლი, რომ ეს უაზრობაა. როგორ შეიძლება სახელი დავარქვა ნახატს, რომელიც კაცობრიობის სულიერ სამყაროს გამოხატავს. ეს შეუძლებელია. სულიერება ხომ ჩვენშია, ჩვენ მას ვგრძნობთ, ადამიანებმა პირობითად გარკვეული სახელები მოვიგონეთ. არადა მთლიანობაში ეს ყველაფერი კონკრეტიკას სცილდება". სათაურები ნახატებს მართლაც არ აქვთ, თუცა მათ კიდევ ჩარჩოებიც აკლია. "ყოველი ნახატი იდეაა, თუ ჩვენ მას ჩარჩოებში ჩავსვამთ რაღა გამოვა? იდეა ჩარჩოში, იდეა აღარ არის". ავტორი საკუთარ აზრებს ჩარჩოებში არ აქცევს. მისი მხატვრობა, ხომ მისი აზროვნებაა, შესაძლოა კიდეც - ცოდნა. თუმცა იანა ნერსესოვა საკუთარ მხატვრობას იმ კავშირებისა და სიღრმეების ხატებად აღიქვამს, რაც ადამიანს "ზეციურ სამყაროსთან" აკავშირებს. ზოგიერთი ნამუშევარი, ავტორის თქმით, კაცობრიობის ისტორიაა, ასეთ შემთხვევაში ტილოზე ზეთით მართლმადიდებლური, ეგვიპტური, ისლამური, იუდაისტური და სხვა მრავალი წარმოშობის სიმბოლოებია დახატული. თითქმის ყველაგან ალეგორიებს, მეტაფორულ ხედვასა და ავტორისეულ ფილოსოფიაშეპარულ აზროვნებას ვხვდებით.



იანა ნერსესოვა

ფერი და განცდა ნახატებში მეორეხარისხოვანია. ყოველი ნახატი იდეაა, კარგად "გამზადებული", "შეფუთული" და მზა. "ჩემი შემოქმედება იდეოლოგია არ არის, ეს უბრალოდ აზრებია.", - აზრები, რომლებიც პირობითი ნიშნებით ერთიანდება და მუქად შეფერილ კოსმოსში წრეზე იკვრება. "სიმბოლოებს ჩვენ ადამიანები ვაერთიანებთ, არ აქვს მნიშვნელობა, ვინ ვართ ჩვენ, რატომ ვართ, მთავარი ისაა, რომ ყველა დროსა და ეპოქას ჩვენ წარმოვადგენთ. ჩვენ არაფრით გამოვირჩევით ძველი ეგვიპტელებისგან, ყველა ცივილიზაციაში ჩვენ ვიყავით და ჩვენ ყოველთვის გვქონდა ჩვენი სულიერება, რელიგია. ყველაფერი ერთიანდება ჩვენში და ჩვენ ვართ ამ ცივილიზაციების მატარებელნი."

სიმბოლოები, ბოლომდე გაუგებარი ფენები და პარამეტრები, ადამიანი კი "კოპალას" ექსპოზიციაში ამ ყველაფერს კრავს, აერთიანებს და აკავშირებს. "სურათი უნდა ესაუბრებოდეს ადამიანს" - ამბობს მხატვარი და ვხვდებით, რომ დიალოგი მისთვის მთავარია. ოღონდაც ისეთი დიალოგი, როდესაც გაცვლა-გამოცვლა მოხდება არა ემოციებისა, არამედ აზრებისა და იდეებისა. გამოფენა კონცეპტუალური არ არის. ეს ზედმეტიც იქნებოდა, რადგანაც თავად ნამუშევრები საკმაოდ რთულ აზრობრივ კონსტრუქციებსა და კონცეფციებს თხზავს. მხატვრის ერთადერთი ამოცანა მეტად მასშტაბურია. სურს კაცობრიობის სულიერება გამოხატოს, ანდა პირიქით ადამიანები დაინახოს კოსმიურ სივრცეში.

იანა ნერსესოვას მხატვრობა მზა ფორმულებივითაა, რომელნიც ავტორის სიტყვებს: "და ეს არის მთელი კაცობრიობა და მისი ისტორია," მეტყველებენ. ექსპოზიცია მრავალნაირად და სხვადასხვანაირი გაშლილობით გვიჩვენებს, თუ როგორ ხედავს მხატვარი იმ ძაფებს, რომლებიც ადამიანს რაღაც კოსმიურ სამყაროსთან აკავშირებს.

ამ პატარა წერილის დასაწყისში ჩარჩოებისა და კანონების არარსებულობაზე დავიწყე წერა, ბოლოში კი თავად შემეპარა ამაში ეჭვი. უეცრად კითხვა იბადება, რამდენად თავისუფალია შემოქმედი, როცა ამ სახის ამოცანებს ისახავს და მეტაფორებითა და სიმბოლოებით მათ ხორცშესხმას ცდილობს? ამ წერილში ამას პასუხს ნამვილად ვერ გავცემ, ოღონდ იმიტომ არა, რომ ეს რთული იქნება. "ურწმუნოებიც კი პოულობენ აქ ადამიანის უძველეს ისტორიასა და კულტურას" - ვკითხულობთ იანა ნერსესოვას ბუკლეტში. ალბათ ამიტომაც ამ გამოფენაზე წასვლა ღირს... რაც შეეხება მათ, ვისაც მხატვრის "დიაგონალური აზრები" უფრო ღრმად დააინტერესებს, დღეს 6 საათზე გალერეაში სპეციალურ ლექციასაც შეუძლიათ დაესწრონ.

# ეპოქის დოკუმენტი

### ანუ რუსეთში ქრთამის მიცემის სახელმძღვანელო

მელორ სტურუა
საკ. კორ. აშშ-ში

ქვემოთ მოცემულია რუსეთში ქრთამის მიცემის სახელმძღვანელოს მთლიანი ტექსტი, გამოცემული ფინეთ-რუსეთის სავაჭრო პალატის მიერ 2003 წელს:

"რუსეთი პატარა საჩუქრების ქვეყანაა (დიდისაც.- მ.ს.). საჩუქრებს უკეთებენ არა მხოლოდ მეგობრებს, არამედ იმ ხალხს და ორგანიზაციებს, რომლებთან თქვენ საქმიანი ურთიერთობები გაქვთ. რუსეთის ხელისუფლების ოფიციალურმა პირმა შეიძლება თავის თავი შეურაცხყოფილად ჩათვალოს, თუ თქვენ იგი, ამა თუ იმ სახით, არ გაგახსენდებათ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენ მასთან საქმეებს აწარმოებთ არა პირველად (ანუ თქვენ ქრთამს იხდით ყოველ ჯერზე - მ.ს.). მდივანმა შეიძლება ხელი შეუშალოს, ან შეუწყოს ბიზნესმენთან შეხვედრას, იმისდა მიხედვით, თუ როგორი ურთიერთობები დაამყარეთ თქვენ მასთან. პატარა ადამიანებიც კი უნდა იქნენ განხილულნი, როგორც ადამიანი, და არა როგორც რაღაც ჭანჭიკი დიდ მანქანაში. დიდი მანქანა შეიძლება გაჩერდეს, თუ პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი დეტალი არ არის კარგად დაზეთილი (უნებურად გაგახსენდება სტალინი და მისი "ჭანჭიკების" სადღეგრძელო! - მ.ს.).

როგორ შევამჩნიოთ ქრთამის აღების სურვილი? პირველი ნიშანი იმისა, რომ მოხელეს ან ოფიციალურ პირს უნდა მიიღოს ქრთამი - არის საქმეების ჩახლართვა. კითხვებს არ პასუხობენ კონკრეტულად. თქვენ გეუბნებიან: "ვნახოთ". ვისაც რუს ოფიციალურ პირებთან მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს, ამტკიცებენ, რომ ქრთამის აღების სურვილი შეიძლება მათ თვალებში ამოიკითხო.

ოფიციალური პირი, რომელსაც სურს ქრთამის აღება, საუბარს მიმართავს თავისებურად და ამავე დროს აშკარა მინიშნებებს აკეთებს. თუმცა, უცხოელები, რომლებიც არ იცნობენ მექრთამეობის ინსტიტუტს, არ ესმით ისეთი საკვანძო ფრაზების მნიშვნელობა, როგორიცაა:

- თქვენ რა თქმა უნდა გესმით, მე დიდი სიამოვნებით, მაგრამ ეს ცოტა ძნელია...

- ეს შეიძლება მოხერხდეს, თუ თქვენ დამეხმარებით ერთ საქმეში...

- გარკვეული პირობებით მე შემიძლია შევასრულო თქვენი თხოვნა...


ქრთამი ჭოჭოხეთს გაანათებს

- ჩვენ ეს პრობლემა შეიძლება განვიხილოთ სხვა კუთხით...

- მე კი შემიძლია დავაჩქარო ეს გადაწყვეტილება...

ზოგჯერ გამოიყენება ჟესტები, მაგალითად, დიდი თითით საჩვენებლის მოსმა.

რა უნდა მივცეთ ქრთამის სახით? რა თქმა უნდა, არ არსებობს უნივერსალურად გამოსადეგი წესი. ქრთამი შეიძლება იყოს დაწყებული სიგარეტის კოლოფით და შოკოლადის ყუთით, და დამთავრებული შვეიცარიის ბანკში, მექრთამის ანგარიშზე გადარიცხული "არც თუ მცირე" თანხით. ლიცენზიების გაცემასა და ინსპექტირებაზე პასუხისმგებელმა პირმა შეიძლება მინიშნება გააკეთოს პატარა მანქანაზე, რომელიც მას "შეუძლია გამოიყენოს". ქრთამი ადვილი მისაცემია, როდესაც ოფიციალური პირი საოფისე მოწყობილობას თხოულობს. შეიძლება, მოითხოვონ ქაღალდიც კი, რომლის შეძენა მექრთამის ოფისის "ჯიბის სისქესს" არ შეესაბამება. დიდი მოცულობის ქრთამები იმ სექტორებში გაიღება, სადაც რუსეთის დიდი ფული დევს. ქრთამი შეიძლება იყოს ტურისტული საგზურები მზიან სანაპიროზე, ან ლაპლანდიაში.

ქრთამის მოცულობა უფრო ადვილი განსასაზღვრია, როდესაც მექრთამე თვითონ ლაპარაკობს თავის "საჭიროებებზე", რასაც იგი საკმაოდ ხშირად აკეთებს. მას შეუძლია მოითხოვოს გარკვეული თანხის გადარიცხვა სპეციფიკურ ანგარიშზე. ქრთამი და მისი მოცულობა შეიძლება წინასწარ იყოს ცნობილი რომელიმე სხვა ბიზნესმენისგან.

როგორ მივცეთ ქრთამი? არსებობს ქრთამის მიცემის გარკვეული ნოუ-ჰაუ. ხანდახან ისეთი სიტუაციაა, რომ ქრთამის მიმცემს ხელთ არ აქვს, ვთქვათ ჩემოდანში, საჭირო საჩუქარი. ამიტომ ქრთამის მიცემის პროცედურა წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული. თუ ფული უნდა იქნეს გადაყვანილი ანგარიშზე, ამის განხილვა წინასწარაა საჭირო. თუ მექრთამე თხოულობს მატერიალურ ფასეულობებს, ის შეიძლება კურიერის საშუალებით მიტანილ იქნეს წინასწარ შეთანხმებულ დროს, ვთქვათ, მეორე დღეს. თუ სიტუაცია ქუჩაში ხდება, მაგალითად პოლიციელთან, ქრთამი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მიცემული.

ქრთამის მიცემისას ყოველთვის შეიძლება შეიქმნეს ისეთი სიტუაცია, როდესაც ამას იყნოსებენ კონკურენტები ან მაფია და გამოიყენებენ თავიანთ სასარგებლოდ. ამიტომ ქრთამი უნდა მისცე დელიკატურად, აუცილებლად მოწმეების გარეშე, უმჯობესია რუსი შუამავლების გამოყენება. მაგრამ, ყველა შემთხვევაში ქრთამი უნდა მისცე მანჭვა-გრეხვის გარეშე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს თქვენთვის მორალურად მიუღებელია. თქვენ არ უნდა შეურაცხყოთ მექრთამე, თუ გინდათ, რომ ქრთამი ეფექტური იყოს. ზოგ შემთხვევაში უმჯობესია ქრთამის მიცემა ზედრამატული მანერით, სიტყვებით "საჩუქარი ძვირფასი მეგობრისთვის".

ასეთია რუსეთში ქრთამის მიცემის სახელმძღვანელოს შინაარსი, რომელიც 2003 წელს ფინეთ-რუსეთის სავაჭრო პალატის მიერ იქნა გამოცემული. იგი მოქმედებდა 2005 წლის იანვრამდე, როდესაც მან ძალა დაკარგა იმასთან დაკავშირებით, რომ... არა, რუსეთში მექრთამეობის აღმოფხვრის გამო კი არა, არამედ რუსული მხარის ჩივილის გამო. ფინელი ბიზნესმენები - გონებაშეზღუდულები, თვითონ ეჭვიც კი არ ეპარებოდათ, ფიქრობდნენ, რომ შექმნეს პრაქტიკული ინსტრუქცია, თუ როგორ უნდა აწარმოო საქმეები დიდ, მაგრამ გაიძვერა მეზობელთან, სინამდვილეში კი გამოაცხვეს ეპოქის დოკუმენტი - XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისის რუსეთის ლაკმუსის ქაღალდი.

მე მინეაპოლისში იმ რაიონში ვცხოვრობ, სადაც რუსეთში დიდი ბიზნესის მქონე ბევრი მსხვილი ამერიკული კომპანიის შტაბბინაა განლაგებული, მაგალითად, "ჰონიველი", "3M", "კარგილი", "მედტრონიქსი" "AMD", "პილსბერი" და სხვა. ყველა მათგანს აქვს ოფისი მოსკოვსა და სხვა ქალაქებში. დროგამოშვებით ამ კომპანიების ხელმძღვანელობა მეპატიჟება, რათა ჩავატარო სემინარები იმ მოხელეებისათვის, რომლებიც მუშაობენ ან მომავალში იმუშავებენ რუსეთში. შეკითხვების უმეტესობა, რომლებსაც ისინი მისვამენ ქრთამს ეხება - როგორ, რა და ვის მისცენ. ჩემს მსმენელს ნაკლებად აინტერესებს გუბერნატორების არჩევნები, მედიაში სიტყვის თავისუფლება, კრემლის ავტორიტარული ტენდენციები და 2008 წელში "ტახტის მემკვიდრე". ისინი ქრთამებზე არიან დაცენტრილები. "3M"-ის ერთმა მენეჯერმა ისიც კი მთხოვა, რომ მისთვის დამეხასიათებინა ქრთამის სპეციფიკა სქესის მიხედვით - რა უნდა მისცე კაცს, ქალს და სექსუალურ უმცირესობის წარმომადგენელს? მეორე ჩემმა "სტუდენტმა" "ჰონიველიდან" მთხოვა დამეხატა ქრთამების შკალა იერარქიულ რაკურსში: შეუძლია თუ არა, ვთქვათ, ამერიკული კომპანიის ვიცე-პრეზიდენტს რუსულის პრეზიდენტს მისცეს ქრთამი, თუ დაცული უნდა იყოს პარიტეტი? და ეს ყველაფერი მთელი სერიოზულობით, საქმიანად, ყოველგვარი ხუმრობის და სიცილის გარეშე.

რა თქმა უნდა, რუსეთში ქრთამის მიცემა არც გუშინ დაწყებულა და არც დღეს. გადაიკითხეთ რუსი კლასიკოსები, სალტიკოვ-შჩედრინი, ჩეხოვი. "ჩვენი ხალხი ქურდბაცაცაა, - ამბობდა მაქსიმ გორკი. რუსეთში ქრთამი, როგორც არაყი ისეა. ტყუილად არ იწყება ორივე სიტყვა ერთი ასოთი (водка, взятка). არაყიც ქრთამია. როგორც ხალხში ამბობენ "ნახევარი ლიტრის გარეშე ვერ გაიგებ". მექრთამეობაში ახალი მასშტაბებია. მსოფლიო ბანკის გამოკვლევების მონაცემების თანახმად, რუსები ყოველწლიურად ქრთამზე 36 მილიარდ დოლარს ხარჯავენ, ანუ სახელმწიფო ბიუჯეტის ნახევარზე მეტს. ეს ხარჯავენ. და რამდენს იღებენ?

# სკამი-ნიანგი და შოკოლადის კარი

### როალდ დალის მუზეუმი დამთვალიერებელს ელის

გრეით მისენდენი, ბექინგემშირი, დიდი ბრიტანეთი - ეს მისამართი ნახევარზე მეტი მსოფლიოსთვის არაფერს ნიშნავს. მაგრამ ეს ფაქტი სულ არ ანერვიულებს რამდენიმე ათეულ ათას ადამიანს (სტატისტიკა ზუსტად არავინ იცის, მაგრამ მწერალს, რომელზეც ახლა მოგითხრობთ, ამდენი ერთგული მკითხველი აუცილებლად ეყოლება). შაბათი დღიდან მოყოლებული ამ ადამიანებისთვის გრეით მისენდენი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მისამართი გახდა. იქ ცნობილი ბრიტანელი მწერლის როალდ დალის მუზეუმი ამოქმედდა.

"ჩარლი და შოკოლადის ქარხანა", "ჯეიმსი და გიგანტური ატამი", "ჯადოსნური თითი" - პერსონაჟები და სიტუაციები ამ საბავშვო მოთხრობებიდან იმდენად ცოცხალი და ძვირფასია თითოეული მკითხველისთვის, რომ გრეით მისენდენი მათთვის ბავშვობაში დაბრუნებას უდრის. უკან, ბავშვობაში გადასასახლებლად, მუზეუმი აბსოლუტურად ყველა პირობას უქმნის სტუმრებს. შენობა ზუსტად იმავე განწყობითაა დაპროექტებულ-მოწყობილი, როგორი განწყობაც დალის მოთხრობებიდან მოდის - მხიარული, სასაცილო და გემრიელი: დერეფნებში მოსასვენებელი მერხები და სკამები ყვითელია და ნიანგის ფორმა აქვთ, გალერეადან გალერეაში გამავალი კარები კი - შოკოლადის ფილის ფორმისა და ფერისაა და ერთი ერთზე აღადგენს იმ გემრიელ განცდას, "ჩარლი და შოკოლადის ქარხანაში" რომ არის. მეტიც, კარები მუზეუმში ზუსტად ისეთივე არომატს აფრქვევენ, როგორც შვეიცარიულ შოკოლადებს აქვთ.

დალის მუზეუმისა და მაღაზიის აშენება 4 მილიონ გირვანქა სტერლინგზე მეტი დაჯდა. ძველი შენობა და ეზო მთლიანად გალერეებად გადაკეთდა. თითოეული


კადრი ფილმიდან "ჩარლი და შოკოლადის ქარხანა"

დარბაზი და თითოეული გალერეა დალის ბიოგრაფიასა და მოთხრობებში ამოგზაურებს დამთვალიერებელს. კინოჩვენებები, ინტერაქტიული ინსტალაციები, ფოტოები, მგრძნობიარე მონიტორიანი კომპიუტერები - განწყობას და ინფორმაციას დალის შესახებ აბსოლუტურად ყველა არსებული და გავრცელებული საშუალებით იღებს სტუმარი. მდიდარ და კარგად ორგანიზებულ არქივში კი მწერლის ხელნაწერები და საოჯახო წერილები ინახება.

მუზეუმის დირექტორი სიუ დევისი აცხადებს: "დალი თავისი პირადი ნივთების უმრავლესობას ბაღში, პატარა ქოხში ინახავდა. ეს მისთვის ყველაზე მყუდრო სივრცე იყო, იქ არავინ შედიოდა. მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ, ოჯახის წევრებმა ქოხი დაცალეს, იქ შენახულ ნივთებს კი უკეთესი "სამალავი" მიუჩინეს. მუზეუმის არქივის ხელმძღვანელი ლიზ უითინგემი კი დასძენს: "შეიძლება დავასკვნათ, რომ დალი ძალიან მეწვრილმანე მწერალი იყო. თავიდან იდეებს "იდეების წიგნში" ინიშნავდა, შემდეგ წერდა ათასგვარ ვარიანტს, ასწორებდა, არედაქტირებდა, სანამ სასურველ შედეგს არ მიაღწევდა". მუზეუმში კი მისი მოთხრობების თითქმის ყველა დაუმთავრებელი თუ დამთავრებული ვერსიაა დაცული. რამდენიმე მათგანის წაკითხვა ინტერნეტშიც შეიძლება. მუზეუმის ვებ-გვერდზე დევს "ჩარლი და შოკოლადის ქარხნის" ერთ-ერთი შავი ხელნაწერიც.

ცალკე სიამოვნებაა მუზეუმის მაღაზიაც. იქ ათასგვარი თემატური სუვენირის ყიდვა შეიძლება. იყიდება ის ცნობილი "საწერი ქოხიც", რომლის შესახებაც ზემოთ გიამბობდით. სწორედ ამ ქოხში, აბსოლუტურ სიმარტოვეში, დალი თავის უსაყვარლეს პერსონაჟებს ქმნიდა და ბავშვებს განსხვავებულად აზროვნებას, ფანტაზიის ორიგინალური უნარის გამომუშავებას აჩვევდა.

რაც ყველაზე მთავარია, როალდ დალის მუზეუმი არც სხვა ცნობილ მწერლებს დატოვებს უყურადღებოდ. დროებითი გამოფენები მიეძღვნება თანამედროვე ავტორებს: ბენჯამინ ზეფანიას, ფილიპ პულმანს, ჯ.ქ. როულინგს და ჟაკლინ უილსონს.

თუმცა, დროებითი გამოფენების პირველ სერიას მაინც როალდ დალი ხსნის. მუზეუმის დირექცია სტუმრებს იმ ფოტოებს წარუდგენს, მწერალმა მეორე მსოფლიო ომის დროს ახლო აღმოსავლეთში მსახურობისასა რომ გადაიღო. ეს ფოტომასალა მისმა შვილთაშვილმა ლუკ კელიმ ახლახან აღადგინა.

ასე რომ, როალდ დალი სტუმრებს მშობლიურ სოფელში ელის. გრეით მისენდენში ის სიცოცხლის ბოლომდე, 1990 წლამდე ცხოვრობდა. მისი სურვილი იყო, მთელი მისი არქივი - ხელნაწერებით, საქმიანი და პირადი კორესპონდენციებითა და მისი "იდეათა რვეულით", ერთად თავმოყრილი, აქვე შენახულიყო. სურვილი მწერალს აუსრულდა. ახლა დალის მუზეუმი ისეთივე საინტერესო და სახალისო ადგილი გახდა, როგორიც მისი წიგნებია.

ინგლისისგან შორს მყოფებისთვის და დალის თემით დაინტერესებულთათვის კი აქვე ორიოდე საინტერესო ვებ-გვერდის მისამართი: http://www.roalddahl.com და http://www.roalddahlmuseum.org. მათვე შევახსენებთ, რომ როალდ დალი მოთხრობებს დიდებისთვისაც წერდა. კრებულები - Kiss Kiss და Switch Bitch ბევრ ქვეყანაში ბესტსელერი გახლდათ. მალე კი დიდ ეკრანზე გამოვა დალის ბესტსელერი და ბევრისთვის საყვარელი მოთხრობის "ჩარლი და შოკოლადის ქარხნის" მიხედვით გადაღებული ფილმი, რომელშიც მთავარ როლს ჯონი დეპი ასრულებს. ეს დეპის ფილმოგრაფიაში მეორე შოკოლადია. პირველი მან ჟულიეტ ბინოშთან ერთად "მიირთვა" და მაყურებელიც ძალიან ასიამოვნა. რაც შეეხება როალდ დალს, იმედია, ამ ძალიან კარგ ბრიტანელ მწერალს დეპის ახალი ფილმის გამოსვლის შემდეგაც გავიხსენებთ.

პაულო კოელიოს სვეტი

# სიყვარულის მახეები



### ხალიფა და მისი ცოლი

არაბმა ხალიფამ ვეზირს უხმო და უბრძანა:

"სანამ წასული ვიქნები, ჩემი ცოლი ციხე-სიმაგრეში გამოკეტე".

"მაგრამ თქვენო უდიდებულესობავ, მას ხომ თქვენ უყვარხართ!"

"მეც მიყვარს", - მიუგო ხალიფამ, - "მაგრამ ძალიან დიდ პატივს ვცემ ერთ ჩვენს ძველ ანდაზას, "აშიმშილებ ძაღლს და მუდამ გიერთგულებს; გაასუქებ და - დაგკბენს".

ხალიფა ომში წავიდა და შინ მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ დაბრუნდა. ჯერ არავინ არ ჰყავდა ნანახი, რომ მაშინვე ვეზირი დაიბარა და მეუღლის ამბები გამოჰკითხა.

"თქვენო უდიდებულესობავ, ძალიან ვწუხვარ, მაგრამ უნდა გაცნობოთ, თქვენ ცოლმა მიგატოვათ. წასვლის წინ ერთი მშვენიერი არაბული ანდაზა კი მითხარით, მაგრამ დაგავიწყდათ მეორე ხალხური სიბრძნე, რომლის დედა-აზრიც ასეთია: "თუ ძაღლს დაბმას მიაჩვევთ, ის ნებისმიერს გაჰყვება უკან, ვინც გალიის კარს გაუღებს და გაათავისუფლებს".

### ვის შეუძლია სულის გაკონტროლება

ხშირად ვასკვნით ხოლმე ადამიანები, რომ სიყვარულის გაკონტროლებას არაფერი უნდა. მერე კი საკუთარ თავს ვიჭერთ ხოლმე დაეჭვებაში: "და ღირს კი ამის გაკეთება?"

სიყვარული კი ამ კითხვით თავს არ იწუხებს. სიყვარული უარს ამბობს, ისე შეაფასონ, როგორც ვაჭრობის საგანი. ბერთოლდ ბრეხტის პიესის "სეჩუანელი კეთილი კაცის" ერთ-ერთი პერსონაჟი ნამდვილ სიყვარულს ასე ასხამს ხოტბას:

"მუდამ სატრფოს გვერდით მსურს ყოფნა.
ამისთვის ყველაფერს გავიღებდი.
არც ცხოვრებისეულ სირთულეებს შევუშინდებოდი.
არად ჩავაგდებდი მის გრძნობას ჩემს მიმართ.
ერთადერთი, რაც მსურს, მის გვერდით ყოფნაა".

### სიყვარულის საზომი

ერთხელ ერთ ბრძენ ინდუისტს შეგირდმა ჰკითხა: "ყოველთვის მსურდა, გამეგო, შემიძლია თუ არა ისე სიყვარული, როგორც - შენ".

"არაფერია სიყვარულის მიღმა", - მიუგო ბრძენმა, - "დედამიწას სიყვარული აბრუნებს, ვარსკვლავებსაც ცაზე ეს უსაზღვრო გრძნობა აჩერებს".

"ეგ ყველაფერი მეც ვიცი. მაგრამ როგორ უნდა მივხვდე, ჩემი სიყვარული საკმარისად ძლიერია, თუ არა?"

"ეცადე გაიგო შემდეგი: ბოლომდე ეძლევი თუ არა სიყვარულს, თუ საკუთარ გრძნობებს გაურბიხარ. თუმცა, ასეთ კითხვებს ნუ დასვამ, რადგან სიყვარული არც დიდია და არც პატარა. გრძნობას ისე ვერასდროს გაზომავ, როგორც, მაგალითად, გზის სიგრძეს: თუ ასე მოიქცევი, მხოლოდ საკუთარ ანარეკლს დაინახავ, ისე როგორც მთვარის აჩრდილს ტბაში, შენს ნამდვილ ბილიკს კი ასცდები".

### ძიება ფიქრით

ლინდა საბათმა გადაწყვიტა თავის სამ ვაჟთან ერთად ქალაქი მიეტოვებინა და ერთ პატარა კანადურ ფერმაში დასახლებულიყო. იქ მას სურდა, ბოლომდე მისცემოდა სულიერ ძიებებს.

ამ ამბიდან ერთი წელიც არ იყო გასული, რომ მას ერთი კაცი შეუყვარდა, ცოლად გაჰყვა მას, მედიტაციის მეთოდები წმინდანთა ქადაგებებიდან შეისწავლა, ბავშვების განათლებისთვის ფულის შოვნა დაიწყო, მეგობრები გაიჩინა, მტრებიც - საკმარისად, გაუფუჭდა კბილები, ფეხით იარა ქარიშხლებსა და ქარბუქიან ამინდებში, ისწავლა მანქანის შეკეთება, გაყინული მილების გადნობა, ალიმენტად მიღებული მიზერული თანხით, თვის ბოლომდე თავის გატანა, გათბობის გარეშე ცივი ღამეების გატარება, უმიზეზოდ სიცილი, სასოწარკვეთილი ტირილი, ტაძრის აშენება, სახლის შეკეთება, კედლების შეღებვა და სულიერი ძიების შესახებ ლექციების წაკითხვა.

"და, ბოლოს და ბოლოს, მივხვდი: ლოცვა არ გულისხმობს განდეგილობას". სიყვარული ისე დიდია, რომ ის ადამიანებს უნდა გაუზიარო", - ამბობს დღეს ის.

*ქართულად გამოცემულია პაულო კოელიოს საერთაშორისო ბესტსელერები: "თერთმეტი წუთი", "ალქიმიკოსი", "რიო-პიედრას ნაპირას ჩამოვჯექი და ავტირდი" და "ვერონიკამ სიკვდილი გადაწყვიტა". იკითხეთ წიგნის მაღაზიებში.*



ინფოთეკა

### ფიგუ შეიძლება ყატარში ან ინგლისში აღმოჩნდეს

ყატარის კლუბი "ალ-რაიანი" მადრიდის "რეალის" ნახევარმცველის ლუიშ ფიგუს შეძენის შესაძლებლობას განიხილავს. როგორც ცნობილია, პორტუგალიელის ადგილი ვერ გამოინახა "სამეფო კლუბის" მთავარი მწვრთნელის ვანდერლეი ლუშემბურგოს გეგმებში. ამიტომაც მან ესპანური კლუბი ამ ზაფხულსვე უნდა დატოვოს, მიუხედავად იმისა, რომ მის კონტრაქტს მხოლოდ ერთი წლის შემდეგ გაუვა ვადა.

ამავე დროს ყატარის გუნდის წარმომადგენლის განცხადებით, ფიგუს მიმართ "ლივერპულიც" ამჟღავნებს ინტერესს.

"ჩვენ სერიოზულად განვიხილავთ ლუიშ ფიგუს შეძენის შესაძლებლობას, თუმცა, მის მიმართ დიდ ინტერესს იჩენს ასევე "ლივერპული", ამიტომაც, ალბათ, მისი მოპოვება გაგვიჭირდება", - განაცხადა "ალ-რაიანის" ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა.

### "რეალმა" "ჩელსის" ფეხბურთელების შეცვლა სთხოვა

მადრიდის "რეალის" ხელმძღვანელობამ წინადადებით მიმართა ლონდონის "ჩელსის" ხელმძღვანელობას. საქმე ეხება ფორვარდის მაიკ ოუენის ნახევარმცველის ფრენკ ლამპარდით შეცვლას. ბრიტანული პრესის ცნობით, ოუენმა მადრიდელებს უთხრა, რომ "რეალიდან" წასვლის შემთხვევაში მას "არისტოკრატებთან" გადასვლა უნდა.

### "ინტერი" ვალერ სამუელს იჯარით აიყვანს

tribalfootballის ცნობით, "ინტერის" ხელმძღვანელობამ შეთანხმებას მიაღწია მადრიდის "რეალთან" ვალტერ სამუელის იჯარით აყვანასთან დაკავშირებით. იტალიურ კლუბს ახალი ცენტრალური მცველი სჭირდება, სამუელი კი მათთვის ცუდი ვარიანტი ნამდვილად არაა. იტალიური კლუბი მომავალში ამ ფეხბურთელს 16 მილიონ ევროდ გამოისყიდეს.

თუმცა, აუცილებელია, დეტალების დაზუსტება თავად სამუელთან, რომლის ხელფასიც მოცემულ მომენტში 3,6 მილიონ ევროს შეადგენს. ვარაუდობენ, რომ "ინტერში" ის უფრო ნაკლებს მიიღებს. უახლოეს დღეებში მილანის კლუბის მენეჯერი მარკო ბანკო სამუელთან აპირებს შეხვედრას.

### რობერი "პორთსმუტში" გადადის

"ნიუკასლის" ნახევარმცველი ლორან რობერი "პორთსმუტში" გააგრძელებს კარიერას. გუშინ ფრანგმა ფეხბურთელმა თავის ახალ კლუბთან სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ჯერჯერობით არაფერია ცნობილი ტრანფერის თანხაზე.

2001 წელს რობერი "ნიუკასლში" ფრანგულ კლუბ "პარი სენ-ჟერმენიდან" გადავიდა 9,5 მილიონ გირვანქა სტერლინგად.

### დიუფი "ლივერპულს" ტოვებს

ინგლისური კლუბის "ლივერპულის" თავდამსხმელმა ელ ჰაჯი დიუფმა განაცხადა, რომ ის თითქმის მოეთათბირა "ბოლტონს" გადასვლასთან დაკავშირებით. ახალ კლუბთან იგი ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს.

აღსანიშნავია, რომ დიუფი "ლივერპულში" ფრანგულ კლუბ "ლანსადან" გადავიდა ათ მილიონ გირვანქა სტერლინგად.

### პეტერ ჩეხი - საუკეთესო ჩეხი ფეხბურთელი

ლონდონის "ჩელსის" მეკარე პეტერ ჩეხი გასული სეზონის საუკეთესო ჩეხ ფეხბურთელად აღიარეს და "ოქროს ბურთითაც" დაასაჩუქრეს. ამ ტიტულისთვის ბრძოლაში ჩეხმა უკან ჩამოიტოვა იტალიის ჩემპიონატის გამარჯვებული გუნდის "იუვენტუსის" ფეხბურთელი პაველ ნედვედი, ამ სეზონზე ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული გუნდის "ლივერპულის" თავდამსხმელმა მილან ბაროშმა კი საუკეთესო ჩეხი ფეხბურთელების სიაში მესამე ადგილი დაიკავა.

23 წლის პეტერ ჩეხმა სეზონი ბრწყინვალედ ჩაატარა. "ჩელსის" შემადგენლობაში სადებიუტო სეზონის დროს მან უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა, პრემიერ-ლიგაში მხოლოდ 15 ბურთი გაუშვა. შესაბამისად, გუნდმა ამ უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში პირველად მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული. იგი ასევე ძალიან დაეხმარა გუნდს ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გასვლაში.




# მთავარი იყო რომანტიკა

## "ჩემს ვერისბაღელ გულშემატკივრებს დისტეფანოსგან"

რუბრიკას უძღვება
ნინო სვანიძე

*მართალია, დღევანდელი სტუმრები, ყოფილი კალათბურთელები - დათო თორთლაძე და მიშა ახვლედიანი ვერისბაღელები არ ყოფილან (ერთი უბრალო მიზეზის გამო - ძალიან ახალგაზრდები არიან), მაგრამ როგორც სპორტსმენებს და ადამიანებს, იმდენი რამ აკავშირებდათ ვერის ბაღთან, რომ სიამოვნებით დაგვთანხმდნენ, თავიანთი მოგონებები ჩვენთვისაც გაეზიარებინათ...*

**მიშა ახვლედიანი:** "ჩემს ცხოვრებაში ვერისბაღელები ქართლოს სვანიძისგან შემოვიდნენ - ჩემი მეზობელი იყო; 7-8 წლის ვიყავი, როდესაც აღმოვაჩინე, რომ ჩვენი სახლის სადარბაზოსთან ყოველღამ, დაახლოებით 11 საათზე, რამდენიმე მანქანა ჩერდებოდა და ვიღაცას უცდიდა; მერე ჩვენი სადარბაზოდან ერთი კაცი გამოდიოდა, სულ პირველი მანქანის წინა სავარძელზე ჯდებოდა, ეს მანქანა დაიძვრებოდა და დანარჩენებიც უკან მიჰყვებოდნენ. ვერაფრით ვერ მივხვდი, ვინ იყო ეს კაცი და, საერთოდ, რა ხდებოდა. მერე მამაჩემმა ამიხსნა: ესენი ვერისბაღელები არიან და ღამღამობით იკრიბებიან, ძალიან საინტერესო რაღაცებზე მსჯელობენ, განსაკუთრებით ფეხბურთი უყვართ და, საერთოდ, სპორტიო; ამ კაცს "ბელადს" ეძახიან და ჩვენი მეზობელიაო.

იმ დროს მაინცდამაინც ბევრს ვერაფერს მივხვდი, მაგრამ გავიდა დრო, ჩვენი და სვანიძეების ოჯახი დამეგობრდა, "ბელადი" ახლოს გავიცანი, მერე კალათბურთის თამაში დავიწყე და საბოლოოდ ქართლოსი ჩემი უახლოესი მეგობარი გახდა. მაშინ უკვე ვერისბაღელები, უფრო შემცირებული შემადგენლობით, ხშირად იკრიბებოდნენ სვანიძეების ოჯახში. პატარა ვიყავი და, წარმოიდგინეთ, როგორ მსიამოვნებდა ამ თავყრილობებზე დასწრების საშუალება რომ მქონდა. უამრავ რამეს ვისმენდი, ვიგებდი და ვიმახსოვრებდი. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი მსოფლმხედველობა იმ შეკრებების დროს ჩამოყალიბდა. ეს იყო სულ სხვა ტიპის მეგობრობა - არა ისეთი, რაც ჩემი ასაკის ბიჭებთან მქონდა; აქ შემეძლო ყველანაირი კითხვა დამესვა და, იმედი მქონდა, რომ ყოველთვის ავტორიტეტულ პასუხს მივიღებდი; ეს იმდენად კარგი იყო, რომ მაშინაც და ახლაც გული მწყდება ჩემი თაობის იმ ბიჭების გამო, ვისაც ამ ადამიანებთან ურთიერთობამ არ მოუწია"...

**დათო თორთლაძე:** "ვერისბაღელები და განსაკუთრებით ქართლოსი ჩემი გულშემატკივრები იყვნენ. ვერ დავიჩემებ, რომ ჩვენ დიდი კალათბურთი ვითამაშეთ, მაგრამ რასაც ვთამაშობდით, გვიხაროდა და ჩვენთან ერთად უხაროდათ მათაც. რა თქმა უნდა, ბაღში ფეხბურთი პირველ ადგილზე იდგა, მაგრამ არანაკლებ უყვარდათ და ესმოდათ კალათბურთიც. ყოველ შემთხვევაში, მათ დარიგებებს ჩვენც ყურადღებით ვისმენდით, ჩვენი მწვრთნელებიც და, საერთოდ, თამაშის მიმდინარეობისას სულ გვახსოვდა, რომ ჩვენ გვყავდა ჩვენი ელიტური მაყურებელი, რომლისთვისაც ვთამაშობდით და მათთვის თავი უნდა მოგვეწონებინა.

საერთოდ, მე მგონი, ვერის ბაღის ფენომენში მთავარი ის იყო, რომ ეს ადამიანები რაიმე კონკრეტული სპორტის სახეობის გულშემატკივრები კი არ იყვნენ, უბრალოდ, იმ შეზღუდულობისა და შებოჭილობის წლებში ადამიანის პიროვნულ ღირსებებს ეძებდნენ და აფასებდნენ. ერთი სიტყვით, მთავარი იყო სიყვარული და სხვა არაფერი; რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ახლა ძალიან გვაკლია. ვერისბაღელები ხომ რომანტიკოსები იყვნენ, ახლა კი ყველაფერში პრაგმატიზმი ჭარბობს"...

**მიშა ახვლედიანი:** "ჰო, რა თქმა უნდა, დღეს ყველაზე მეტად ასეთი რომანტიკოსი და მოსიყვარულე გულშემატკივარი აკლია არა მარტო სპორტს - საერთოდ, ყველა სფეროს; თან მუდმივი დისიდენტები იყვნენ, ჯანსაღი ოპოზიცია, ოღონდ - ძალიან სამართლიანები და ყოველგვარი სიძულვილის გარეშე"...

**დათო თორთლაძე:**"რა სიძულვილი... მერიდება კიდეც გახსენება - ქართლოსი, როგორც კალათბურთელს, ძალიან მაფასებდა და ხშირად ისეთ საქებარ რაღაცებს მეუბნებოდა, მრცხვენოდა, მაგრამ ამავე დროს პასუხისმგებლობას მმატებდა და სტიმულს, რომ უკეთ მეთამაშა... არ დამავიწყდება, შეკრებაზე მივდიოდით მატარებლით და უცბად სადგურზე ქართლოსი მოვიდა, ქილით მომიტანა გატარებული ნიგოზი, ქიშმიში და გარგარის ჩირი - ყოველ დილით თითო სუფრის კოვზი უნდა ჭამოო... ერთხელ, ჩემს დაბადების დღეზე, რეჟიმში ვიყავი და ვერც კი წარმომედგინა, ქეიფის უფლება თუ მქონდა; ქართლოსმა გამომიარა და რესტორანში წამიყვანა - ერთად დავლიეთ, ბევრი ვისაუბრეთ და ასე გავატარეთ ჩემი დაბადების დღე; არასოდეს დამავიწყდება"...

**მიშა ახვლედიანი:** "მართლაც ძალიან ბევრი სიყვარული გვახსოვს ამ ხალხისგან და, რადგან ასეთი სიყვარული გადამდებია, მეც იმდენად მიყვარს ისინი, რომ ესპანეთში ყოფნისას დისტეფანოს ერთი მეგობარი გავიცანი, რომელიც მასთან შეხვედრას დამპირდა; თბილისიდან საგანგებოდ გამოვაგზავნინე ფოტო, რომელზეც თითქმის ყველა ვერისბაღელია ასახული - მანამდე მე თვითონ გადავუღე მათ ეს ფოტო და შემდეგ გავაპლაკატე; ავიღე ერთი ბოთლი ქართული ღვინო, ეს პლაკატი და წავედი დისტეფანოსთან სტუმრად. დისტეფანომ მითხრა, - ვიცნობ თქვენს ქვეყანას, მაგარი რევოლუციონერი ერი ხართო. მე ვუთხარი, - ჯერ ეს ღვინო გასინჯეთ და უკეთ მიხვდებით, როგორებიც ვართ-მეთქი; მერე დავჯექი და ვუამბე ვერისბაღელებზე, ისიც ვუთხარი, - მე თქვენი თამაში საერთოდ არ მახსოვს, მაგრამ ეს ადამიანები ისე გეთაყვანებოდნენ, მათგან ლეგენდები მაქვს თქვენზე მოსმენილი; ზოგიერთები პელეზე და გარინჩაზე მეტად თქვენს ნიჭს აფასებდნენ-მეთქი. აი, ესენი არიან-მეთქი, - და ყველა ცალ-ცალკე ვუჩვენე ფოტოზე - გავაცანი. დისტეფანო ყურადღებით მისმენდა და შევატყვე, ძალიანაც ესიამოვნა ჩემი სიტყვები; ბოლოს პლაკატი გამომართვა და ასეთი წარწერა გააკეთა: "ჩემს ვერისბაღელ გულშემატკივრებს დისტეფანოსგან".

მძლეოსნობა

# 100 მეტრი მეასედით შეიკვეცა

## ასაფა პაუელი - ადამიანთა შორის ყველაზე სწრაფი

ბიბა ბურასაშვილი

*სპორტის დედოფალი, გარდა იმისა, რომ დედოფალია და ამით ყველაფერია ნათქვამი, იმ იშვიათ სახეობათაგანია, რომელშიც მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესება ორმაგად ფასობს, მით უფრო სარბენი ბილიკების ყველაზე პრესტიჟულ, ყველაზე სწრაფ სპრინტერულ დისციპლინაზე - 100 მეტრზე. იამაიკელ ასაფა პაუელის სისწრაფემ კი სარბენი ბილიკები ისე დაამოკლა, რომ 9,77 წამში პლანეტის უსწრაფეს ადამიანად იქცა და მსოფლიო აალაპარაკა. ისტორიული გარბენი კი 14 ივნისს ათენში, ოლიმპიურ სტადიონზე იააფ-ის სუპერ დიდ პრიზზე - ციკლიტირიაზე შედგა.*

"ვიღაცა სასიამოვნო სიურპრიზს შემპირდა", - ერთი დღით ადრე ამბობდა მინოს კირიაკოუ, იააფ-ის საბჭოს წევრი. სიურპრიზში მაღალჩინოსანი იააფელი მსოფლიო რეკორდის შესაძლო დამხობას გულისხმობდა, თუმცა, ვისგან მოდიოდა ასეთი პირობა, უცნობია. ასეა თუ ისე, ასაფა პაუელი მსოფლიოს რეკორდსმენთა არცთუ მრავალრიცხოვან ამქარში გაერია და საკუთარი სახელი სამუდამოდ ჩაწერა მძლეოსნური სამყაროს ისტორიაში.

იამაიკელი სპრინტერის მიერ გაუმჯობესებული უწინდელი მსოფლიო რეკორდი კი ამერიკელ ტიმ მონტგომერს ეკუთვნის, რომელიც პარიზში სამი წლის წინათ




*რეკორდსმენი და რეკორდი*

დაამყარა - 9,78.

ისტორიულ გარბენამდე პაუელი აცხადებდა, მზად ვარ მონტგომერის რეკორდი გავაუმჯობესოო. თუმცა, ეს ალბათ უფრო სურვილი იყო, რადგან ქადილით სპრინტერულ დისციპლინაში მსოფლიოს რეკორდები არ ემხობა.

"ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ წინასწარ ვერავინ განსაზღვრავს, რამდენად სწრაფად შეუძლია ადამიანს რბენა.

მართალია, წარმატებისა არ მჯეროდა, მაგრამ რომ ვთქვა, ამაზე არ ვფიქრობდი-მეთქი, მართალი არ ვიქნები. აქ იმისთვის ჩამოვედი, რომ მეჩვენებინა, რა შემიძლია", - მას შემდეგ განაცხადა პაუელმა, რაც მსოფლიო რეკორდს მწვანე შუქი აუნთო ჟიურიმ.

საგულისხმოა, რომ ამ სტადიონს ადრეც უნახავს რეკორდი. 1999 წელს ამერიკელმა მორის გრინმა (რომლის რეკორდიც მოგვიანებით ტიმ მონტგომერიმ დაამხო) ხუთი მეასედი წამით გააუმჯობესა კანადელი დონოვან ბეილის მიღწევა (ატლანტა. 27 ივლისი. 1996 წ. 9,84 წამი). ისე კი, თითქმის ასი წლის განმავლობაში, ანუ მას შემდეგ, რაც 100 მეტრზე მსოფლიო რეკორდების აღნუსხვა დაიწყეს, უმაღლესი შედეგი თითქმის ერთი წამით შეიკვეცა.

პირველი ოფიციალური რეგისტრირებული რეკორდის ავტორი კი ამერიკელი დონალდ ლიპინკოტია, რომელმაც 1912 წელს 100 მეტრი 10,6 წამში გაირბინა.

1912 წლის შემდეგ სარბენ ბილიკებზე კიდევ არაერთი რეკორდსმენი გამოჩნდა, მათ შორის ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი ამერიკელი ჯესი ოუენსი, რომელმაც 1936 წელს ოთხივე ოქროს მედალი ბერლინის ოლიმპიურ თამაშებზე მოიპოვა. სპრინტერულ დისციპლინაში დამყარებული რეკორდის ერთ-ერთი თვითმხილველი კი ადოლფ ჰიტლერიც გახლდათ, რომელიც მოგვიანებით შავკანიანი რეკორდსმენის უპირატესობამ ისე განარისხა, რომ სტადიონიდან ელდანაცემივით გავარდა.

სპრინტერულ დისციპლინაში ერთგვარი გარდატეხის პერიოდი დადგა 1960 წელს, როდესაც გერმანელმა არმინ ჰარიმ 100 მეტრი ზუსტად ათ წამში გაირბინა. 10-წამიანი ზღვარი კი რვა წლის შემდეგ გადალახა ამერიკელმა ჯიმი ჰაინსმა - 9,95. იქიდან მოყოლებული, ჰაინსის რეკორდს დროთა განმავლობაში წამის მეასედები აკლდებოდა და აკლდება, სულ კი ცხრაჯერ გაუმჯობესდა უმაღლესი შედეგი, აქედან ორჯერ - ცხრაგზის ოლიმპიური ჩემპიონის ამერიკელი კარლ ლუისის მიერ.

რეკორდის გაუმჯობესებაში ასაფა პაუელსაც მიუძღვის წვლილი. პაუელი თანამემამულეთაგან მეორეა, რომელმაც ამ მანძილზე რეკორდი დაამყარა. 1976 წელს მსოფლიო რეკორდი დაამყარა დონალდ ქუარიმ - 9,9.

22 წლის იამაიკელი რეკორდსმენი ემზადება მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელსაც აგვისტოში ჰელსინკი უმასპინძლებს.

ინფოთეკა

### "მონაკო" "იუვენტუსის" ნახევარმცველით გაძლიერდა

"როიტერსის" ცნობით, "იუვენტუსის" ნახევარმცველი ოლივიე კაპო უახლოესი 12 თვის განმავლობაში "მონაკოში" ითამაშებს იჯარის წესით. გასულ სეზონზე ფრანგი ფეხბურთელი იშვიათად გამოდიოდა "იუვენტუსის" შემადგენლობაში: მან 14 მატჩი ჩაატარა, აქედან 12 შეხვედრაში შეცვლაზე გამოვიდა.

24 წლის კაპომ პროფესიონალური კარიერა დაიწყო "ოსერში", რომელშიც ხუთი სეზონი ჩაატარა, რის შემდეგაც 2004 წელს "იუვენტუსში" გადავიდა. ეროვნულ გუნდში მან ცხრა მატჩი ჩაატარა და სამი გოლი გაიტანა.

### კეროლი "ვესტ ჰემში" გადადის

"მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი მეკარე როი კეროლი "ვესტ ჰემში" გადადის, თანაც, თავისუფალი აგენტის სახით. მანკუნიანელთა შემადგენლობაში მან ოთხი სეზონი ჩაატარა. იგი "მანჩესტერ იუნაიტედში" 2001 წელს გადავიდა 2,5 მილიონ გირვანქა სტერლინგად.

**მოამზადა ნინო ტიკარაძემ**

TV სპორტი

### ხუთშაბათი. 16 ივნისი

**НТВ+ФУТБОЛ**
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ბრაზილიის თასი. ფინალი. პირველი მატჩი
14:00 ლიბერტადორესის თასი. მეოთხედფინალი. "ტიგრესი" (მექსიკა) - "სან-პაულუ" (ბრაზილია). საპასუხო მატჩი
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის. კანადა - კოლუმბია
17:45 მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის. ნიგერია - კორეა
19:30 თავისუფალი დარტყმა
19:45 სახვალიო ტელეპროგრამა
20:00 "საფეხბურთო კლუბი". პირველი დივიზიონი
20:30 ბრაზილიის თასი. ფინალი. პირველი მატჩი
22:15 "ფუტბოლისტიკა"
22:45 ლიბერტადორესის თასი. მეოთხედფინალი. "ტიგრესი" (მექსიკა) - "სან-პაულუ" (ბრაზილია). საპასუხო მატჩი
00:30 "საფეხბურთო კლუბი". პირველი დივიზიონი

**НТВ+ПЛЮС**
10:00, 19:00, 21:30 პრესცენტრი
10:20, 21:45 "ქრონიკა"
10:25, 14:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ცურვა. "Mare Nostrum Swimming Series" მონტე კარლოში. შესვენებისას (16:00) - პრესცენტრი
14:35 "სპორტისიმო"
15:20 ჰოკეი. სტენლის თასის რეტროსპექტივა. 2002 წელი. ნახევარფინალი. "DETROIT RED WINGS" - "COLORADO AVALANCHE". პირველი მატჩი. შესვენებისას (16:00) - პრესცენტრი
17:55 ცხენოსნობა. "Royal Ascot". პირდაპირი ტრანსლაცია ინგლისიდან
19:15 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
19:45 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
20:15 "მოტოვებული კვირა"
21:00 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
22:00 გოლფი. "US Open". პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (00:00) - ახალი ამბები
02:00 02:00-დან 05:00-მდე შესვენება
05:00 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. "DETROIT PISTONS" - "SAN ANTONIO SPURS". მე-4 მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**
10:30 ცხენოსნობა. ნაციის თასი პორტუგალიაში
11:30 მულტისპორტი - აი, მესმის!
11:45 მულტისპორტი - VIP საშვი
12:00 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი გერმანიაში. გერმანია - ავსტრალია
13:30 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი გერმანიაში. არგენტინა - ტუნისი
14:30 WTA ტურნირი დიდ ბრიტანეთში. მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
17:30 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი გერმანიაში. გერმანია - ავსტრალია
19:00 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი გერმანიაში. არგენტინა - ტუნისი
20:00 ATP ტურნირი ჰოლანდიაში
21:30 ფეხბურთი. ევროპის ქალთა ჩემპიონატი ინგლისში. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
23:30 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
01:00 ფეხბურთი. ფიფას კონფედერაციის თასი. მიმოხილვა
02:30 ახალი ამბები
02:45 საბრძოლო ხელოვნება - შუტუ

ფეხბურთი

# ლევან კობიაშვილი - ჟურნალისტების და პროფლიგის რჩეული

მიხეილ აბაიშვილი



ლევან კობიაშვილი - ჟურნალისტების რჩეული ფეხბურთელი, რომელიც 2004-05 წლების სეზონის საქართველოს საუკეთესო მოთამაშე გახდა. კობიაშვილმა მართლაც დაიმსახურა ეს ტიტული. "შალკეს" ქართველმა ნახევარმცველმა პრაქტიკულად შეუცვლელად, ჩავარდნების გარეშე დაამთავრა ეს სეზონი და ის, რომ გელზენკირხენული კლუბი ბუნდესლიგის ვიცე-ჩემპიონი და გერმანიის თასის ფინალისტი გახდა, ამ გუნდის ქართველი ლეგიონერის დიდი დამსახურებაცაა.

საქართველოს ფეხბურთის პროფესიულმა ლიგამ გუშინ მართლაც შთამბეჭდავი საღამო შესთავაზა ქართული ფეხბურთის სამყაროს, რასაც გასართობმა ცენტრმა "ბერიკონმა" უხელმძღვანელა. სეზონში თავგამოჩენილი ქართველი ფეხბურთელების დაჯილდოებამ რეჟისორ ნიკუშა შენგელაიას მიერ დადგმული ლამაზი შოუს თანხლებით ჩაიარა. წამყვანების რანგში ნანკა კალატოზიშვილი და ზურაბ ყიფშიძე, კინოფილმ "პირველი მერცხლიდან" ჯანსუღ კახიძის უკვდავი მელოდიით გახსნილი და გია ყანჩელის ასევე უკვდავი მელოდიით ("შერეკილებიდან") დასრულებული საღამო, საქართველოს ლამის მთავარი სავიზიტო ბარათის, "სუხიშვილების" ცეცხლოვანი ცეკვები, ზაზა ხუციშვილის "სამბა" - დამეთანხმებით, ასეთი ანტურაჟი ყველაზე გემოვნებიანი სტუმრის პრეტენზიულ მოთხოვნებსაც დააკმაყოფილებდა. მით უმეტეს, რომ, ქართული ფეხბურთის დღევანდელი დონის გათვალისწინებით, მაინცდამაინც დიდი პრეტენზიების უფლება არც გვაქვს.

ასეა თუ ისე, "დია 2005"-ის გადაცემის ცერემონიალმა ამაღლებულ, საზეიმო ვითარებაში ჩაიარა. როგორც უკვე ვთქვით, "სარბიელის" გამოკითხვის შედეგების მიხედვით სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი ლევან კობიაშვილი გახდა. მას ოდნავ ჩამორჩა "ლოკომოტივის" ქართველი მცველი მალხაზ ასათიანი, ხოლო მილანელმა კახაბერ კალაძემ მესამე ადგილი დაიკავა.

თუ არ ჩავთვლით ამ პოზიციას, გუშინ "დინამოს" თავდამსხმელის ლევან მელქაძის ნამდვილი ბენეფისი შედგა. როგორც "სარბიელის" საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის გამომვლენი გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ისე პროფლიგის ორი ნომინაციის გამარჯვებულად (საუკეთესო თავდამსხმელი და ჩემპიონატის ბომბარდირი) ლევან მელქაძე დასახელდა. იგი გუშინდელი საღამოდან სამი პრიზით ხელდამშვენებული წავიდა.

საქართველოს საუკეთესო მეკარედ დასახელდა თბილისის "ლოკომოტივის" გოლკიპერი ზვიად სტურუა, რომელსაც ეს პრიზი სერგო კოტრიკაძემ გადასცა.

ალექსანდრე ჩივაძის ხელიდან მიიღო საუკეთესო მცველის პრიზი "თბილისის" ფეხბურთელმა რევაზ ქემოკლიძემ.

საკითხს, რომ გასული სეზონის შედეგების მიხედვით დავით ოდიკაძე საუკეთესო ნახევარმცველი იყო, გამოკითხულ ჟურნალისტებსა და ფეხბურთის სპეციალისტებში დავა არ გამოუწვევია და ოდიკაძეს ვლადიმერ (სიომა) ბარქაიას ხელიდან დამსახურებულად ერგო შუა ხაზის "დია 2005".

სეზონის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს "ლოკომოტივის" დამრიგებელი ნოდარ აკობია, რომელიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა დააჯილდოვა. აკობიამაც, სხვა ნომინანტების მსგავსად, დამსახურებულად მოიპოვა ეს აღიარება. მისმა გუნდმა დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის გათამაშებაში ისე გაიმარჯვა, რომ არც ერთ ეტაპზე "ლოკომოტივის" უპირატესობაში არავის ეჭვი არ შეჰპარვია.

სეზონის აღმოჩენად დაასახელეს "ზესტაფონის" ნახევარმცველი, 19 წლის გიორგი განუგრავა, რომელიც კატალონიური "ბარსელონას" "მსოფლიოში ტალანტების მოძიების პროგრამის" წარმომადგენელმა ჟოზეფ ფონ არაუმ დააჯილდოვა. ამ პროექტის წარმომადგენლები თბილისში შემთხვევით არ ჩამოსულან. ისინი დაესწრებიან თბილისის "ლოკომოტივის" დავით ყიფიანის სახელობის საფეხბურთო სპორტსკოლის გახსნის ცერემონიალს და მასთან ხელშეკრულებასაც გააფორმებენ.

გამოვლინდა პროფლიგის მიერ სპონსორების დახმარებით შემოთავაზებული ინტერნეტთამაშის "ჩემი ფეხბურთის" გამარჯვებულიც. ყველაზე მეტი ქულა დააგროვა თბილისელმა დავით ხარჩილავამ, რომელსაც ერგო "საქართველოს ბანკის" ელექტრონული ბარათი 1500-ლარიანი დეპოზიტით.

კალათბურთი

# მანუს საწინააღმდეგო ვაქცინა

**დეტროიტი - სან ანტონიო 96:79 (სერიის ანგარიში 1:2)**



*ჰამილტონმა "დეტროიტის" გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა.*

NBA-ის მოქმედმა ჩემპიონმა "დეტროიტ პისტონზმა" ფინალური სერიის მესამე საშინაო მატჩში დაამარცხა "სან ანტონიო სპურსი" 96:79 და ამრიგად საერთო ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა - 1:2.

ჩემპიონის გამარჯვებაში დეტროიტის მხრიდან უმთავრესი როლი შეასრულეს ჩონსი ბილაპსმა (რომელიც მატჩის საუკეთესო კალათბურთელად აღიარეს), რიჩარდ ჰამილტონმა და ბენ უოლესმა. ბილაპსმა, მატჩის შედეგების მიხედვით, რომლის დაწყების წინ ამერიკის ეროვნული ჰიმნი სტივი უანდერმა შეასრულა, 20 ქულას, 6 მოხსნასა და 7 გადაცემას მოუყარა თავი, ჰამილტონმა 24 ქულას, 3 მოხსნასა და 4 გადაცემას, ხოლო რაც შეეხება უოლესს, მან შესანიშნავად წარმოაჩინა თავი დაცვაში და შეტევაშიც სოლიდურად გამოიყურებოდა.

"სან ანტონიოს დამარცხება მატჩის 21-ე წამზე დაიწყო, როცა მცირე ტრავმა მიიღო გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა, არგენტინელმა მანუ ჯინობილიმ. ამის შემდეგ კალათბურთელმა მატჩი პრაქტიკულად ცალი ფეხით ჩაამთავრა. შეხვედრის დამთავრებამდე მთელი ძალით თამაში არგენტინელმა ვერა და ვერ შეძლო. ამის გამო, ბუნებრივია, მისი ქულათა მარაგი საკმაოდ მწირი აღმოჩნდა - მხოლოდ 7 (მთელი მატჩის განმავლობაში) და 4 მოხსნა. მანუ თამაშიდან გამოეთიშა და "დეტროიტს" ხელ-ფეხი გაეხსნა.

"მე დღეს არცთუ ისე კარგად ვითამაშე. რაც შეეხება ჩემს ფიზიკურ მდგომარეობას, ამ მხრივ ყველაფერი წესრიგშია - მატჩის შემდეგ განაცხადა მანუ ჯინობილიმ, - მე, უბრალოდ, არ მსურს ვეძებო მარცხის მიზეზები და გასამართლებელი საბუთი".

"დეტროიტმა" კი სან ანტონიოში ზედიზედ ორი მარცხისთვის დამაჯერებელი რევანში აიღო. მაშინ "პისტონსმა, შესაბამისად, 15 და 21 ქულის სხვაობით წააგო. მესამე მატჩის ბედი მესამე მეოთხედში გადაწყდა, როცა თავისი საუკეთესო თვისებები გამოამჟღავნა ჩონსი ბილაპსმა, რომელმაც სამიდან სამი ზუსტი სამქულიანი ტყორცნა განახორციელა. ამის შემდეგ "დეტროიტმა" პირველად მოახერხა და ფინალურ სერიაში 10-ქულიანი უპირატესობით დაწინაურდა.

"გამიმართლა, რომ პარტნიორები ასე კარგად ახერხებდნენ ჩემთვის თავისუფალი სივრცის შექმნას, - მატჩის შემდეგ განაცხადა ჩონსი ბილაპსმა, - ჩვენ ყველამ კარგად ვიცოდით, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის ამ მატჩს. მან ჩვენ კალათბურთის გემო და სათამაშო ტონუსი დაგვიბრუნა. პირველ ორ შეხვედრაში ჩვენ, უბრალოდ, ძალა არ გვეყო, რადგან ეს მატჩები სხვადასხვა დროს გაიმართა. რა თქმა უნდა, დღევანდელ გამარჯვებაში დაგვეხმარა ბენ უოლესი, რომელიც ის ბენ უოლესი იყო, რომელსაც ყველანი ვიცნობთ და გვიყვარს. ასეთი კალათბურთელი მსოფლიოს არც ერთ ლიგაში არ არის".

ბენ უოლესმა კი, რომელსაც ბილაპსი ასე აქებდა, ამ შეხვედრაში დაბლ-დაბლი განახორციელა და 15 ქულასა და 11 მოხსნას მოუყარა თავი. თუმცა, მისი უმთავრესი წვლილი ამ გამარჯვებაში მაინც დაცვაში დამაჯერებელი თამაშია. ასე, მაგალითად, უოლესმა ამ შეხვედრაში ხუთი დაფარება განახორციელა.

ფინალურ სერიაში "დეტროიტის" პირველი გამარჯვების შემდეგ, გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ლარი ბრაუნმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ფინალში გამარჯვება "მხოლოდ მთელი გუნდის ტიტანური შრომის შედეგად ხდება შესაძლებელი".

"ვფიქრობ, გასული კვირის განმავლობაში ჩვენ შევიგნეთ, თუ რამდენად შეუპოვრად უნდა ვიბრძოლოთ, თუ გამარჯვება გვინდა, - აღიარა ბრაუნმა, - ენერგია, რომლითაც "სან ანტონიო" ჩვენს წინააღმდეგ მოედანზე სათამაშოდ გამოდის, წარმოუდგენელი და საოცარია. ადრე ვერ ვხვდებოდით, თუ რაოდენ დიდი და შესანიშნავი გუნდი თამაშობს ჩვენს წინააღმდეგ. ეს მხოლოდ ერთი თამაშია და ის ჩვენ მოვიგეთ. ვიმედოვნებ, ამის შემდეგ ჩემი კალათბურთელები საკუთარი თავის პატივისცემას ისწავლიან და მიხვდებიან, რომ თუ ყველაფერს აჩვენებენ, რაც შეუძლიათ, კიდევ არაერთხელ გავიმარჯვებთ".

"სან ანტონიოს" მწვრთნელი გრეგ პოპოვიჩი კი დამარცხების გამო არცთუ ისე გულგატეხილი ჩანდა. "ჩვენ იგივე ამოცანა დაგვრჩა ამოსახსნელი - მოვიგოთ ორი მატჩი. დღეს ჩვენმა მეტოქემ მხოლოდ ერთი ბრძოლა მოიგო. ამიტომ სულაც არ არის საჭირო პანიკის ატეხვა. ჯერჯერობით მოედნის უპირატესობა ჩემი გუნდის მხარეზეა. ასე რომ, საჭიროა მხოლოდ ამ უპირატესობის გამოყენება," - განაცხადა გრეგ პოპოვიჩმა.

ამასობაში ფინალური სერია უაღრესად დაძაბულ სიტუაციაში მიმდინარეობს, რაც შესაძლო ლოკაუტით არის გამოწვეული. შეგახსენებთ, რომ ამ დღეებში NBA-ის კომისარმა დევიდ სტერნმა განაცხადა, თუ ამა წლის პირველ ივლისამდე კალათბურთელთა ასოციაცია ახალ კოლექტიურ შეთანხმებას ხელს არ მოაწერს, ლიგას ლოკაუტი ემუქრება. ამის ორივე გუნდს ეშინია, მაგრამ კონტაქტზე არ მიდიან.

# იკერ კასილასი: "მომავალ სეზონში რამე უნდა მოვიგოთ"



კასილასი შვებულებაში ცუდ გუნებაზე გავიდა. უკვე მეორე სეზონია, რაც მისი გუნდი ვერაფერს იგებს. "რეალის" მეკარეს სჯერა, რომ მომავალ სეზონში გუნდი აუცილებლად გამოიჩენს თავს და რომელიმე ტურნირს მოიგებს.

**- შვებულებაში ისე გახვედი, რომ შენი ახალი კონტრაქტის თაობაზე არაფერი იცი. ინტუიცია რამეს გკარნახობს?**

- არა. ეს საკითხი კლუბმა და ჩემმა აგენტმა უნდა გადაწყვიტონ. მე ჩემი სურვილი დიდი ხნის წინათ გამოვამჟღავნე. მადრიდელი ვარ და მინდა კარიერა აქ დავასრულო. აქ ბედნიერი ვარ. კონტრაქტის ერთი წელი კიდევ მაქვს. ასე რომ, ყველაფერი რიგზეა.

**- უცნაურად არ გეჩვენება, რომ კონტრაქტი ჯერ არ გაგიგრძელეს?**

- არა. "რეალსა" და კასილასს შორის არავითარი პრობლემა არ იქნება. არ არის საჭირო იმაზე ეჭვიანობა, რომელიც არ არსებობს. ვიმეორებ, რომ მადრიდელი ვარ და თავის დროზე ყველაფერი მოხდება. ახლა დადგა დრო, როცა ჩემმა წარმომადგენელმა უნდა იმუშაოს. მან კლუბთან თანხმობას უნდა მიაღწიოს.

**- ესე იგი, გინდა კარიერა აქ დაამთავრო?**

- დიახ. მე აქ ბავშვობიდან ვარ. სხვა გუნდში არ მითამაშია, ამიტომ "რეალი" ჩემთვის ისეა, როგორც ჩემი რაიონის, სკოლის გუნდი. ჩემი ოჯახი და მეგობრები მადრიდში ცხოვრობენ, ამიტომ აქ ბედნიერი ვარ. მინდა ესპანეთში დავრჩე და მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწიო. წარმატებათა მიღწევა კი მხოლოდ "რეალში" შეიძლება. ეს მსოფლიოს საუკეთესო გუნდია და სწორედ აქ შეიძლება გახდე საუკეთესო.

**- შენმა პარტნიორმა სესარმა კლუბი დატოვა. შენ ამბობდი, რომ მისი ადგილი "რეალის" საფეხბურთო სკოლის აღზრდილმა უნდა დაიკავოს. ისევ ასე ფიქრობ?**

- რასაკვირველია. მე თვითონ ამ სკოლის აღზრდილი ვარ. ვფიქრობ, აქცენტი საკუთარ პროდუქტზე უნდა გაკეთდეს. ძალიან მინდა, რომ "რეალის" ან ნებისმიერი ესპანური კლუბის შემადგენლობაში რვა ადგილობრივი ფეხბურთელი თამაშობდეს. მინდა, რომ მათ უფრო მეტად ენდონ, რადგან "ბოსმანის კანონის" შემდეგ ჩვენ ლეგიონერთა "შემოსევით" დავზარალდით.

**- მინდორზე ასეთი მშვიდი რატომ ხარ?**

- მე მხოლოდ გამოცდებზე ვნერვიულობდი, პატარაობაში. ახლა კი ის დროა, როცა ნერვები საფეხბურთო მინდვრის გარეთ უნდა დავტოვო, რადგან ვაკეთებ იმას, რაც მომწონს. მე თამაშისგან სიამოვნებას ვიღებ. როგორ შეიძლება არ მოგწონდეს "იუვენტუსის", "ბაიერნის", "მანჩესტერ იუნაიტედის" წინააღმდეგ თამაში?.. მე ამით ვტკბები. ასეთ თამაშებში მონაწილეობას ნებისმიერი ფეხბურთელი ინატრებდა. იმ დღეს, როცა სიამოვნებას ვეღარ შევიგრძნობ, კარიერის დასრულებაზე დავფიქრდები.

**- როცა მატჩის ქრონოლოგიას და სტატიებს კითხულობ და შეგხვდება ფრაზა: "კასილასმა "რეალი" გადაარჩინა", სასიამოვნოა?**

- მე არ ვიცი, კარგია ეს თუ ცუდი. მინდორზე ყველამ თავისი საქმე უნდა გააკეთოს. უნდა ვიცოდეთ, რომ "რეალზე" ინფორმაცია ყველაზე კარგად იყიდება, ამიტომ თუ თამაში წაგივიდა, ამის შესახებ აუცილებლად შეიტყობენ.

**- მომავალ სეზონში გუნდისადმი მოთხოვნები გაიზრდება?**

- დიახ. გაიზრდება. პირადად მე ასე ვფიქრობ: მომავალ სეზონში ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისთვის, რომ რომელიმე ტიტული მაინც მოვიგოთ. თუმცა, არასწორად გამოვთქვი. უნდა ვიღონოთ კი არა, აუცილებლად უნდა მოვიგოთ. არ ვიცი რომელი, მაგრამ რომელიმე ნამდვილად უნდა მოვიგოთ. უკვე ორი სეზონია, არაფერი მოგვიგია, ჩვენი გულშემატკივრები კი, რბილად რომ ვთქვათ, ამას არ იმსახურებენ. "რეალის" გულშემატკივარი მუდამ გუნდთან იყო. ორი წელია ვერაფერს ვიგებთ და გულშემატკივარმა თავი ცუდად იგრძნო, როცა ჯერ ქვეყნის თასის ფინალში დავმარცხდით, შემდეგ ჩემპიონთა ლიგიდან გამოვვარდით, ბოლოს კი ესპანეთის ჩემპიონის ტიტულიც დავთმეთ. წლევანდელი ჩემპიონატის ბოლოს გულშემატკივარი ჩვენკენ შემოვაბრუნეთ. ახლა კი საუკეთესო თამაში უნდა ვაჩვენოთ, რათა შემართება გავულვივოთ.

**- რა უფრო მნიშვნელოვანია, ლა ლიგა თუ ჩემპიონთა ლიგის მოგება?**

- სულ ერთია. ძალიან გვინდა, რომ მომავალი სეზონის ბოლოს ჩვენს გულშემატკივარს სიბელესის მოედანზე შევხვდეთ. "ბერნაბეუზე" ვიზეიმოთ რომელიმე ტიტულის მოგება. გვინდა, რომ ყველა კმაყოფილი იყოს.

**- როგორ ფიქრობ, ბევრი ფეხბურთელის ყიდვა საჭიროა?**

- ეს კლუბზეა დამოკიდებული. გასაგებია, რომ კლუბის კარი ყოველთვის ღიაა ნებისმიერი ფეხბურთელისთვის, ვისაც გუნდის გაძლიერება შეუძლია. პირველი ადამიანი, ვისაც სურს, რომ მადრიდის "რეალი" დიდი კლუბი იყოს და ტიტულები მოიგოს - ფლორენტინო პერესია.

**- ხომ არ ფიქრობ, რომ შეცდომაა, როცა გუნდი ყოველ წელიწადს სამივე ტიტულისთვის იბრძვის?**

- არა. უბრალოდ, საქმე ის არის, რომ ბოლო სეზონი უაღრესად უჩვეულო იყო. მეტიც, ის ყველაზე უჩვეულო იყო მას შემდეგ, რაც "რეალის" პირველ გუნდში გადმოვედი. ბევრი მწვრთნელი გვყავდა. ჩვენზე ნეგატიურად იმოქმედა ესპანეთის თასიდან და ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნამ. მოკლე დროში იმდენი რამ მოხდა, რომ, ალბათ, ამის გამო დავზარალდით. ახლა ჩვენი მიზანია ნაბიჯ-ნაბიჯ წინ წავიწიოთ და ბოლომდე შევინარჩუნოთ რომელიმე ტურნირის მოგების შანსი, რათა მოვიგოთ იგი.

**- თქვენ არდადეგებზე ცუდ გუნებაზე წახვედით?**

- დიახ. ხომ გესმის, რომ შენი სამუშაო ვერ შეასრულე. ჩვენ გვინდა, ჩქარა დაიწყოს მომავალი სეზონი და ყველაფერი ნულიდან დავიწყოთ.

**- ცხადია, რომ "ბარსელონა" გამოფხიზლდა. არა?**

- მთელ მსოფლიოს სურს, რომ "რეალსა" და "ბარსელონას" შორის მეტოქეობა იყოს. "ბარსა" დიდი ხნის განმავლობაში ვერაფერს იგებდა. "რეალმა" კი ამ ხნის მანძილზე ყველაზე პრესტიჟული ჯილდოები მოიხვეჭა. ეს მეტოქეობა კარგია ჩვენთვისაც და ფეხბურთის ყველა ქომაგისთვისაც.

# "პორშე" სამოდელო გამას აფართოებს





სპორტული ავტომობილების მწარმოებელი გერმანული კომპანია "პორშე" თავისი ახალი, ორადგილიანი კუპეს ოფიციალურ დებიუტს წლის ბოლოსთვის გეგმავს, მაგრამ ამის მიუხედავად, უკვე საქვეყნოდ გაავრცელა მისი ფოტოები და ტექნიკური მახასიათებლები.

ავტომობილის სახელია "კაიმან S" და ის როდსტერ "ბოქსსტერის" მოდერნიზებულ პლატფორმაზეა ბაზირებული. კომპანიის ხელმძღვანელობის ჩანაფიქრით, ტექნიკური მონაცემებისა და ფასის მიხედვით, "კაიმან S-მა" "პორშეს" სამოდელო რიგში უნდა დაიკავოს ადგილი "ბოქსსტერსა" და "911 კარერას" შორის.

უფრო მეტიც, სწორედ "კაიმან S-ია" ის მოდელი, რომელმაც 2008 წელს გერმანული კომპანია წლიურად 100 ათასი ავტომობილის რეალიზებამდე უნდა მიიყვანოს. კომპანიის მესვეურებმა განაცხადეს, რომ მათი ახალი ავტომობილი ყოველდღიური გამოყენებისთვისაა განკუთვნილი. რაც შეეხება სახელს, კაიმანი არის ყველაზე პატარა ნიანგების სახეობა და იდეაში, მისი სისხარტე და გამძლეობა ყველაზე უკეთ ახასიათებს ბორბლებიან "ნათესავს".

"პორშე" იმედოვნებს, რომ "კაიმან S-ით" ახალგაზრდა მყიდველებსაც მიიზიდავს. კერძოდ, კომპანიის გაყიდვების განყოფილების ვიცე-ალმასრულებელ ჰანს რიდელის თქმით, თუ "ბოქსსტერის" მყიდველთა საშუალო ასაკი 42 წელია, "კაიმანის" მყიდველთა ასაკი კიდევ უფრო მცირე იქნება. შედარებისთვის, უგზოობის "კაიენის" მყიდველთა საშუალო ასაკი 45 წელია, "911 კარერასი" კი - 49 წელი.

ახალი კუპეს სახელში ურევია აღნიშვნა S, რაც ნიშნავს სპეციალურს. დებიუტისას, რომელიც ფრანკფურტის ავტოსალონზეა დაგეგმილი, მნახველის წინაშე წარდგება ახალი ავტომობილის სპეციალური ვერსია. მისი დებიუტის შემდეგ, "პორშე" საბაზო ვერსიასაც, გამოამზეურებს, რომელსაც უბრალოდ, "კაიმანი" დაერქმევა.

"კაიმანის" დიზაინი თავისთავად მეტყველებს, რომ ავტომობილი "პორშეს" ოჯახს მიეკუთვნება. ეს არცაა გასაკვირი, მისი დეტალებისა და ნაწილების თითქმის 40 პროცენტი "ბოქსსტერისგანაა" ნასესხები. და მაინც, "კაიმანი" ინდივიდუალური გარეგნობით გამოირჩევა. განსაკუთრებით მას გამოარჩევს კარსუკანა ლაყუჩისმაგვარი ჰაერის ამღები, "რბილი" ფორმის მქონე სახურავი, უკანა საყრდენი და მთლიანად, უკანა ნაწილი თავისი სტოპ და გაბარიტული მაშუქებით. მთლიანობაში, ავტომობილს "პორშესათვის" დამახასიათებელი, დინამიური სილუეტი აქვს, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ საქმე გვაქვს შესანიშნავი ტექნიკური მონაცემების მქონე კუპესთან.

ვტომობილი აღჭურვილია სრულიად ახალი, "ბოქსერის" ტიპის (ოპოზიტური) ძრავით, რომლის მუშა მოცულობა 3.4 ლიტრი, სიმძლავრე კი 295 ცხენის ძალაა (217 კვტ). აგრეგატი ელასტიურობითაც გამოირჩევა და მისი წყალობით, "კაიმან S" 275 კმ/სთ მაქსიმალურ სიჩქარეს ავითარებს. ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარის აკრეფა კი მას 5.4 წამში შეუძლია.

ეს აგრეგატი აღჭურვილია "პორშეს" მიერ შემუშავებული სისტემა "ვარიოკამ პლუსით", რომელიც, სხვადასხვა რეჟიმში მუშაობისას, საწვავი ნარევის შემშვები და ნამუშევარი აირის გამომშვები სარქველების გაღება-დახურვის ფაზებს ცვლის. ამის წყალობით, ძრავი მაქსიმალურ მაბრუნ მომენტს (340 ნმ) მუხლა ლილვის ბრუნთა საშუალო და მაღალ რიცხვზე (4400-დან 6000-მდე) ავითარებს. აღსანიშნავია, რომ ეს სისტემა პირველად 911 სერიის ავტომობილებში იქნა გამოყენებული.

მაბრუნი მომენტი ძრავიდან წამყვან ბორბლებს 6-საფეხურიანი გადაცემათა კოლოფის გავლით მიეწოდება. ეს კოლოფი ასევე გამოიყენება როდსტერ "ბოქსსტერ S-ში". გარდა ამისა, მყიდველს შესაძლებლობა ექნება, შეკვეთით დააყენებინოს 5-საფეხურიანი, ავტომატური გადაცემათა კოლოფი "ტიპტრონიკ S". ამ კოლოფიანი ავტომობილების საჭის რგოლზე მაგრდება სპეციალური ბერკეტები, როგორებსაც იყენებენ ფორმულა ერთის პილოტები.

მართვადობისა და მანევრირების მხრივ, "კაიმან S" ერთ-ერთი საუკეთესო კუპეა თავის კლასში. მის სტანდარტულ აღჭურვილობაში შედის 18-დუიმიანი ბორბლები და შესაბამისი საბურავები და "პორშეს" მართვის სტაბილურობის სისტემა. გარდა ამისა, შესაძლებელია დაკიდების აქტიური სისტემის დაყენება. მისი წყალობით, ავტომობილი გზის საფარს ერთი სანტიმეტრით უახლოვდება, რაც აუმჯობესებს კუპეს აეროდინამიკურ მონაცემებს და გზასთან მის ჩაჭიდულობას. ამას კი შედეგად მოსდევს ბორბლებზე დინამიკური დატვირთვის გაზრდა. რაც მთავარია, აქტიური საკიდარი დრეკადი ელემენტების სიხისტის მაჩვენებლებს გზის ხარისხისა და ავტომობილის სიჩქარის შესაბამისად ცვლის. ცენტრალურ კონსოლზე მოთავსებული სპეციალური ბერკეტით, მძღოლს საკიდარის ორ რეჟიმს შორის არჩევანის გაკეთება შეუძლია.

"კაიმან S-ის" წარმოებას მალე შეუდგება ფინური კომპანია "ვალმეტი", რომელიც ერთ დროს საბჭოური "ავტოვაზის" პარტნიორი იყო დასავლეთევროპულ ბაზარზე. ფინეთის გარდა, მცირე რაოდენობით (მეტწილად ადგილობრივი ბაზრისთვის) "კაიმან S" გერმანიაშიც, ქალაქ შტუტგარტშიც დამზადდება.

ჰანს რიდელის თქმით, "პორშეს" ხელმძღვანელობაში ასევე განიხილება კიდევ ერთი ახალი მოდელის წარმოების შესაძლებლობა. დასავლეთის პრესაში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ეს უნდა იყოს 4-კარიანი, ამდენივე ადგილის მქონე სედანი (თუ ჰეჩბეკი) სახელად "პანამერა". სახელიდანვე ჩანს, რომ ეს ავტომობლი ძირითადად ამერიკული ბაზრისთვის იქნება განკუთვნილი.

წინასწარი ვარაუდით, "პანამერა" ბაზარზე 2008 წელს გამოჩნდება და ის კონკურენციას გაუწევს შესაბამისი სეგმენტის ისეთ ლიდერებს, როგორებიცაა "მერსედეს-ბენც CLS" და "მაზერატი კვატროპორტე". გავრცელებული ინფორმაციით, სპეციალურად "პანამერასთვის" შეიქმნება უკანა წამყვანბორბლებიანი პლატფორმა, რომელზეც "პორშეს" გარდა, "ფოლკსვაგენის" კონსტრუქტორებიც იმუშავებენ. ამ ორი გერმანული კომპანიის ერთობლივი მუშაობის შედეგი ყველასათვის ცნობილია. ესენია უგზოობის ავტომობილები - "ფოლკსვაგენ ტუარეგი" და "პორშე კაიენი".

სხვათა შორის, ახალი მოდელის შექმნისას "პორშესთან" თანამშრომლობის შესაძლებლობას სერიოზულად განიხილავს "ფოლკსვაგენის" შეფი ბერნდ პიშეტსრიდერი. ვოლფსბურგულ კომპანიას სურს, თავის სამოდელო გამას დაუმატოს ახალი სედანი, რომელიც მაღალი კლასის სედან "ფაეტონსა" და საშუალო კლასის "პასატს" შორის ნიშას შეავსებს. ეს ნიშა სწორედ "პანამერას" პარამეტრებს შეესაბამება. არადა, როცა "ფოლკსვაგენს" პარტნიორული ურთიერთობა ჰქონდა "მაზერატისთან", მაშინ განიხილებოდა ამ მოდელის ბაზისად "კვატროპორტეს" პლატფორმის გამოყენება.

სავარაუდოდ, "პანამერა" 4.5-ლიტრიანი V8 აგრეგატებით აღიჭურვება, რომლებიც უკვე გამოიყენება "კაიენში". ეს ძრავები არის ატმოსფერული და ტურბოკომპრესორიანი. მათი სიმძლავრე კი 340-450 ცხ.ძალას შორის მერყეობს.

რიდელის თქმით, თუ "პორშე" ამ მოდელის წარმოებას გადაწყვეტს, მაშინ ეს მისია ლაიპციგის ქარხანას დაევალება, რომელიც წლიურად 20 ათას ცალ "პანამერას" გამოუშვებს.

# "სეატ ლეონი" - "ფოლკსვაგენის" ახალი ბესტსელერი?





როგორც წესი, ის ავტომწარმოებლები, რომლებიც ადგილობრივ, თუ რეგიონალურ ბაზარზე მეტ-ნაკლები წარმატებით მოღვაწეობენ, წარმოების გაფართოების პარალელურად, სხვა, მათთვის უცხო ბაზარზე დამკვიდრებასაც იწყებენ. ასე იყო იაპონური და კორეული ავტოკომპანიების შემთხვევაში და ასეა ევროპული კომპანიების შემთხვევაშიც, რომლებიც სულ უფრო მეტი ყურადღებით ეკიდებიან ამერიკულ ბაზარს.

ამ კომპანიათა რიცხვს მიეკუთვნება ესპანური კომპანია "სეატიც", რომელიც სულ უფრო პოპულარული ხდება ძველ კონტინენტზე, სადაური ბაზრის შესაძლებლობანიც მეტად შეზღუდულია. ამიტომ, მოვლენათა განვითარება ახალი ბაზრების ათვისებას მოითხოვს და "სეატის" ხელმძღვანელობაც უკვე ფიქრობს ამაზე.

ბარსელონას ავტოსალონზე, რომელიც მაისის პირველ ნახევარში ჩატარდა, "ფოლკსვაგენის" ჯგუფში შემავალმა "სეატმა" გამოაცხადა, რომ ადრე თუ გვიან, აუცილებლად დაიწყებს თავისი პროდუქციის ამერიკულ ბაზარზე გატანას. ოღონდ, ეს არ მოხდება უახლოეს ხუთ წელიწადში. "როცა ჩრდილოეთ ამერიკაში საქმიანობის დაწყებას აპირებ, ეს გაწონასწორებული და გათვლილი ნაბიჯის გადადგმას მოითხოვს", - განაცხადა გერმანულ ჟურნალ "აუტომობილვოხესთან" საუბარში "სეატის" პრეზიდენტმა ანდრეას შლეეფმა.

"სეატი" არის "ფოლკსვაგენის" დივიზიონ "აუდის" ნაწილი. ის ერთ დროს ესპანეთის ყველაზე დაბალი რანგის ავტომობილებს უშვებდა და მის შესახებ უცხოეთშიც თითქმის არაფერი იყო ცნობილი. მაგრამ გერმანული კონცერნის ხელში მან სწრაფად მოიხვეჭა ავტორიტეტი, როგორც სპორტული და იმავდროულად, საოჯახო ავტომობილების მწარმოებელმა.

შლეეფი ამბობს, რომ თუ "სეატი" აშშ-ის ბაზარზე გავა, მაშინ მის მოდელებს გამოუშვებს მექსიკის ქალაქ პუებლას ქარხანა, რომელიც "ფოლკსვაგენს" ეკუთვნის. რაც შეეხება გაყიდვებს, ამ საქმეში ესპანელები "აუდის" სადილერო ქსელს გამოიყენებენ.

შლეეფის თქმით, "სეატის" პროდუქცია უკვე იყიდება მექსიკაში და იქ მზარდი პოპულარობითაც სარგებლობს. ამასთან, გაყიდვების აშშ-ში დაწყება ახლავე შეიძლება, მაგრამ ჯერჯერობით ესპანური ავტომობილები არ აკმაყოფილებს ამერიკულ სტანდარტებს. არადა, "სეატს" იქ უამრავი მუშტარი ელოდება ლათინოამერიკელი მოსახლეობის სახით.

უკვე ოთხი წელია, რაც "სეატი" მექსიკაში ყიდის ავტომობილებს. შარშან იქ 25 ათასი ცალი ავტომობილის რეალიზება მოხერხდა. თუმცა, შლეეფი თვლის, რომ მისი კომპანიისთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანი აშშ-ში საქმიანობის დაწყებაა. ამისათვის კი საჭირო იქნება სრულიად ახალი მოდელის შექმნა, რომელიც "აუდის" შესაფერისი კლასის პლატფორმაზე იქნება ბაზირებული.

ბარსელონას ავტოსალონზე "სეატს" კიდევ ერთი სიახლე ჰქონდა, ოღონდ ამჯერად რეალური. სიახლე იყო სპორტული სტილის ჰეჩბეკი სახელად "ლეონ", რომლის წარმოებასაც მარტორელის ქარხანა წლის მეორე ნახევარში შეუდგება.

კომპანიამ ეს ავტომობილი, უფრო სწორად, წინასერიული პროტოტიპი ჯერ კიდევ ჟენევის ავტოსალონზე წარადგინა. იმის მიუხედავად, რომ იქ ნაჩვენებ "ლეონს" სახელის გვერდით მითითებული ჰქონდა, რომ ეს პროტოტიპი იყო, არავის შეჰპარვია ეჭვი იმაში, რომ ახალი "ლეონი" სწორედ ამ სახით წარდგებოდა მყიდველის წინაშე.

ახალი "ლეონი" სულ მესამე ავტომობილია ესპანური კომპანიის საწარმოო პროგრამაში, რომელიც სახელოვან დიზაინერ ვალტერ დე სილვას მიერ შემუშავებულ სტილშია შესრულებული. ცნობისათვის, დე სილვას ხელმძღვანელობით შექმნილი კონცეპტუალური მოდელი "სალსა" ჟენევის 2000 წლის ავტოსალონის დამთვალიერებელმა იხილა, შემდეგ კი კომპანიამ გამოუშვა იმავე სტილში შესრულებული კომპაქტვენი "ალტეა" და საოჯახო "ტოლედო".

სამივე ამ ავტომობილს წინიდან ბევრი არაფერი განასხვავებს. სამივეს სახასიათო ნიშანი რადიატორის ბადის თავისებური, საფირმო მოყვანილობაა. სწორედ ესაა დე სილვას სტილის დამახასიათებელი შტრიხი - სადაც ეს შესანიშნავი დიზაინერი იწყებს მუშაობას, იქაური ავტომობილების მთავარი განმასხვავებელი ნიშანი მხოლოდ ამ კომპანიის ავტომობილებისთვის დამახასიათებელი, სპეციფიკური მოყვანილობის რადიატორებია. და მისი ფორმები საწარმოო პროგრამის უკლებლივ ყველა მოდელზე ვრცელდება.

თუ წინიდან "ლეონს" ბევრი არაფერი განასხვავებს "ალტეასა" და "ტოლედოსგან", უკნიდან ის სრულიად სხვა მანქანაა. მას განსაკუთრებით გამოარჩევს უკანა სქელი საყრდენი, რომელიც ფაქტობრივად, მკვეთრად დაქანებულ სახურავში გადადის.

ახალი "ლეონისთვის" მწარმოებელს 4 ძრავი აქვს მომზადებული, რომლებშიც ჯერჯერობით არ ფიგურირებს ფორსირებული ვერსიის აგრეგატები სახელად "კუპრა". მათთვის, ვისაც ბენზინის აგრეგატებით აღჭურვილი ავტომობილები ურჩევნია, გათვალისწინებულია 1.6 (საბაზო ვერსიისთვის) და 2.0-ლიტრიანი (ფოლკსვაგენის წარმოების FSI) ძრავები, რომლებიც შესაბამისად, 100 და 148 ცხ.ძალას ავითარებენ. ორია დიზელზე მომუშავე აგრეგატიც. მათი მუშა მოცულობა 1.9 და 2.0 ლიტრია და ორივე ტურბოკომპრესორითაა აღჭურვილი. მათი სიმძლავრე კი შესაბამისად, 102 და 138 ცხ.ძალაა.

ძრავებთან, მათი ლიტრაჟისა და სიმძლავრის შესაბამისად, შეწყვილებულია 5 და 6-საფეხურიანი მექანიკური გადაცემათა კოლოფები - საბაზო ვერსიისა და დაბალი რანგის დიზელისთვის 5-იანი, დანარჩენებისთვის კი - 6-იანი. გარდა ამისა, სურვილის შემთხვევაში, მყიდველს საშუალება ექნება, 2.0-ლიტრიანი ვერსიისთვის შეუკვეთოს ნახევრადავტომატური "ტიპტრონიკი", რომლისთვისაც ორდისკოიანი გადაბმის ქუროა გათვალისწინებული.

ახალი "ლეონის" უფრო დაწვრილებითი მონაცემები ესპანურ კომპანიას ჯერ არ გამოუქვეყნებია. სამაგიეროდ ცნობილია, რომ მის მოსამზადებლად ნახევარი მილიარდ ევროა დახარჯული. დაწვრილებითი ინფორმცია მოგვიანებით, ფრანკფურტის ავტოსალონზე გახდება ცნობილი. მაშინვე გამოცხადდება მისი ფასიც.

"ფოლკსვაგენის" მარკეტოლოგები აცხადებენ, რომ მათ მიერ შემუშავებული ფასების დიფერენცირებული სისტემის წყალობით, "ლეონი" არ იქნება "ფოლკსვაგენ გოლფისა" და "შკოდა ოქტავიას" კონკურენტი. სამაგიეროდ, ის ბევრ მყიდველს წაართმევს კონკურენტი კომპანიების ანალოგიური კლასის მოდელებს.

# ასმემილიონე "ფოლკსვაგენი"



24 მაისს "ფოლკსვაგენის" ვოლფსბურგული ქარხანა დატოვა გერმანული მარკის ასმემილიონე ავტომობილმა. ამით ევროპის უდიდესი ავტომწარმოებელი შეიქნა სულ მეოთხე ავტოკომპანია, რომელსაც ეს ზღვარი აქვს გადალახული.

ამ ამბავთან დაკავშირებით, ქარხნის კონვეიერთან საზეიმო ცერემონიალი ჩატარდა, რომლის დროსაც "ფოლკსვაგენის" მთავარმა აღმასრულებელმა ბერნდ პიშეტსრიდერმა კომპანიის მუზეუმისთვის ჩაიბარა საიუბილეო ავტომობილი, მინივენი "ტურანი".

"ფოლკსვაგენმა" ფუნქციონირება მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დაიწყო და 1945 წელს მხოლოდ 1800 ცალი ავტომობილი - "ხოჭო" გამოუშვა. სხვათა შორის, კომპანიის სახელწოდება სახალხო ავტომობილს ნიშნავს. ეს სახელი ვოლფსბურგულმა მარკამ მალე გაამართლა - მისი "ხოჭო", რომელიც ლეგენდარულ კონსტრუქტორ ფერდინანდ პორშეს მიერ იყო შემუშავებული, ყველა დროის ყველაზე პოპულარული ავტომობილი გახდა მთელს მსოფლიოში. დღემდე სულ 21.5 მილიონი "ხოჭოა" გამოშვებული. უფრო მეტიც, ამ ავტომობილს 2002 წლამდე უშვებდა მექსიკის ქალაქ პუებლას ქარხანა.

თუმცა, ამ მოდელს 2002 წელს პირველობა ჩამოართვა "ფოლკსვაგენის" კიდევ ერთმა ბესტსელერმა, ჰეჩბეკმა "გოლფმა", რომლის ხუთივე თაობის ჯამური ტირაჟი 23 მილიონს გასცდა.

"ფოლკსვაგენს" მთელ მსოფლიოში ავტომწარმოებელი 14 ქარხანა აქვს, რომლებმაც შარშან სულ 3 მილიონზე მეტი ავტომობილი გამოუშვეს. ევროპის უდიდესი კონცერნის პროდუქცია შარშან მსოფლიოს 150-ზე მეტ ქვეყანაში გაიყიდა.

აღსანიშნავია, რომ "ფოლკსვაგენმადე" ასმილიონიან ზღვარს სულ სამი ავტოკომპანია - "ფორდი", "ტოიოტა" და "შევროლე" (შევროლე ჯენერალ მოტორსს ეკუთვნის) გასცდა.

ერთი საინტერესო ფაქტი: იმ მარკებთან ერთად, რომლებიც "ფოლკსვაგენის" ჯგუფში არიან გაერთიანებულნი, გერმანულმა კონცერნმა ასმემიოლიონე ავტომობილი ჯერ კიდევ 1999 წელს გამოუშვა. ეს მარკები კი არის: საკუთრივ "ფოლკსვაგენი", გერმანული "აუდი", ჩეხური "შკოდა", ესპანური "სეატი", ფრანგული "ბუგატი" და იტალიური "ლამბორგინი". ყველას ერთად დღეისათვის სულ 125 მილიონი ავტომობილი აქვს გამოშვებული.

# კერკორიანი "ჯენერალ მოტორსით" დაინტერესდა



ლას ვეგასელი მილიარდერი, საინვესტიციო კომპანია "ტრაცინდა კორპორეიშენის" მფლობელი კირკ კერკორიანი ცდილობს, შეისყიდოს მსოფლიოს უდიდესი ავტოკომპანია "ჯენერალ მოტორსის" 28 მილიონი აქცია. თუ ეს მოახერხა, მაშინ ის გააორმაგებს თავის წილს ამერიკულ ავტოგიგანტში, რომლის აქციების დაახლოებით 4 პროცენტსაც ამჟამად ფლობს.

კერკორიანი მზადაა, 28 მილიონ აქციაში 868 მილიონი დოლარი (თითოში 31 დოლარი) გადაიხადოს. თუ ეს მოხდება, მაშინ მილიარდერის ხელში აღმოჩნდება დაახლოებით 50 მილიონი აქცია, რაც, ფაქტობრივად, კომპანიის აქციების დაახლოებით 8.84 პროცენტია. კერკორიანმა "ჯენერალ მოტორსს" აქციების გამოსყიდვა 9 მაისს შესთავაზა, მისი წინადადების განხილვა კი 7 ივნისს, კორპორაციის აქციონერთა ყოველწლიურ შეკრებაზე მოხდა.

თავის განცხადებაში, "ტრაცინდა" დაბეჯითებით ირწმუნება, რომ აქციების შესყიდვას მხოლოდ საინვესტიციო მიზნებით ახორციელებს და არა იმისათვის, რომ გაზარდოს თავისი გავლენა კორპორაციის ბიზნესზე.

კერკორიანი ცნობილია, როგორც ამერიკული ავტოკომპანიების ერთ-ერთი უდიდესი მეწილე. თავის დროზე, მას წილი ჰქონდა "კრაისლერ მოტორზში", მაგრამ მას შემდეგ, რაც 7 წლის წინ, სიდიდით მესამე ამერიკული ავტოკომპანია გერმანულ "დაიმლერ-ბენცთან" გაერთიანდა, კერკორიანმა დაახლოებით 2 მილიარდი დოლარი იზარალა. ყოველივეს გამო, 87 წლის მილიარდერი კვლავ აგრძელებს სასამართლო დავას "დაიმლერკრაისლერთან".

სხვათა შორის, აშშ-ში კერკორიანს სახელი გავარდნილი აქვს, როგორც აქციებით მოთამაშეს. მის კომპანიას კარგად აქვს შესწავლილი ბაზრის ის სეგმენტები, რომლებშიც ინტერესი გააჩნია. ჰოდა, როცა ამა თუ იმ კომპანიას გაუჭირდება, ის მაშინვე ახორციელებს ინვესტიციას და შედარებით იაფად ყიდულობს კრიზისში მყოფი კომპანიის აქციებს. ხოლო შემდეგ, როცა მის მიერ განხორციელებული ინვესტიციის წყალობით, კომპანია ფეხზე დგება და შესაბამისად, მისი აქციების ფასიც იზრდება, მოხერხებული ბიზნესმენი ზომიერი პორციებით ყიდის მის ხელთ არსებულ აქციებს. ამით კი მოგებული რჩება როგორც თვითონ, ისე კომპანია, რომელშიც ის ინვესტირებას ახდენს.

ამდენად, მარტო ის ფაქტი, რომ კერკორიანი რომელიმე კომპანიის აქციებს ყიდულობს, კარგად მოქმედებს ამ კომპანიის ფასზე. ასე იყო "ჯენერალ მოტორსის" შემთხვევაშიც, რომლის აქციები, მას შემდეგ, რაც კერკორიანმა თავისი განცხადება გააკეთა, დაახლოებით 18 პროცენტით გაძვირდა.

თუმცა, არიან ისეთებიც, რომლებიც კერკორიანს არასასურველ აქციონერად მიიჩნევენ. ასეთებს შორისაა აწ უკვე არარსებული კომპანია "ამერიკენ მოტორსის" (თავის დროზე ეს კომპანია "კრაისლერმა" ჩაყლაპა) დირექტორთა საბჭოს ყოფილი შეფი ჯერალდ მაიერსი, რომელიც ამბობს, რომ კერკორიანი აუტანელი ხდება მაშინ, როცა ინვესტირების შემდეგ მოგების მიღება უჭირს. მისი თქმით, "ჯენერალ მოტორსისთვის" არ იქნება მომგებიანი კერკორიანის ყურადღება, რადგან ამ კაცს მოვლენათა განვითარების ყველა ვარიანტი გათვლილი აქვს და საქმეს ყველა შემთხვევაში ისე წარმართავს, რომ თავად მოგებული დარჩეს.

და მაინც, კერკორიანის დაინტერესებამ, შესაძლოა, გამოაცოცხლოს "ჯენერალ მოტორსის" აქციებით ვაჭრობა. მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ კორპორაციამ გასულ სამოდელო წელს, რომელიც მარტში დასრულდა, უზარმაზარი ზარალი ნახა, მისი აქციებით ბირჟაზე დაინტერესება არნახულ დონემდე დაეცა.

როგორც ამბობენ, სწორედ ასეთი სიტუაციებია მიმზიდველი ისეთი ბიზნესმენებისთვის, როგორიც კირკ კერკორიანია...

# განცხადება ტენდერის ჩატაარების შესახებ

1.გარდაბნის რაიონის გამგეობა მდებარე: ქ.გარდაბანი, დ. აღმაშნებლის ქ.N73, ინდ.1300 აცხადებს ღია ტენდერს ქ. გარდაბნის საცხოვრებელი კორპუსების სახურავების კაპიტალური სარემონტო სამუშაოების შესახებ და იწვევს მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2.მიწოდების სავალდებულო ვადაა 2005 წელი.

3.დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ განცხადების გამოქვეყნებიდან 5 კალენდარული დღის შემდეგ 15 სამუშაო დღის ვადაში 9 საათიდან 17 საათამდე, მისამართზე: ქ.გარდაბანი, აღმაშენებლის ქ.N73, ინდ. 1300. სატენდერო დოკუმენტაციის მიღების ვადა, რომელიც შესრულებული უნდა იქნას ქართულ ენაზე, განისაზღვრება საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგების დაგზავნიდან არა უმეტეს 15 კალენდარული დღისა.

4 საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურდიული პირისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან და საგადასახადო ინსპექციიდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება მისი გაკოტრების საქმის წარმოება, სანაცია, რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

ბ) ცნობა საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა, შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომელიც მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა;

ბ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებლივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

4.3 ფიზიკური და იურდიული პირებისათვის:

ა) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ინსპექციიდან საფინანსო მდგომარეობის შესახებ:

ბ) ინფორმაცია ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ:

გ) მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტროს მიერ გაცემული სერთიფიკატის ასლი.

5. განცხადებას ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, რომელიც უნდა იყოს ქართულ ენაზე, თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ. კლასიფიკაციის გასავლელად განმცხადებელმა უნდა დააკმაყოფილოს ყველა ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნა.

6. იურდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკასიო შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. სატენდერო დოკუმენტაციის მიღებისათვის, ტენდერში მონაწილე პრეტედენტებს, სატენდერო მოსაკრებლის გადახდა 500 ლარის ოდენობით (ანგ.303030001. სახალხო ბანკის გარდაბნის საოპერაციო სამმართველოს, კოდი 220101401) ზემო მითითებული ვადების შესაბამისად შეეძლებათ მისამართზე; ქ. გარდაბანი, დ. აღმაშენებლის ქ.N73, 9-დან 17 საათამდე.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: გარდაბნის რაიონული გამგეობის სატენდერო კომისიის აპარატი. საკონტაქტო ტელეფონი: 5-24-46

# განცხადება ტენდერის ჩატაარების შესახებ

**ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური**

(ქ.თბილისი, 380002 დავით აღმაშენებლის გამზ .N 89/24 საინდ. კოდი 201955296

ა/ა 001132801 კოდი 220101107 საქ. ეროვნული ბანკის საოპერაციო სამმართველო),

აცხადებს ღია, ორეტაპიან ტენდერს განათლებისა და კულტურის დარგის ობიექტების კაპიტალური შეკეთების სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესასყიდი მომსახურების მოკლე აღწერილობა:

არსებული შენობების ტექნიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, საჭიროებისამებრ უნდა დამუშავდეს შენობის გამაგრების, მიშენება-დაშენების, სახურავის აღდგენა-შეკეთების, შიდა და გარე მოსაპირკეთებელი, საინჟინრო ქსელების შეკეთება-განახლების და კეთილმოწყობის სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შესყიდვის ობიექტები დაყოფილია ლოტებად:

I-IV ლოტი - NN 3, 4, 5, 25 სამუსიკო სკოლები;

V-VI ლოტი - NN 62, 167 (ძირითადი კორპუსი) საშუალო სკოლები;

VII ლოტი - საჭადრაკო სკოლა მოსწ.-ახალგაზრდობის სასახლეში (მიშენებით);

VIII ლოტი - ებრაელთა ისტორიულ - ეთნოგრაფიული მუზეუმი;

IX ლოტი - პანტომიმის თეატრი;

1. დაფინანსების წყაროა: ქ.თბილისის ბიუჯეტი.

2. მიწოდების სასურველი ვადაა: -- ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 - 25 დღე.
(ლოტების რაოდენობის მიხედვით).

3. საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე, წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, **2005 წლის 1 ივლისის 15 სთ.-მდე,** შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. კოსტავას I შეს. N 33, III სართული, ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის **კაპიტალური მშენებლობის განყოფილება.**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციებს:

**4.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობა რაიონული სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

დ) სასამართლოს დადგენილება რეგისტრაციის შესახებ, წესდების ან დებულების თანდართვით.

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ
ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა რაიონული სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ.

**4.3. როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისათვის:**

ა) ლიცენზია საპროექტო სამუშაოების განხორციელების შესახებ;

ბ) ინფორმაცია უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში განხორციელებული
ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური სამუშაოების შესახებ;

გ) ინფორმაცია ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაცია-გამოცდილების შესახებ;

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების შესახებ.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება ერთ ან რამდენიმე ლოტზე (მეორე ეტაპზე წარმოდგენილ საბოლოო სატენდერო წინადადებაში თითოეული ლოტის ღირებულება ნაჩვენები უნდა იყოს ცალ-ცალკე).

7. პირველადი სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი უნდა იქნეს ზოგადი მონაცემები საპროექტო სამუშაოების შესახებ, რომლის საფუძველზეც შემდგომში შესაძლებელია სატენდერო დოკუმენტაციის და ტექნიკური პირობების დაზუსტება.

8. სატენდერო კომისია მეორე ეტაპზე მოიწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავის საკვალიფიკაციო მონაცემებით და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვას დადგენილ პირობებს და იქნება შესასყიდი მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს დადებითი დასკვნა.

9. პირველადი და საბოლოო სატენდერო წინადადება სატენდერო კომისიას წარედგენება დახურული კონვერტებით.

10. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერის მეორე ეტაპზე მოწვეულ პრეტენდენტებს შეუძლიათ 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, მისამართზე: მ. კოსტავას I შეს. N 33 III სართული.

სატენდერო დოკუმენტაციის გადაცემის კონკრეტული ვადა პრეტენდენტებს ეცნობებათ საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგებთან ერთად.

11. ტენდერში შეიძლება გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული. (ლოტების მიხედვით).

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში, შემდეგი პირებისაგან: **ტიტე რუხაძე** - სატენდერო კომისიის წევრი.

**მალხაზ ბაღანაშვილი** - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი,

მისამართზე: მ. კოსტავას I შეს. N 33, III სართული. ტელეფონი: 92-07-90, 92-07-86.

**სატენდერო კომისია**




## TV პროგრამა, 16 ივნისი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** რეინჯერები **10.00** სერიალი "ოცნების კოშკები" **11.00** ხალხის პირისპირ **22.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.45** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "ადამიანი რკინის ნიღაბში" **15.25** სერიალი "ენტერპრაიზი" **16.30** სერიალი "ოცნების კოშკები" **17.25** რეინჯერები **18.30** პატრული **19.00** პაგო-პაგოს საგანძური **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** სერიალი "მატრიოშკები" **23.00** კონფედერაციის თასი: ბრაზილია-საბერძნეთი **00.45** მხ. ფილმი "ლამაზი ჯონი" (18) (მიკი რურკი) **03.00** პატრული

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "წინაპრები" **11.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "ტენტენის თავგადასავლი" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერ. "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" აზერბაიჯანულ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** "ბიოგრაფიული პორტრეტები"- ლორა ბუში **16.30** დოკ. ფილმი "ექსცენტრიკოსები" **17.30** დოკ. ფილმი "მითხარი როგორ" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** სერ. "ჩოგბურთის აკადემია" **19.00** "ჰოლმარკი" - "ჯონსონის მხარის ომი" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** ფეხბურთი: იაპონია-მექსიკა **23.00** მედიატორი **23.30** ქართ. ფილმი "აქ თენდება" (გ) **02.00** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **09.30** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **10.30** მხ. ფილმი "ნიტი განგსტერი" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **12.30** "დები ტრევისის საოცარი სახლი" **13.05** "დიელი და პასკო" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნ. პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** კრიმ. დრამა "ჯერ არ ვიცი" **18.20** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **19.05** სერ. "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "კარაბინერები" **21.45** არჩევანის ზღვარზე **22.45** საფესტივალო ჩვენება: "გორკო", "კავშირი", "მნე ტიფლის გორბატი სნიტსია". **23.45** მხ. ფილმი "მოდერატო კანტაბილე" (გ) (ჟანა მორო)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.50** "ბაბილინა" **20.05** მულტსერიალი "მარსუპილამი" **20.30** დოკ. სერიალი "ცეკვის ენა" **20.55** დოკ. ფილმი "ზეციური სპილოს დაცემა" მე-2ს. **21.45** კინოსეანსი "ინსპექტორი ლავარდენი"

### იმედი

**07.00** დოკ. სერიალი "მშვიდობით მე-20 საუკუნევ" **07.45** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.15** "ნუცას სკოლა" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "დრონგო" **12.40, 03.00** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "მამბოს მეფეები" **15.00, 16.00, 17.00, 19.00, 22.00, 01.20** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.30** ქრონიკა **17.10** იმედის მელოდიები **17.25** ერთხელ ჰოლივუდში **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.25** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "დრონგო" **22.55** "ათასიდან ერთი შანსი" **23.25** მხ. ფილმი "სომერსბი" (12) (რ. გირი) **01.30** მხ. ფილმი "კიკბოქსიორი-2-დაბრუნება" (ს. მიტჩელი) **03.35** მხ. ფილმი "თავდასხმა-2" (12) (ს. სიგალი) **05.00** "ნბა". ფინალური სერიის მატჩი.

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00, 19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **10.30** დოკ. ფილმი **11.45** მხ. ფილმი "3000 მილი გრეისლენდამდე" **14.30, 17.30, 20.30** ახალი ამბები **14.50** მხ. ფილმი "ირლანდიური კვარტალი" **17.55** მულტფილმი **18.30** "ნოვოსტი" **19.15** "წკიპურტები" **21.05** მხ. ფილმი "მატა ჰარი" **22.35** "გადარჩენილი სიტყვა" **23.15** "ექსკლუზივი" **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.20** მხ. ფილმი "ტაბლოიდი" **02.00** გერმანული ტალღის ახალი ამბები

### 202

**11.00** დებატები (განმ.) **12.00** სახალხო არჩევნები **13.00** მუსიკალურ-გასართობი გადაცემა "პროპაგანდა" **22.00** დღის თემა **23.00** დებატები 202-ზე **00.15** სახალხო არჩევნები

### ОРТ

**06.00** "Доброе утро" **09.00**, **12.00**, **15.00**, **18.00** Новости. **09.20** Сериал **"ВРЕМЯ ЖЕСТОКИХ". 10.20**, **18.50** Сериал **"ХОЗЯЙКА СУДЬБЫ". 11.30** Дисней-клуб: "101 далматинец". **12.20** Ролан Быков в комедии **"АМНИСТИЯ". 13.50** Спецрасследование. "Конец света". **14.30** "Угадай мелодию". **15.20** Что? Где? Когда? **16.20** Детективный сериал **"НА УГЛУ У ПАТРИАРШИХ". 17.30**, **18.10** "Пять вечеров". **18.00** Вечерние новости. **19.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.00** Время. **21.30** Сериал **"ВРЕМЯ ЖЕСТОКИХ". 22.40** "Человек и закон". **23.30** Ночное "Время". **23.40** Тайная история искусства. "Вандализм". **00.30** Неизвестная планета. "Возвращение бурятского ламы". **01.00** Кэйт Бланшетт в триллере **"ДАР".** В Луизиане, в небольшом поселке, окруженном болотами, живет Энни Уилсон. Овдовев год назад, она одна воспитывает трех сыновей. Энни обладает редким даром ясновидения, но в ее способности мало кто верит. Однако, когда в поселке происходиттаинственное убийство одной из самых красивых и богатых девушек городка Джессики Кинг, полиция прибегает к помощи Энни. И она находит труп девушки в пруду местного дебошира Донни Барксдейла. Подозреваемого сразу же сажают в тюрьму, ноЭнни уверена - убийца кто-то другой. Об этом говорят ее видения... **03.05** Кифер Сазерленд в фильме **"ДЕРЖИСЬ, КОВБОЙ!".** Братья Эли и Хэнк Бракстоны - профессионалы буллрайдинга. Это самый безумной вид родео, в котором спортсмен побеждает только тогда, когда 8 секунд удерживается на спине бешено скачущего быка. Занимаясь этим спортом, братья стали единым целым нетолько на арене, но и в жизни. Но однажды случается непоправимое: Эли влюбляется в девушку брата. Это тяжелое испытание для обоих. Хуже всего, все происходит в как раз перед самым ответственным соревнованием: Эли должен оседлать быка, которого никомуеще не удавалось укротить... **04.50** Сериал **"ИНТРИГАНКА".**

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **08.55** Сериал **"НЕ ССОРЬТЕСЬ, ДЕВОЧКИ". 10.00**, **13.00**, **16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.15** "Тайны разведки". **10.50**, **20.45** Сериал **"ПОЛНЫЙ ВПЕРЕД!". 11.50**, **19.40**, **00.15** Сериал **"ИГРА НА ВЫБЫВАНИЕ". 13.30** Боевик **"ТРИО". 15.35** "Игры разума". **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"ДАЛЬНОБОЙЩИКИ-2: ПОЛУТОРКА". 18.35**, **21.50** "Чрезвычайное происшествие". **22.40** "К барьеру!". **01.25** Сериал **"КЛИЕНТ ВСЕГДА МЕРТВ". 02.40** Бильярд. **03.10** Сериал **"КИН ЭДДИ". 04.10** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА-4". 05.05** Сериал **"ЗАПАДНОЕ КРЫЛО".**

# თეთრი ფეხსაცმელი - ჰო თუ არა?

მოდის ინდუსტრიაში ყველაზე მწვავე დებატები ბოლო დროს ზუსტად ამ თემაზე გაიმართა: უნდა გეცვას თეთრი ფეხსაცმელი თუ არა?

ავყვეთ? ავყვეთ და ვნახოთ, რა აქვთ სადავო.

წლების განმავლობაში გავრცელებული წესი გვკარნახობდა, რომ თეთრი ფეხსაცმელი უნიფორმის ნაწილია. ისე როგორც 1988 წელს გამოსულ ცნობილ ფილმში "მომუშავე გოგონაშია". მელანი გრიფიტის გმირი სწორედ თეთრი სპორტული ფეხსაცმლით დადიოდა, სანამ საზოგადოებრივ საფეხურზე ამაღლდებოდა და მოდურ მაღალ ქუსლებზე შედგებოდა.

მაგრამ ეს იყო წარსულში, 80-იანებში. მას შემდეგ გავიდა დრო, მოდის ფასეულობები მრავალგზის გადაფასდა და დღეს თეთრი ფეხსაცმლის ჩაცმა მიზანშეწონილია არა მხოლოდ ქორწინების დღეს ან ჩოგბურთის კორტზე. თეთრი ფეხსაცმელი ძალიან ელიტურ და ბოჰემურ თავყრილობებზეც კი აცვიათ. თანაც, აცვიათ თავადაც მოდურ ვარსკვლავებს.

თუ ვინმე ჰიპ-ჰოპის ვარსკვლავების - აშერის და კეინი ვესტის გემოვნებას ენდობა, მოვახსენებთ, რომ ამ მომღერლებს თეთრი ფეხსაცმელი "გრემის" დაჯილდოების ცერემონიალზე ეცვათ. პარიზ ჰილტონის და მიშა ბარტონის მიბაძვით კი სპილოსძვლისფერ და თეთრ მაღალქუსლიანებზე ლამის მთელი ამერიკელი ქალები შედგნენ.

ახლახან მოპოვებული პოპულარობის მიუხედავად, მაინც რჩება რამდენიმე წესი თუ ტაბუ, რომელთა დაცვაც აუცილებელია, თუ გვსურს, რომ თეთრი ფეხსაცმლის საზაფხულო მოდას გემოვნებით მივყვეთ და გავრცელებული ტენდენციის მსხვერპლად არ ვიქცეთ.





პირველი ბაზისური წესი ასეთია: თუ სპორტული სტილის ფეხსაცმელს ვირჩევთ, მაშინ მას დაბალყელიანი წინდა უნდა შევუხამოთ. თუ ფეხსაცმელი ქუსლიანია, მაშინ ჯობია, შიშველი კოჭი გამოვაჩინოთ.

Jimmy Choo-ს ბრენდის პრეზიდენტი და ერთ-ერთი დამფუძნებელი თამარა მელონი დასძენს: თეთრს მარტივი დიზაინი უხდება. რაც უფრო სადა იქნება ფეხსაცმელი, მით უკეთესი. შესანიშნავი არჩევანია თეთრი სანდალიც. "ამ ახალ ტენდენციას ერთი დადებითი თვისება აქვს. თეთრი შესანიშნავად ეხამება ჩვენი კანის ფერს. სწორედ ამ დეტალით უნდა ვისარგებლოთ. უნდა მოვახერხოთ ისიც, რომ ის ჰარმონიულად შევუხამოთ ჩაცმულობასაც". შესაბამისად, Jimmy Choo-ს საზაფხულო კოლექციაში ბევრია ხელოვნური ტყავის თეთრი ფეხსაცმელი, სადა და ზედმეტი აქსესუარებისგან თავისუფალი.

საკითხს სათანადო ყურადღებას უთმობს კეიტ სპეიდიც. აქსესუარების - ჩანთების, შარფების, სათვალეების, ფეხსაცმლის და საქორწინო კაბების ცნობილი დიზაინერი თვითონაც ხშირად ანიჭებს თეთრს უპირატეობას. ის თავის თეთრ, ჭრელი ქვებით მოოჭვილ სანდლებს და ე.წ. თეთრ "ბალეტკებს" სწორად აჭრილ შავი ან თეთრი ქსოვილის შარვალთან და ჯინსთან ერთად იცვამს. ეს სტილი "ცინცხალი და ამავე დროს სადაა" და ძალიან უხდება ზაფხულს, - ამბობს სპეიდი და თან დასძენს: "არც კი ვიცი, თუ არსებობს რამე წესი, მაგრამ ერთი კი ცხადია, თეთრი ფეხსაცმელი ზაფხულს უხდება, ზამთარში კი ცოტა პრეტენზიულია".

მომღერალი თალია, რომელიც Kmart-ის სავაჭრო ქსელის კოლექციების დიზაინერიც არის, ამბობს, რომ თეთრი სანდალი აბსოლუტურად საზაფხულო ფენომენია და ქალებს არწმუნებს, რომ თეთრი ფეხსაცმელი წლის ნებისმიერ დროს სექსუალურია, თანაც, რეტრო-ნოსტალგიას ანიჭებს ჩაცმულობას.

თალიას აღტკინებას "ვიქტორიაზ სიქრეთის" მოდელი ინეს რივეროც იზიარებს და აცხადებს: მიუხედავად იმისა, რომ პოდიუმზე ათობით ფერის ფეხსაცმელში უწევს გამოსვლა, თეთრი მაინც ყველაზე საყვარელი ფერია. საკუთარ გარდერობში სამი წყვილი თეთრი ფეხსაცმელი უდევს, მათგან ყველაზე საყვარელი კი თეთრი სატინის სანდალია მანოლო ბლაჰნიკისგან. ეს სანდალი მას ჯინსის შარვალთან ერთად აცვია. დიახ, თეთრი ფეხსაცმელი საზაფხულო ჩასაცმელია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მშვენიერმა რივერომ, თურმე, მთელი ზამთარი "შანელის" თეთრ ჩექმაში გაატარა.

დაბოლოს, ახალი მოდა მხოლოდ ქალებზე არ ვრცელდება. ფეხსაცმლის ცნობილი დიზაინერი მაიკლ კორსი აცხადებს, რომ თეთრი ფეხსაცმლის ტარება მისაღებია მამაკაცებისთვისაც. "თეთრი სანდალი ყველას შეუძლია ჩაიცვას, ქალსაც და კაცსაც. საჭიროა მხოლოდ გარუჯული ტერფები და კარგი პედიკიური".

ბოლო საზოგადო რჩევა: ვინც შავი ფეხსაცმლის რელსებიდან ასე რადიკალურად თეთრზე ვერ გადადის, შეუძლია, შუალედური ფერებით დაიწყოს - სპილოსძვლისფერით, ღია კრემისფერით - ხალისიანი განწყობისთვის ესეც კმარა.





კოკა-კოლას ჯაზფესტივალი

**2 ივლისი**
**ვაკის პარკი**
18:00 – ლემონ ჯუს (საქ.)
19:00 – პაპარაცი (საქ.)
20:00 – გიორგის ჯაზდივიზიონი (საქ.)

**3 ივლისი**
**შერატონ მეტეხი პალასი**
21:00 – ქლაიენტს ფანკ სოსაითი
მოწვეული სტუმარი ფრედა გუდლეთი (შვეიცარია-აშშ)

**4 ივლისი**
ნესკაფე წარმოგიდგენთ
**დიდი საკონცერტო დარბაზი**
20:00 - დეივიდ სენბორნი და ოლისარ ზენდი (აშშ)
გილ გოლდშტეინი, დონ ელაისი,
ტერი-ლინ ქარინგთონი, ქრისტიან მაკბრაიდი.

შერატონ მეტეხი პალასი
23:00 – ჯემსეიშენი: ქლაიენტს ფანკ სოსაითი (შვეიცარია)

**5 ივლისი**
დიდი საკონცერტო დარბაზი
20:00 - შინი (საქ.)
მოწვეული სტუმარი- რენდი ბრეკერი (აშშ)

21:00 - ჯონ სქოფილდის კვარტეტი (აშშ)
მოწვეული სტუმარი- ქრის ფოთერი

**6 ივლისი**
**დიდი საკონცერტო დარბაზი**
ბანკი რესპუბლიკა და ნესკაფე წარმოგიდგენთ
20:00 - ჯორჯ ბენსონი (აშშ)


# პირსახოციანი სულელები "ვარსკვლავური ომების" წინააღმდეგ

### გალაქტიკის გარშემო ავტოსტოპით მოგზაურობის გზამკვლევი
(The Hitchhiker's Guide to the Galaxy)

აშშ - დიდი ბრიტანეთი, 2005

**რეჟისორი:** გარტ ჯენინგსი

**როლებში:** მარტინ ფრიმან II, მოს დეფი, სტივენ ფრაი, სემ როკუელი, ზოუნ დეშანელი



აბაზანის ხალათიანი ტიპი, ზანგი თეთრ კოსტიუმში, სამყაროს ორთავიანი პრეზიდენტი და კვერცხისთავიანი დეპრესიული რობოტი - თითქოს გამოცდილი და საიმედო გმირები ძვირად ღირებული ფანტასტიკური ფილმისთვის, თუნდაც კომედიისთვის. თუმცა, სწორედ მათ ჯერ კიდევ 30 წლის წინ "გალაქტიკის გარშემო ავტოსტოპით" კულტად აქციეს, ხოლო ახლახანს გამოსული ფილმი - "ვარსკვლავური ომების" სერიოზულ მოწინააღმდეგედ.

აბსურდისა და ფანტასტიკის მოყვარულმა დუგლას ადამსმა თავისი წიგნი 70-იანების მეორე ნახევარში რადიოსერიალისთვის შექმნა. იმავდროულად საეკრანო ვერსიის წერასაც შეუდგა, თუმცა წერა მხოლოდ 20 წლის შემდეგ დაასრულა. ამ პერიოდში გაჩნდა: წიგნის აუდიოვერსია, ტელესერიალი, ვიდეოთამაში, თეატრალური დადგმა, კომიქსების წიგნი და - პირსახოცი.

სხვადასხვა დროს ფილმში დენ ეიკროიდს უნდა ეთამაშა ზაფორდის როლში, რომელმაც "მოჩვენებაზე მონადირეები" არჩია; ამ როლზე ჯიმ კერიც მოიაზრებოდა - თუმცა "ნიღაბი" გამოჩნდა; ასევე იყო ჰიუ გრანტიც, თუმცა არტურ დენტის როლისთვის "ზედმეტად სიმპათიურად" ჩათვალეს.

საბოლოოდ ფილმის დადგმა დებიუტანტ გარტ ჯენინგს ანდეს, რომელიც როკ-ჯგუფებისთვის "ფალფის", "ბლურის" და R.E.M-ისთვის ქმნიდა კლიპებს. გარტი მინდობილ დავალებას წარმატებით გაუმკლავდა.

ამ კინოვერსიას "მწვანე შუქი" მხოლოდ 2001 წელს, ადამის სიკვდილის შემდეგ აენთო. ადამისი საკუთარი ჩანაფიქრის შესაძლო დამახინჯების იდეას საკმაოდ მტკივნეულად აღიქვამდა. განსაკუთრებით იმას აპროტესტებდა, რომ დეპრესიულ რობოტ მარვინს რკინის კოსტიუმიანი ადამიანი განასახიერებდა. თუმცა, კომპიუტერული ეფექტებისთვის ფული აღარ ეყოთ და რობოტ მარვინს დიდი ბრიტანეთის ყველაზე პატარა მსახიობი უორვიკ დევისი თამაშობს, ხოლო მის ხმაზე ალან რიკმანი ზრუნავს.

ჰელენ მირენი სუპერკომპიუტერის მაგივრად საუბრობს, რომელიც ყველაზე მთავარი კითხვაზე პასუხის გაცემას, მულტფილმების ყურებას ამჯობინებს, მწერალმა სტივენ ფრაიმ კი "გზამკვლევი" აამეტყველა. ყურადღებას იქცევს ღრუტუნა ბილ ნაინიც დედამიწის არქიტექტორის როლში. არტურ დენტის როლში მარტინ ფრიმანს ვიხილავთ, რომელმაც სახელი პორნო ფილმებით გაითქვა.

ყველაზე დიდი თანხა დედამიწის უზარმაზარი მოდელისა და პატარა, ფერადი ანიმაციის - "გალაქტიკაში ჰიჩჰაიკერების გზამკვლევის" შექმნაში დაიხარჯა.

სცენარის სასარგებლოდ შეიძლება ითქვას, რომ ადამსმა და კირკპატრიკმა დიდი რაოდენობის კითხვები მოიფიქრეს, რომლებზე პასუხიც "42"-ია. მათ სცენარს "მსუბუქი ნაციონალური იუმორიც" დაუმატეს ("რიგში? არა უშავს, გავუმკლავდები, მე ხომ ბრიტანელი ვარ"). არც სიტყვათა თამაში დაუკლიათ, რის შედეგადაც ახალი სამყარო შექმნეს, სადაც მოქმედება დაცემინებაზეა აგებული, თაყვანისცემის ობიექტი კი ცხვირსახოცია.


# სწრაფად ხარისხიანად!
## EUROCLEAN-SERVICE

შ.პ.ს. "EUROCLEAN-SERVICE" გთავაზობთ ბინებში, ოფისებში, კინოთეატრებში, კაზინოებში, საბილიარდოებში, ბენზინ-გასამართ სადგურებში, რესტორნებსა და სხვა დაწესებულებებში შემდეგი სახის მომსახურებას:

- ნოხების, ხალიჩების, ქვისა და მარმარილოს იატაკის რეცხვა-გაწმენდა.
- რბილი ავეჯის, საძინებელი გარნიტურის, მატრასებისა და ლოგინების სიღრმული წმენდა დასუფთავება.
- ფანჯრების, ვიტრინების და მინის კონსტრუქციების რეცხვა-გაწმენდა.
- ხის კედლების წმენდა გაპრიალება.
- მანქანის სალონის წმენდა.
- აუზებისა და ჯაკუზების წმენდა.
- კაფელის, მეტლახის და ლინოლეუმის წმენდა და გაპრიალება.
- ავეჯის რესტავრაცია.

მის. ლესელიძის ქუჩა - ყაველაშვილის შესახვევი №1 ტელ: 93 13 03,
მის. გურამიშვილის №64 (ავეჯის სავაჭრო ცენტრი) 893 13 29 98, 893 50 93 50
E-maile: Euroclean_service@posta.ge


# მუსოლინის ვილა რომანტიკოსების ყურედ გადაიქცა



იტალიის დედაქალაქის მთავრობამ ტორლონიას ვილის მხატვრულ მუზეუმად გადაკეთება გადაწყვიტა. 1925-43 წლებში ამ სახლში ფაშისტთა იტალიელი დიქტატორი ბენიტო მუსოლინი ცხოვრობდა.

ვილა 60 წლის განმავლობაში უყურადღებოდ იყო მიტოვებული. მისი რესტავრირება სულ რაღაც სამი წლის წინ დაიწყეს. დღეს განახლებულ ნეოკლასიკური სტილის სასახლეში იტალიელი რომანტიკოსი მხატვრების კოლექცია დაიდებს ბინას.

ვილა XIX საუკუნის დასაწყისში ბანკირისა და მიწათმფლობელის პრინც ჯოვანი ტორლონიასთვის აშენდა. 1925 წელს მუსოლინიმ სასახლე მიითვისა და ტორლონიას შთამომავლებს იჯარაში სიმბოლურ თანხას - წელიწადში ერთ ლირას უხდიდა. ფაშისტური რეჟიმის დაცემის შემდეგ ტორლონიას ვილა რუსმა მოკავშირეებმა დაიკავეს. სამი წლის შემდეგ მათ რომი დატოვეს და შენობამ განადგურება დაიწყო.

მომდევნო წლებში ვილა თანდათან ინგრეოდა, რასაც დროსთან ერთად ვანდალური ქმედებებიც უწყობდა ხელს. მისი კედლები ნეოფაშისტური ლოზუნგებით იყო აჭრელებული. 2002 წელს, როცა სასახლეში მუზეუმი გაიხსნა, მის ექსპონატებს შორის მუსოლინის კუთვნილი ავეჯი დატოვეს. ამან კი საზოგადოებაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

შემდეგ რომის მთავრობამ ვილაზე ჰოლოკოსტის მსხვერპლის მუზეუმის გახსნა გადაწყვიტა, თუმცა ამ იდეამ ნაკლებად გაამართლა. სამხატვრო მუზეუმის გახსნა ბენიტო მუსოლინის 78 წლის შვილი რომანო მუსოლინის - მწერლისა და ჯაზმუსიკოსის თანხმობით ხდება.


**რეგისტრირებულია "საქართველოს სათამაშო ბიზნესის განვითარების კავშირი"**

**რომლის ძირითადი მიზანია სათამაშო აპარატებით, სამორინეებით (კაზინოებით), ტოტალიზატორებით, მომგებიანი ლატარიებით დასაქმებულ ბიზნესმენთა გაერთიანება, მათი ლობირება და უფლებების დაცვა, როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელი ორგანოების წინაშე. მსურველებს შეგიძლიათ გახდეთ კავშირის წევრი.**

**დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ მისამართზე: პუშკინის ქ. 5.**
**ტელ. 98-54-16.**
**ელ.ფოსტა: Ngardava@mail.ru**

Maki
Fujitsu-Siemens-ის პრემიერ-პარტნიორი გთავაზობთ
ნოუთბუქებს - 888$-დან
2 წლიანი გარანტიით
AMD Athlon 64
დღგ-ს ჩათვლით!!!
კომპიუტერებს - 298$-დან
15 თვიანი გარანტიით
ტელ.: 921836, 921826 ირაკლი აბაშიძის 24